

1941/3



025

სახ ჭოთა № 5
წელი 1941

წარმოდგენილობა

- 4649 -

საჭ. სსრ სახელმწიფო კომისარი არსებული ხელოვნების
სამსახურის სამართლოს ყოველი მიზანი



თ ბ ი რ ი ს ი ს ი

1941 წ. მაისი

No 5

თეაზები და პიესები

ქართულმა საბჭოთა ხელოვნებამ უკანასკნელ წლებში თვალსაჩინო ჭარბატებები მოიპოვა. ჩვენი ხელოვნებისა და ლიტერატურის, მუსიკის, ფერწერის, ქანდაკების, არქიტექტურის, კინემატოგრაფიის, თეატრის მოწინავე წარმომადგენელთა სტალინური პრემიებით დაჯილდოება ნათლად მოწმობს ამას.

ისეთი ნაწარმოებების შექმნა, როგორიც არის გრ. კილაძის სიმფონიური პოემა „განდეგილი“, ი. თოიძის ილუსტრაციები „ვეფხის-ტყაოსნისა“, სილ. კაკაბაძის მონუმენტი ამხანაგ სტალინისა, ა. ქურდანის არქიტექტურული პროექტი საქართველოს სსრ პავილიონისა სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენებზე ქ. მოსკოვში, ა. ხორავას ოირჩესანიშნავი მიღწევები თეატრალურ-დრამატიული ხელოვნების დარგში, მ. ჭიათურელისა და ნ. შენგალაძის კინო-სურათები „არსენა“, „დიადი განთიადი“, „ელისო“ და „ნარინჯის ველი“, კინო-მსახიობთა მ. გელოვანის, ნატო ვაჩნაძისა და ს. ბალაშვილის წარმატებანი, ლეო ქიაჩელის რომანი „გვადი ბეგვა“ და გ. ლეონიძის პოემა „ბელადის ყრმობა“ — ჩვენს ხელოვნებაში სოციალისტური რეალიზმის სტილის დამკვიდრების მაჩვენებელია. ეს ნაწარმოებები და სცენიური სახეები შევიძლებ ჩვენა დროის საუკეთესო მხატვრულ მიღწევათა ფონდში.

ქართული ხელოვნების მუშავები გაბედულად და მტკიცედ ეუფლებიან ჰეროიკულ-პატრიოტულ თემას. ახლა, როდესაც საბჭოთა ხალხის მთელი გულისური მიმართულია ჩვენი სოციალისტური სამშობლოს თავდაცვის განმტკიცებისაკენ, ჰეროიკულ-პატრიოტული თემა საპატიო აღილს იკავებს საბჭოთა ხელოვნების ყველაზე მნიშვნელოვან თემათა შორის. შემთხვევითი როდის ჩვენა თეატრების რეპერტუარში ისეთი პიესების გამოჩენა, როგორიც „გიორგი სააკაძე“, „დალატი“ და „პატარა კაზა“. ეს ნაწარმოებები ქართველი ხალხის სახელოვანი ისტორიული წარსულის გმირული მაგალითების ჩვენებით კიდევ უფრო რაზმავენ დღევანდელი აუდიტორიის პატრიოტულ კრძნობებს.

მაგრამ არაერთხელ გვითქვამს და ახლაც უნდა გაემეოროთ, — დღევანდელი დღის ჰეროიკას ჭერებერობით არ უჭირავს საბჭოთა რეპერტუარში ის აღილი, რომელიც მას უნდა ეკუთვნოდეს. საბჭოთა ხალხის გმირულმა ბრძოლამ კომუნიზმისათვის, სოციალისტური სამშობლოს დაცვისათვის ჭერიადვე ვერ ჰქონა ლირიკული გამოხატულება ხელოვნების ნაწარმოებებში. მუსიკამ, თეატრში, სახეითი ხელოვნებამ ჭერ კიდევ ვერ მონახეს შესაფერი ჰანგები, სიტყვები, ფერები საბჭოთა ადამიანების დაუღალავი ენერგიის, მხერვალე ენტუზიაზმის გადმოსაცემად, — ადამიანებისა, რომლებიც ყოველ წესის მშად არიან თავი გასწირონ მშობლიური ქვეყნისათვის, სტალინისათვის, კომუნიზმისათვის.

ხელოვნება ხალხის ფართო მასების კომუნისტურად აღზრდის მძლავრი იარაღია. ეს ავალებს სახელოვნო ორგანიზაციებს გააძლიერონ ბრძოლა ხელოვნების ნაწარმოებთა იდეურობისათვის, მათი მხატვრული ხარისხის ამაღ-



ლებისათვის და ამით ხელი შეუწყონ საბჭოთა მხატვრული ქლასიების შექმნას. ამ მიმართულებით საორგანიზაციო-სამეურნეო ხასიათის საკითხებთან ერთად ერთერთ ძირითად ღონისძიებას წარმოადგენს რეპერტუარის ორგანიზაცია.

ჩვეულებრივ თეატრები ყველა თავის უზედურებას იმით ხსნიან, რომელი არ არის კარგი პიესებით. ამ მტკიცების კეშმარიტების წინააღმდეგ დავა ძნელია. კარგი პიესები მართლაც ცოტაა. დრამატურგებმა თითქოს დავიციყუსტომ ხელოვნება მასების დიადი აღმზრდელია. მათ ღლებდე ვერ შექმნეს ნამდევილი, სრულყოფილი პიესები, საღაც მსახიობებს საშუალება ექნებოდათ ეჩვენებინათ საბჭოთა აღამიანები, შექმნათ ჩვენი დროის აღამიანის დადებითი სახეები.

დრამატურგია დაშორდა ლიტერატურას. თანამედროვე პიესები მეტწილად ძნელად იყითხება, რადგან ისინი მოკლებული არიან წმინდა ლიტერატურულ ღირსებას. ამითომ არის, რომ ისინი სცენაზედაც დიდხანს ვერ ცოცხლობენ. საბჭოთა დრამატურგებმა ჯერ კიდევ ვერ მონახეს მაღალი მხატვრული საშუალებანი ჩვენი ეპოქისა და ჩვენი საბჭოთა აღამიანების ასახვისათვის.

მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს—რაკი კარგი პიესები არა გვაქვს, შეიძლება დავდგათ ცუდი? ასეთი მაჯლობა შეუძლიან შეხლოდ იმათ, ვინც დაინტერესებული არ არის ხელოვნების ბედით. თეატრი უნდა დაეხმაროს დრამატურგს, მზრუნველობით და სიყვარულით მოუღეს მის ნაწარმოებს, შეუსწოროს ნკალი, მძიეცს მითითება და საერთოდ შეუქმნას მეგობრული შემოქმედებითი ატმოსფერო. ჩვენ გამოცდილებიდან ვიცით, რომ ასეთი დახმარების შედევგად საშუალო დრამატიული ნაწარმოები ხშირად თვალსაჩინო სპექტაკლად იქცევა ხოლმე. ჩვენ ამას ერთხელ კიდევ ხაზს უსვამთ იმიტომ, რომ ზოგიერთი თეატრის პრაქტიკა ზოგჯერ სულ სხვას მოწმობს: იმის მაგიტრულ, რომ თანამედროვე პიესებზე შეაჩერონ თეატრალური კოლექტივის მთავრი ყურადღება, ეს თეატრები მათ დგამენ, როგორც რიგით „წარმავალ“ სპექტაკლებს. ქლასიერ პიესებს დაწვრილებით ამზადებენ, როლებს მათში საუკეთესო მსახიობებს აკისრებენ, საბჭოთა რეპერტუარის პიესებში კი დაკავებულია მეორეხარისხოვანი შემაღენლობა.

ჩვეულებრივ საბჭოთა სპექტაკლების ვერც ტექნიკური მხარე დგას თავის სიმაღლეზე. დაღმაშე ათეული ათასები ინარჩება, მაგრამ ისინი ისე „უგემურად“ არიან გამოყენებული, რომ სპექტაკლი საჭირო ეფექტს ვერ ახდენს. ყურადღება არ ექცევა „წვრილმანებს“, რომელთაც დიდი შეიმშნელობა აქვთ წარმოდგენის მხატვრული მთლიანობისათვის. „სამშობლოს“ საქეტაკლში (ჩ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრი) პირველი მოქმედების უკანა ფარდა ისე უხეიროდ არის გაკიმული, რომ იყარება მთაბეჭდილება შევენივრად შესრულებული დეკორაციისაგან.

იმავე ოპერაში მოქმედების განვითარების მიხედვით არის აღვილი, როცა სცენაზე შემოღიან ხელმძღვანელი საბჭოთა ორგანიზაციების წარმომადგენლები და გარდამავალ წითელ ღროშას გადასცემენ კოლმეტურნობას. გამლიან სცენაზე დროშას და მაყურებელს თვალში ეცემა სპექტაკლისათვის ყოვლად შეუფეხბელი წარწერა: „Лучшему коллективу союза Рабис“. თურმე ნუ იტყვით, თეატრს „ეკონომიის“ მიზნით გამოუყენებია თავისი საქართვი ღროშა, რომელიც მან ჯილდოთ მიიღო კარგი საშეფო მუშაობისათვის. ასეთა

აეკონომია”, რასაკვირველია, უაღგილოა და ზიანს აყენებს სპექტაკლის მხატვრულ მხარეს.

საბჭოთა პიესისადმი არასერიონზულ დამოკიდებულებას მოწმობს მსაფეხურებული ტიც, რომ მარჯანიშვილის სახ. თეატრმა ნ. პოგოდინის „კრემლის კურანტების“ მხატვრული გაფორმების საბასუხისმგებლო სამუშაო მიანდო გამოუცდელ მხატვრებს. აქედან-ზოგი სცენების გაფორმების არადამაკმაყოფილებელი ხარისხი.

საბჭოთა პიესისადმი, როგორც „წარმავალისადმი“ დამოკიდებულებას ის ზიანიც მოაქეს, რომ სცენიდან მალე პერებან და ნაადრევად ძველდებიანი ისეთი ნაწარმოებებიც კი, რომელთაც მცირე როდი როდი შეუძლიანთ ითამაშონ მაყურებლის იდეური და მხატვრული აღზრდის საქმეში.

თუ თვალს გადავავლებთ საქართველოს თეატრების რეპერტუარს, დავინახავთ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ის უცნაური გულგრილობით არის შედგენლი. რეპერტუარი განსაზღვრავს თეატრის შემოქმედებით სახეს. მაგრამ ჩა შემოქმედებით მიმართულებაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ერთიდამიავე თეატრის რეპერტუარში ჰეროიკულ-პატრიოტული „გიორგი სააკაძის“ გვერდით ვხვდებით სენტიმენტალურ-ცრემლიან „მარგარიტა გოტიეს“ და ფრანგული სკოლის „ნახევრად კლასიკუსების“ სხვა ნაწარმოებებს, რომლებიც თავის სამშობლოშიაც კი დიდიხანია დაგვწყვებული არიან და რომლებმაც შეინარჩუნეს მხოლოდ ლიტერატურულ-ისტორიული ინტერესი. ასეთი ეკლექტიური, შემთხვევითი რეპერტუარით ძნელია წარმოვიდგინოთ თეატრის შემოქმედებითი სახე.

თუ ასეთი მდგომარეობაა თბილისის ერთერთ ცენტრალურ თეატრში, ადვილი წარმოსადგენია რა იქნება რაიონულ თეატრებში, სადაც პიესების შერჩევა არ ხდება რაიმე წინასწარ დასახული მხატვრული თვალსაზრისით. რაიონული თეატრები იყვენებიან იმით, რასაც მათ ხელოვნების საქმეთა სამართველო მიაწვდის, ამ უკანასკნელის სარეპერტუარო ფონდი კი ფრიად განსაზღვრულია.

რეპერტუარის შედგენაში თეატრების უმეტესობას არ გააჩნია გარკვეული პრინციპული ხაზი. ქუთაისის თეატრი შექსპირის „მეფე ლირის“ გვერდით სდგამს მმ. ტურის ფუქსავატ, ანგლოტურ შემთხვევაზე აგებულ პიესა „დაწუნებულ საქმროს“; ზღაპრული ნაწარმოების ძიების პროცესში მოზარდ მაყურებელთა ქრისტული შეჩერდა შ. კუპრავას ღრამატურგიულად სუსტ „ცასუერ ხალიჩაზე“. თეატრმა ახლა რეპერტუარში შეიტანა კიდევ ე. შვარცის ზღაპრის „თოვლის დედოფალი“. ამ პიესამ შემოიარა საბჭორის თითქმის ყველა საბაშვი თეატრი, იგი თბილისშიც დაიდგა მოზარდ მაყურებელთა რუსული და სომხური თეატრების სცენაზე. ახლა მას ქართული თეატრი იმეორებს. რა საჭიროა რეპერტუარის ასეთი დუბლირება? ნუ თუ არ შეიძლებოდა სხვა პიესის გამონახვა, რომელიც უფრო შეეფერება თეატრის მხატვრულ მიმართულებას და მისი დასის შესაძლებლობას?

მიშნეოლოვანი ხარვეზებია ოპერისა და ბალეტის თეატრის რეპერტუარშიც. ეჭეს გარეშე, საოპერო თეატრმა დიდი საქმე გააკეთა ახალი ქართული ოპერების შექმნისა და განხორციელების მხრივ. მარტო მიმდინარე სეზონში დაიდგა ოთხი ახალი მუსიკალურ-დრამატურგიული ნაწარმოები: ა. ანდრიაშვილის „კაო ყაჩალი“, ა. ბალანჩივაძის „მთების გული“, ი. ტუს-



յունա „սամշանձլու“ და ვრ. კილაძის „ლადო ეტცხოველი“. ეს თეატრის ხელმძღვანელობის აპერატიულ და მოქნილ მუშაობას მოწმობს. მაგრამ თბილისის ეროვნული საბჭოთა კულტურული ცენტՐ-ის მიერ მუშაობა და რუსეთის კლასიკური საოპერო ლიტერატურის ნიმუშები, ისე მომზე რესპუბლიკაյთა კომპოზიტორების ახალი საბჭოთა ოპერები. ამ მხრივ მუშაობა საგრძნობლად მოიკოჭლებს. მესამე წელიწადია თეატრი რეპერტუარში აცხადებს ჭ. ვერდის „ოტელოს“ და შ. პუშკინის „ფაუსტს“, მაგრამ მათ დადგმას დღემდე ვერ ველიჩეთ. წლიდან წლიდა მიდის ერთიდაგივე რეპერტუარი, რომელიც საკმაოდ მოსწყინდა მსმენელს და განახლებას მოითხოვს.

თბილისის საოპერო თეატრის რეპერტუარში კარგახანია ველა უხედავთ კლასიკურ ბალეტს. „გედების ტბას“, „მძინარე მზეთუნახავს“, „რამონ-დას“, „დონ-კიხოტს“ ვერ იცნობს ჩვენი ახალი მაყურებელი. რეპერტუარიდან გამოვარდა ისეთი პოპულარული ოპერები, როგორიც არის „ჰუგენოტი“, „ლაკრი“, „სოფლის პატიოსნება“, „ფრა-დიაკოლო“. სუსტად და ერთფერვნად არის გამოყენებული რუსული კლასიკური ოპერის მემკვიდრეობა. რეპერტუარის 26 სახელწოდებაზე მოდის მხოლოდ სამი რუსული ოპერა: „ევგენი ონეგინი“, „პიის ქალი“ და „მეფის საცოლე“. არ იღმება „ბორის გოდუნოვი“, „თავადი იგორი“, „ალი“, „მაზეპა“, „ქოშები“. ეს მდგრამარეობა უნდა გამოსწორდეს. საბჭოთა მსმენელს უფლება აქვს მოითხოვოს ჩვენი საოპერო თეატრისაგან მაღალიდეური, მხატვრულად სრულფასოვანი და მრავალფეროვანი რეპერტუარი, უფლება აქვს მოითხოვოს, რომ გააცნონ მას კლასიკური საოპერო კულტურის საუკეთესო ნაწილ-მოქმები. ჩვენს თეატრს შეუძლიან დაკავშიროვოლოს ეს მოთხოვნილებანი.

რეპერტუარის დაგეგმვას ახალ პირობებში, როდესაც გაუქმდა მუდმივი ადგილები და მოისპონ გარანტიირებული მაყურებელი, ე. ი. ისეთი მდგომარეობა, როცა თეატრები სახელმწიფო დოტაციის გარდა კიდევ შენიღბულ დოტაციას იღებდნენ ბილეთების მნიშვნელოვანი ნაწილის და მუდმივი ადგილების გარანტირებული გაყიდვისაგან, — უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა. კრიკი სპექტაკლი და მისა შესრულების მაღალი ხარისხი — ა თეატრის პროგრამა. რეპერტუარის სწორად აგება თეატრის ზრდის მთავარი პირობაა, რეპერტუარში კი უპირატესი ადგილი საბჭოთა პიესაშ უნდა დაიკავოს. საბჭოთა ხალხი თეატრს აფასებს იმის მიხედვით, თუ როგორ ასახავს იგი ცხოვრებას, რას ვვასტავლის, საით მოგვიწოდებს. თეატრებმა ამ მოთხოვნას უნდა უპასუხონ მუშაობის გარდაქმნით, რეპერტუარის შედგენის პრინციპებისა და მეთოდების გადასინჯვით.

რეპერტუარისა და დასის შემადგენლობის მოწესრიგება, ბილეთების გაყიდვისა და მაყურებლის ორგანიზაციის სისტემის გუმჯობესება, ახალი დადგმების გეგმის ღროულად და მთლიანად შესრულება, ზედმეტი და უნაყოფო ხარჯების შემცირება — ა რა არის საჭირო იმისათვის, რომ ჩვენი თეატრები და საკონცერტო ორგანიზაციები მართლაც სანიმუშოდ მუშაობდნენ.

ერ. ასევებაზურავი


„უკანასკნელი გაიხილ“ ჩასთავების თეატრში

კომედია დრამატურგიული ხელოვნების ერთი ურთულესი დაწყისა. იგი რომულია, როგორც შინაგანი კომპონენტებით, ისე გარეგანი ნიუანსებით, რომელთა ურთიერთ შერწყმა მხატვრულ ისტატიბასა და სიზუსტეს მოიხოვს. კომედიაში, როგორც სატირაში, ყოველი „უბრალი“ თუ „ნაკლებ“ მნიშვნელოვანი შტრიხი გადიდებულად და სიმბოლიურად მოსისხას. ნაწილობრივ ამ სირთულით უნდა ასხსნას ის გარემოება, რომ საბჭოთა დრამატურგია ჭერ კიდევ ღარიბდა კომედიური უანრით. ამიტომ ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი მიღწევა ამ დარღში აუცილებლად მისაღმების ღირსაია.

კომედიურ უანრზე სულ რამდენიმე

დრამატურგი მუშაობს. მათ შორის სერგო კლდიაშვილი ერთერთი მნიშვნელოვანი ფიგურაა. მას, როგორც მწერალს, მრავალი წინასწარი მონაცემი აქვს იმსათვის, რომ ყველაზე ნაყოფიერად იმუშაოს და შეკვეთის მაღალმხატვრული კომედიები.

სერგო კლდიაშვილი უმთავრესად პროზაიკოსია. როგორც პროზაიკოსი, იგი ცნობილია მცირე ფორმის მოთხრობებისა და ნოველების ისტატად. ფაბულარულად კონდენსირებულ ნაწარმოებში ს. კლდიაშვილი ჰქმნის ცოცხალ და მხატვრულად გონებამახვილ სიტუაციებში, ენამახვილობა კი მისი მოთხრობების ყველაზე ღირსშესანიშნავი თვისებაა. თავისი



დ. მჟავია

გედეონ შარიშვილი



ო. დოლიძე

თამარი



ა. თოიძე

ბაბო

მხატვრული აზროვნების ეს თვისებები მწერალმა გადაიტანა და განავითარა დრამატურგიაშიც. მისი პიესები ყურადღებას იყრინდენ დიდი ლიტერატურული ღირსებით. ენობრივი სწმინდე, დალოგის დახვეწილობა, ლაკონიურობა და სიმკვეთრე, ენამახვილობა,—ია ის, რაც აქობს და შაინტერესოდ ხდის ს. კლდიაშვილის ყოველ დრამატურგიულ ნაწარმოებს. მის პიესებში პირველ პლანზე მოსჩანს პროფესიონალი მწერალი, დაქტორულოვნებული პროფესიონალი, რომელსაც კარგად შეუსწავლია სცენის ტექნიკა. უსმენთ სცენიდან კლდიაშვილის პიესებს და თქვენ ყურს არაფერი ეჩოთირება. ამ ღირსებებს არ არის მოკლებული არც „უკანასკნელი რაინდი“.

„უკანასკნელი რაინდი“ კომპოზიციურად და ენობრივად თითქმის უნაკლოა, იმ პლანით, როგორც ის აეტორს აქვს მოფიქრებული, თანმიმდევრულად ვთარდება და დასრულებულ სახეს ატარებს. მაგრამ მთავარი, რაზედაც უნდა შევაჩეროთ ამ წერილში მთელი ყურადღება, ესაა ავტორის პრინ-

ციპი, მხატვრული მეთოდი, რომლითაც უდგება იგი თემას. პიესის ნაკლი უპირველეს ყოვლისა დრამატურგის შემცდელი მხატვრულ პრინციპში მდგომარეობს.

ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს იმის შესახებ, რომ პიესა „უკანასკნელი რაინდი“ სქემატიური ნაწილობია. იქ საზოგადოებრივი, პოლიტიკური და ყოფითი მოვლენები არ არის ფართოდ აღმული. არ არის მონახული ამ მოვლენების ტიპიური, ზოგადი, შემკრები თემისებები. მიტომ ეს არ არის ღრმა და ძლიერი სატირა, რომელშიაც რეალისტური ფერების სიუხვითა და იდეურ-მხატვრული სიმახვილით ჩვენს წინაშე გადაიშლება ნამდვილი შინარჩისი და ბუნება იმ პოლიტიკური მიმართულებისა, რომელსაც დასცინის და ანადგურებს კომედიის ავტორი. სახეებიც არ არის რთულად მოფიქრებული და ღრმად დამტავებული.

დრამატურგს კომედიის თემად აღებული აქვს მენშევიკების დიქტატურის პერიოდი საქართველოში, უფრო სწორედ, ქართველი მენშევიკები თავითი დაქტატურის ღროს. მაგრამ კომედიის მართლაც ეს „კეთილშებილური“ თემა ავტორს ძალიან ემპირიულად აქვს წარმოდგენილი და ნაკლებად ცდილობს შეიჭრას მის რთულ იდეურ-მორალურ და ფისტოლოგიურ ლაბირინტებში. ღრამატურგი კაყოფილდება ვიწრო ყოფითი მომენტებით და მენშევიკური სახელმწაფოებრივი „სისტემის“ ზოგიერთი ნიშანდობლივი მხარეების აღნიშვნით. პიესაში სუსტი ცდა იმისა, რომ მზის სინათლეზე გამოიტანოს მენშევიზმის ზოგადტაბიური თვისებები და გამანადგურებლად დასცინოს მათ.

ქართული მენშევიზმი არ არის რაღაც ორიგინალური მოვლენა, ის არის ნაწილი საქართველოს მენშევიზმისა, რომლის თვისაც დამახასიათებელი იყო და არის ფარისებრობა მუშათა კლასის წინაშე, ღალატი, რევოლუციის გამყიდველობა გადამწყვეტ მომენტში, მუშათა კლასის უსირცხვილო გამცემლობა, სოციალიზმის

საქმის უბოროტესი მტრობა და ბურეუაზის უსირცხვილო სამსახური. ამ თუდა-სებურმა ფარისევლობამ, პოლიტიკურ შინაარსთან ერთად, თავისი ფსიქო-მორა-ლური „ნორმებიც“ შეჰქმნა. მწერალმა ყველაფერი ეს კონდენსირებულ ფორმა-ში და მხატვრული დამჯერებლობათ უნდა გამოიტანოს მზის სინათლეზე. მან უნდა დაგვიხატოს „ნაწილები“ ისე, რომ მასში ამოვიცნოთ მოელი. გერ კიდევ რეაქციის წლებში ვ. ლენინი ააშკარავებ-და რა მენშევიკების მოღალატურ ბუნე-ბას, ნატრობდა: „დროა გამოჩნდეს ახალი შეჩდრინი, რომ სასაცილოდ აიგდოს ვა-სილიერი და მენშევიკებიო“. აქ ლენინი გულისხმობდა მენშევიკური მოღალატისა და ფარისევლის ისეთი ზოგადი, შემკრებ და მხატვრულად სრულყოფილი ტიპის შექმნას, როგორიც თავის დროზე იყო შეჩდრინის იუდუშეა.

დრამატურგი არ მისდევს განზოგადოე-ბის პრინციპს. მართალია, ის გვიჩვენებს ზოგადის გამშვიათებულ შტრიხებს, მაგ-რამ ისე „დამოუკიდებლად“ ერთმანეთი-საგან, რომ მაყურებლობდე ძნელად მი-დიან ისინი და ორმად ვერ სწვდება მათ მაყურებელი. აქაც იგივე მხატვრული მე-თოდია დამნაშავე, რომელსაც იყენებს მწერალი ამ კომედიის წერის დროს. ეს არის ემპირიული მეთოდი. დრამატურგი თავის კომედიაში მიღინდის არა სატირის გზით, რომელსაც შესწევს უნარი ჩასწვ-დეს საზოგადოებრივი და პოლიტი-კური ცხოვრების უარყოფით მხარეებს; მათ ფესვებს, გამუქრს ისინი მიზეზობ-რივად და გამნაღურებლად დასცინოს მათ, არამედ შეარეს გზით, რაც იძლევა საუნის, მოვლენის, ან პიროვნების მხო-ლოდ კარიყატურულ გამოსახულებას, რა-დეგან ის (შარევი) უფრო საგნის გარეგან, მოჩვენებით მხარეს ემყარება.

კომედია ისევე, როგორც დრამა და ტრაგედია, მიზნად უნდა ისახავდეს წარ-მოგვიღებინოს ტიპის თავისებურება და მისი იდეურ-ფსიქოლოგიური და სულიე-



გ. სალარაძე

ლევან კორინთელი



ე. აფხაზე

ანტონ კომალი



ზ. მაჩაბელი

რეგაზ ციხიშვილი

რი მდგომარეობა ან ამ მდგომარეობას ევლუციის გზა ისე, რომ „გულგრილი“ დარჩეს მაღალზეობრივი ნორმებისაგან. მართალი იყო შელერი, როცა აღნიშნავდა, რომ კომედიაში ყველაფური მორალური ოვალსაზრისიდან გადატანილი უნდა იქნეს ფიზიკურზე, რადგან მორალური—არ ითქმნს განუჩრევლობას და გულგრილობას. მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ კომედია ემპირიული უარია ხელოვნებისა, რომ ის არ უნდა იძლეოდეს საგნისა და ხასიათის ლრმა იდეური ფიქტოლოგიურ ანალიზს. კომედიაც, ისევე, როგორც დრამატურგიის სხვა დარგი, ეყყარება ბუნებრივ საქნებს, ბუნებრივ და ტიპიურ მოვლენებს, რომელთა აჩებბობასაც თავიანთი მიზნებისგან ახსნა აქვთ. განსხვავება აქ იმაშია მხოლოდ, რომ ასაც ტრაგედია იძლევა როულ ვითარებაში, რომელიც ჩვენ გვითრევთ და საერთო ტანჯვის მონაწილედ გვხდის, კომედია უფრო „იოლ“ ფორმაში იძლევა. შილერისავე მოხდენილი სიტყვებით რომ ესთქვათ, „ჩვენი მდგომარეობა კო-

მედიაში წყნარია, გაურკვეველი, თავისუფალი, მხიარული. ჩვენ არ ვგრძელობთ თავს არც აქტიურად, არც პასუხიად, ჩვენ ვკვრეტო, და დანარჩენი ჩვენს გარეშე ჩეხება“.

კომედიასაც უნდა ჰქონდეს გარკვეული ფილოსოფიური სიღრმე.

ჩვენ არ შეგვიძლიან დავვთანხმოთ „უკანასკნელი რაინდის“ ავტორსა და მის დამდგელს, როცა მათ მთელი აქცენტი პიესისა და სპექტაკლისა სანახაობაზე გადაივთ. მართალია კომედიას სერიოდ „თავისუფლად და მხარულად“ ვცყურებთ, მაგრამ ის მანც სანახაობა არ არის. არც კომედია, როგორც დრამატურგიული ნაწარმოები, არც სპექტაკლი არ არიან სანახაობითი ელემენტებისაგან თავისუფლი. ეს ელემენტები აუცილებლად შედეან მათში, სხვანარიან სპექტაკლი წარმოუდგენელი იქნებოდა, მაგრამ გამოსავალი ხელოვნის შემოქმედებისა სანახაობა კი არ უნდა იყოს, ამამედ დიდი ხელოვნება. „სანახაობა,—ამბობდა ლენინი,—დე, იყოს!—წინააღმდეგი არა უარ. მაგრამ დე ამამთან ერთად ნუ დაიღწეულებრ, რომ სანახაობა—ეს არ არის ნამდვილი ხელოვნება, ასამედ, მეტად თუ ნაკლებად ლამაზი გართობაა“. (იხ. კ. ცეტკინის მოგონება „ლენინის შესახებ“).

შეიძლება ნაწილობრივ პიესის ნაკლოვანებთაც აისხნას ის გარემოება, რომ დამდგელი აქ. ვასაძე სპექტაკლის დამუშავებისას დიდ ყურადღებას აქცევს სანახაობით მხარეს, რათა მაყურებლის თვალში ამით ნაწილობრივ მაიც გამოიყიდოს პიესის სქემატიურობა, მაგრამ ეს არ არის საკითხის სწორად გადაწყვეტილი.

ეს ნაკლი უფრო შესამჩნევი ხდება, როცა აქტიონებიც თავიანთ თამაშს ამავე პლანით შლიან. აქტიონითა უმრავლესობის თამაში ისეთ შთაბეჭილლებას ჰქმნის, რომ ისანი მთავარ ყურადღებას აქცევს „ტიპის“ პორტრეტულ მსგავსებას და კარიკატურულ მოხაზულობას, არ იძლევიან სახის როულ გახსნას. ამიტომ ამ

სპექტაკლში მონაწილე მთელი რიგი ნიკიერი აქტიორები ვერ ამჟღვნებენ მთელ თავის შესაძლებლობას, ვერ ჰქმნიან ისეთ სახეებს, რომლებიც დიდხანს დარჩება მაყურებლის ცნობიერებაში. სცენიდან გასვლისთანავე საგსებით ჰქონდებიან ისინი მაყურებლისათვის. ეს გარემოება საჭიროს არ ხდის აქტიორთა თამაშის დეტალებრ ანალიზს, მაგრამ რამდენიმე მათგანზე მაინც უნდა შევჩერდეთ.

კრგად ასრულებს მენშევიკური მთავრობის თავმჯდომარის მოაღილის—შარიშვილის როლს დ. მეავია. პიესის მიხედვით ეს მთავარი როლია, რომელიც გამოზნულია მენშევიკური მთავრობის ბუნების გახსნისათვის. მსახიობის თამაშის სტრუქტურის მთლიანობა გაფერებთ სახის სიმართლეში. ეპიზოდი სიღრძეშე და შენაგანი ცინიზმი ნათლად წარმოგვიდგენს შინაურებში მედიურს, ბურჟუაზიული ქვეყნების წარმომადგენლებთან—ფლიდსა და მლიქენელ მენშევიკური მთავრობის წარმომადგენელს. ამ ტიპში მოცემულია მენშევიკური მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკის მრავალი დამასახათოებელი შტრიჩი. ამიტომ ის პიესაშიც და აქტიორის შესრულებაშიც სხვაზე უფრარეალისტურია.

მსახიობი გ. საღარაძე კორინთელის როლში დაგერებით თამაშობს. ამ თამაშში აღსანიშვავია თავისუფლება, რაც სავსებით ბუნებრივობაში გადადის, და გარეგნული ფერადოვნება. მოძრაობა ტექნიკურად ისე აქვს დამუშავებული, რომ მაყურებელი ინტერესით უყურებს მხატვრულად კარგად გაეთებულ შარქს.

ემ. აფხაძეს კომიური როლების ოსტატური შესრულებით სიკოცხლე და ხალისი შეაქვს ყველა სპექტაკლში. ის ყოველთვის ახერხებს რაღაც ახალი და საინტერესო შტრიჩები შექმნას. სარეცენზიონ სპექტაკლშიაც ყველაზე საინტერესო ემ. აფხაძეა ანტონ კობალის როლში. ის იძლევა ორიგინალურ კომიურ, რეალისტურ და ღრმად დამაფერებელ სახეს. კმაყოფი-




ლ. ვაჩანაძე

ტასო

ლებას გრძნობთ, როცა მსახიობი ბრძალა არ ენდობა თავის ნიჭის და ყოველი როლის შესრულებას ღრმა დაკვირვებისა და დიდი მუშაობის კვალს ამჩნევს.


დრამატურგიულად საინტერესო პერსონაჟია თამარი. მსახიობი ო. ლოლიძე მოხდენილად ასრულებს ამ როლს. იგი დამაფერებლად წარმოგვიდგენს ცოცხლად მოფიქრებულ კომიზმით საესე სახეს, რომელიც ბევრ „სიღრძემლოს“ ააშკარავებს მენშევიკური მთავრობის მინისტრების ფასტური ყოფა-ცხოვრებისას.

შესრულების მხრივ ასევე საინტერესოა ლ. ვაჩანაძის ტასო. მსახიობი სავსებით თავისუფლად თამაშობს, მაგრამ სახე მაინც სრული არ არის. ჩევნისაზრით ეს იმით უნდა აიხსნას, რომ დრამატურგის მიერ ამ მომქმედ პირს არა აქვს მიცემული ბოლომდე გარკვეული ფუნქცია. ძნელია იმის გაგება მაყურებლისათვის, თუ რა ინტერესი ამძრავებს ტასოს, როცა იგი გულმოლგინედ ხლართავს რომანულ და „პოლიტიკურ“ ინტრიგებს.



დ. გაგუა

კობიძე



შ. სამბარაძე

მართალაძე

გაგუაოცა ახალგაზრდა მსახიობის ზ. მაჩაბელის (რევაზ ციხიშვილი) მოხდენილმა და დასაბუთებულმა შესრულებამ. უდაოდ ნიჭიერი მსახიობის მოხდენილი და თავისუფალი თამაში ბუნებრივად ერწყმის სახის ორიგინალურ გააზრებას.

სამწუხაროდ ასევე არ ითქმის ალ. თოიძეზე (ბაბი). თოიძეს შეუძლიან მუდამ სანტერესო იყოს. ამისათვის მას ყველა მონაცემი აქვს. მაგრამ ივი ყოველთვის ვერ ამეღავნებს აქტიორულ გაბეჭდულებას. ბაბოს როლის შესრულების დროს ეს გარევევით იგრძნობა, მიუხედავად იმისა, რომ ძირითადად დამაუმართოფილებლად თამაშობს.

მუსიკა (ი. ტუსკი) სავსებით შეეფარ-

დება ტექსტს. ის ორგანიულად ედერს სპექტაკლის საერთო გარემოცვაში.

დ. თავაძის მხატვრობა გემოვნებით არის შესრულებული. მხატვარს კარგად აქვს შეტენილი ფერები და დიდი ზომიერებით აქვს შესრულებული ყველა მოქმედების გაფორმება. მთავარი ისაა, რომ დ. თავაძის მხატვრობა საღაა და მხატვრულად კარგად მოფიქრებული.

დამდგმელს ა. ვასაძეს უდაოდ დიდი მუშაობა ჩაუტარებია იმისათვის, რომ სპექტაკლი მთლიანი და საინტერესო ყოფილიყო. ამ დადგმეშიაც სჩანს სრულ კავშირის სახ. არტისტის აკაკი ვასაძის დიდი რეჟისორული შესაძლებლობა და პოტენცია.

აპ. განებიძე

3. ერისთავის განებიძის საკითხები

გიორგი ერისთავი თავისი დროის ფრიად განათლებული ადამიანი იყო. მან იმოგზაურა ევროპაში. იცოდა ფრანგული ენა. 4 წელწადი ცხოვრობდა პოლონეთში. თარგმნა მიკეცევისის, ლერმონტოვის, ბუჭინის, კრილოვის და ვ. ჭუგის (ფრანგულიდან) ლექსები. მანვე გადამოთარგმნა ნაწილი გრიბოედოვის კომედიის „გაი ჭკუისაგან“.


გ. ერისთავის დრამატურგიის ზოგი ერთ თემებს იცნობს მსოფლიო ლიტერატურა. ჩეგნი მიზანია მოკლედ აღვნიშნოთ-რაში ხედებიან ერთმანეთს მსოფლიო ლიტერატურა და გ. ერისთავის დრამატურგია.

ამ მხრივ საინტერესოა მისი კომედია „ძუნწი“. ცნობილია, რომ ეს თემა არაა ერთი რომელიმე მწერლის კუთვნილება. ჯერ კიდევ ძველად ხალხში არსებობდა თქმულება „ძუნწის“ შესახებ: ძუნწი დღე და ღამე ღმერთს ეცედრებოდა მიეცა მისთვის ბევრი ოქრო. ღმერთმა შეუსრულა მისი სურვილი. ძუნწი ასაცხელს შეახებდა, თვით საჭმელსაც კი, ყველაფერი იქროდ იქცეოდა. ძუნწმა ველარაცერი შეჭირა და შიშილით მოკვდა.

კომედიებს „ძუნწის“ თემაზე მრავალი პერძენი დრამატურგი წერდა, მაგრამ მათ ჩენამდე არ მოუღწევია. დიდი ოსტატები პლავრი, შექსპირი, პუშკინი, მოლიერი შეეხენ ამ თემას. მათ კუცობრიობას დაუტოვეს შესანიშნავი ნაწარმოებები, სადაც იშვიათი ოსტატობით არის მოცემული ძუნწის სახე. ევკლიონი, პარბაგონი, ბარონი სიძუნწის სინონიმებია ხალხში, ასეთივე საქართველოში გ. ერისთავის კომედიის „ძუნწის“ მთავარი გმირი კარაპეტა.

მსოფლიო ლიტერატურაში გ. ერისთავის „ძუნწი“ უახლოვდება პლავტისა და მოლიერის ძუნწს.

არსებობს მასალების მიხედვით პირველობა „ძუნწის“ სახის დამუშავებებში ძეველ რომაელ კომედიოგრაფს პლავტს ეკუთვნის, რომელიც თავის შემოქმედებაში ფართოდ ეყრდნობოდა ჩეგნ ერამდე IV და III საუკუნის ბერძნულ საყოფაცხოვრებო ხასიათის კომედიებს. პლავტი კომედიებში დიდი ოსტატობით იძლევა მოხერხებული მონის, ტრაბახა მეომრის, ძუნწის, მაჭანკლის და გაბედული ვაჟრის მხატვრულ სახეებს. ჩეგნთვის ამ შემთხვევაში საინტერესოა მისი კომედია „განძი“, სადაც პლავტმა ეკვლიონის სახით დიდი ოსტა-



გიორგი ერისთავი

ტობით მოგვცა ძუნწის სრულყოფილი სახე.

ისე, როგორც ყოველი ძუნწი, ეკლი-ონი ჩივის თავის სიღარიბეზე. მოსამსა-ხურ სტაფილა მმობს, ეკლიონის საჩ-ლი „სავსეა სიცალიერით და ობობას ქსელით“. როგორც ღარიბი, ღამარება-საც კი ღებულობს სახოგადობრივ სა-შუალებებიდან. მასში სიძუნწეს ისე ძლიერად გაუდაგმს ფესვები, რომ და-ლაქის მიერ მოჭრილი ფჩხილებიც კი სახლში მიაქვს.

სინამდვილეში კი ეკლიონს დიდი შე-ძლება აქვს. მას „განძი“ აქვს მიწაში ჩა-ფლული. დღე და ღამე მასზე ფიქრობს. მას ეჩვენება, თითქოს მამალი, რომელიც მიწას ქექავს, მის „განძსა“ თხრის. მღი-დარ შეზობელ შეგადორისაც ეკლიონი ღარიბი ჰგონია. მას სურს ცოლად შეირ-თოს ეკლიონის ქალიშვილი ფერა. ეკლიონი, როდესაც დარწმუნდება, რომ მზითევს არ მოსთხოვს, დათანხმდე-ბა თვისის ქალიშვილი მიათხოვოს შეგა-დორას. კომედიაში მოცემულია მოხერ-ხებული მონა, შეგადორის მსახურის სტრიბილის სახით, რომელიც მოჰპარავს „განძს“ ეკლიონს...

ბოლოს ირკვევა, რომ ეკლიონის ქა-ლიშვილი ფერი აღრე შეუცდენა მე-გადორას ღისწულს ლიკნიდს და მას სურს ცოლად შეირთოს ფერა. კომე-დის ბოლო ნაწილი დაკარგულია. მკვლე-ვარების აზრით პიესა ასე სრულდებოდა: „განძს“ უბრუნებენ „ძუნწს“. გახარე-ბული ეკლიონი თავის ქალიშვილს მია-თხოვებს ლიკნიდს, „განძს“, რომელმაც ასეთი დიდი ტანჯვა მიაყენა, მზითვად აძლევს თავის ქალიშვილს ფერას.

ძუნწი ეკლიონის სახით პლავტი და-ცინის სიხარებს და სიძუნწეს, რომელიც სიძრიდის მფლობელს ჰქმის საბრალო და ღარიბ აღმიანად. ცნობილია, რომ პლავტმა დიდი გავლენა მოახდინა ეკ-როპის კომედიოგრაფიის განვითარებაზე. პლავტს ბაძავდნენ შექსპირი, მოლიერი,

ბომარშე და გოლბერგი. იცნობდა თუ არა პლავტის კომედიას „განძს“ გ. ერისთავი თავი? არის თუ არა მის კაშედია „ძუნწზე“ პლავტის გავლენა? პლავტის კომედიები ეკროპაში აღორძინების ხა-ნაში გამოჩნდა სცენაზე. რუსეთში ინ-ტერესი პლავტისადმი ღაწყო მხოლოდ მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში. ამ დროს გადმოითარება პლავტის კომედია „ტევებიც“.

საფიქრებელია, რომ გ. ერისთავი არ იცნობდა ამ კომედიას. ყოველ შემთხვე-ვაში პლავტის გავლენა გ. ერისთავშე არ ჩანს. თუ ეს ორი კომედია „განძი“ და „ძუნწი“ ზოგიერთ მოქმედებათა სიტუ-აცებში ერთმანეთს ემსგავსებიან, ეს იმდენად, რამდენადაც მოლიერის კომე-დია „ძუნწი“, რომლის ზეგავლენითაც დასწერა გ. ერისთავმა თავისი კომე-დია „ძუნწი“, შექმნილია პლავტის „გან-ძის“ მიბაძვით.

სიძუნწეს, ისე როგორც ხელგაშლილობა, არ უნდა გავიგოო, როგორც მარტო ერ-თი რომელიმე სოციალური კლასის დამახასიათებელი ნიშანი. ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენლებისაც ახასიათებდა სიძუნწე. ლიტერატურაში ცნობილია არა მარტო ძუნწი ვპრები, არა-მედ მემამულენიც. სხვა რომ ის დავასახე-ლოთ, გოგოლის მიერ შექმნილი ტიპი „მკვდარ სულებში“ მემამულე პლუშკი-ნი ძუნწია. ასევე პუშკინმა ნაწარმოებში „ძუნწი რაინდი“ დიდი ოსტატობით მოგვცა ძუნწის ტიპი ბარონის სახით.

ერთი და იგივე თემა შეიძლება გან-სახიერებული იქნეს როგორც კომიურ, ისე ტრაგიულ ფორმებში. სიძუნწე პლავ-ტშა, მოლიერმა და გ. ერისთავმა მოგვ-ცეს კომედიურ ფორმებში, პუშკინმა კი ტრაგიულში. პუშკინის „ძუნწი რაინდი“ ტრაგედია.

გ. ერისთავი ზედმიწევნით იცნობდა პუშკინის „ძუნწ რაინდს“. ქართულ კრი-ტიკში აღნიშნული იყო, რომ ბარონის მონოლოგის დასაწყისი:

„ვით ახალგაზრდა ცულლუტი ელის
ცბიერ დიაცტან შეხვედრას, ანდა
უკვე შეცდენილ უგუნურ ქალაბა,
წუთებს ვითველი მთელი დღე, როცა
ჩემ ფარულ სარდაფს და ერთგულ
სკივრებს

ვესტუმრებოდი! ბედნიერო დღეე!“

უახლოვდება კარაპეტას მონოლოგის
დასაწყისს:

„როგორც ყმაწვილი შეკვარებული
ელის საყვარელს გაგიებული,
ამათ ღმევ აქვთ დრო დანიშნული,
მეც მაგრე მელის ზანდუქში ფული“.

პუშკინის „ძუნწი რაინდის“ გავლენა,
ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, გ.
ერისთავის ძუნწე არ ჩანს. პირველი
ტრაგედია ლექსათ დაწერილი, მეორე
კომედია. პირველის მთავარი გმირი ბა-
რონი-რაინდია, მეორესი კარაპეტა-შევას-
შე ვაჭარი. თუ ეს ორი ნაწარმოები რო-
მელიმე საკითხში ერთმანეთს უახლოვ-
დება, მაგალითად პირველშიც ძუნწის
ტიპია მოცემული და მეორეშიაც, ბარო-
ნიც ლოცულობს ოქროთი სატეს სკივრის
წინაშე და კარაპეტაც, ეს იმიტომ, რომ
პუშკინის „ძუნწი რაინდშე“ დიდი გავლე-
ნა მთახდინა მოლიერის „ძუნწმა“.

მოლიერის კომედიის „ძუნწის“ მთავა-
რი გმირია მევახშე, ძუნწი პარპაგონი.
შზარეული უარ, თვით პარპაგონს ასე მი-
მართავს: „მეორეს მოუგონია ვითომ თქვენ
ზიქებს განგებ უჯავრდებით და ეჩსუბე-
ბით ვადის გასვლის დროს, რომ ჯამაგო-
რი თქვენ შეგრჩეთ. მესამე ამბობს, რომ
თქვენი მეზობლის კატაზე საჩიგარი შე-
გიტანიათ, ცხვრის დღმის ნაგლეგი მოშ-
პაროა; ერთს მოუგონია, რომ თქვენ თი-
თონ შემოპარულებართ ერთ ღამეს თქვენ-
სავე თავლაში, თქვენენ თქვენისავე ცხე-
ნისათვის ქერის მოპარვა გდომებიათ,
მაგრამ მეგინიბეს შეუსწრიხისართ ბნელა-
ში და იმდენი ურტყამს, რომ სულ ზურ-
გიდან ტყავი აუძრია, მაგრამ სიჩუქვი-
ლით ხმა ვერ ამოგილიათ. რაღა ბევრი

გავაგრძელოთ, ბატონი, ერთი სიტყვით
ყველგან თქვენი ლანძლვა ისმისა კუთხი-
ლა თქვენ ყოფილხართ: ძუნწიც, წუწერი,
ქეციანიც, ლაჩარიც“.

კომედიაში შექმნილია ინტრიგის მე-
ტად რთული ქსელი. პარპაგონის ვაჟს
კლეონტს უყვარს შეძლებული კაცის ან-
სელმის ახალგაზრდა ქალიშვილი მარი-
ნა. პარალელურად კომედიაში ვითარდე-
ბა მეორე სკვარული. პარპაგონის ქა-
ლიშვილს ელიზას უყვარს ანსელმის ვაჟი
ვალერი. პარპაგონს არ სურს თავისი ქა-
ლიშვილი მიათხოვს ღატაც ვალერს, პი-
რიქით მას სურს ელიზა ცოლად შერთოს
მდიდარს, ხანში შესულ ანსელმს. გაუ-
გებრობის ნიადაგზე მამა და შვილი, ან-
სელმი და ვალერი, ეცილება ერთმანეთს.

როგორც პლავტის კომედია „განძში“,
აქც გამოყვანილია მოხერხებული მსა-
ხურის ტიპი. ესაა ლაფლეში, რომელიც
იხსნის შეკვარებულებს მოსალოდნელ
განსაცდელისაგან. ძუნწი პარპაგონს გადა-
მალულ აქვს დიდი სიძლიდრე. ლაფლე-
ში მოპარავს მას ოქროთი სავსე სკივრს.
ძუნწი იტანება. თავზარდაცმული გაპ-
კუირის: „დავილუპე! გამძარცვეს, ყელი
გამომჭრეს! ვინ იქნებოდა? როგორ მოვ-
ნახო? საით წავიდე, საით? არა! აქ ხომ
არ იქნება: ვინ იცის იქნებ აქვე! დადექ,
დადექ! (წაივლებს ხელს მკლავზე) ფულე-
ბი, ჩემი ფულები დამიბრუნე-მეთქი ვაიმე!
მე ხომ მე ვარ. ჭკუა ამერია. ვაი, ჩემო საყ-
ვარელო ფულები! ვაი, ჩემო ერთგულო
მეგობარო! წმართვეს შენი თავი“. ოქ-
როთი სავსე ყუთს დაუბრუნებენ პარპა-
გონს და ამით დაითანხმებენ, რომ მარინა
შეიჩროს მისმა ვაემა დამისა ქალიშვილი
ელიზა გაპკუის ვალერს. ბოლოს გამოირ-
კვევა, რომ ანსელმი მამა ვალერის და
მარინას; ეს უკანასკნელნი კა ანსელმის
დაკარგული შეიღებია.

უდაოდ დიდია მოლიერის გავლენა
გ. პლეხანოვი წერდა: „ერ-
თი ქვეყნის ლიტერატურის გავლენა სხვა
ქვეყნის ლიტერატურზე პირდაპირ პრო-

პორტულია ამ ქვეყნის საზოგადოებრივ ურთიერთობათ მსგავსებისა“.

მოლიერის და გ. ერისთავის კომედიების სოციალ-ეკონომისტი ფონი დაახლოებით ერთი და იგივეა. ისე როგორც XVII საუკუნეში საფრანგეთში ფეოდალური საზოგადოების წიაღში ახლად მოიმართებოდა მომავალი ცხოვრების მესაჭე ბურჟუაზია, ასევე საქართველოს სინამდვილეში XIX საუკუნის 40-50-იან წლებში მსგავსი ეკონომისტი პროცესები ხდებოდა.

მოლიერის და გ. ერისთავის კომედიების ძრითადი მისალა უახლოვდება ერთმანეთს.

გ. ერისთავის „ძუნწის“ სიუკეტი, აღნავობა მარტივია, უბრალო. მევანშე კარაპეტას ქალიშვილი ხამფეროვანი უყვარს თავად არჩილს. მას სურს ხამფეროვანი ცოლად შეირთოს. კარაპეტა არ აძლევს მათ შეუღლების საშუალებას იმ მოსაზრებით, რომ „თავადს ფული არა აქვს“. პარალელურად, ძალიან მკრთალად, პიესაში მოცემულია მოსამსახურე იმერელ ბიჭის ივანიკას და მოსამსახურე გოგოს მონავარდისას სიყვარული. ივანიკას ჩრევით კარაპეტას მოპარავენ ოქროთი საგე ყუთს და დაუბრუნებენ მას შემდეგ, როდესაც კარაპეტა დათანხმდება არჩილის და ხამფეროვანის შეუღებაზე.

ცხადია მოლიერის „ძუნწის“ სიუკეტური განვითარება და აღნავობა უფრო რთულია, ვიდრე გიორგი ერისთავის „ძუნწის“. პირველი 5 მოქმედებისაგან შესდგება, მეორე 2 მოქმედებისაგან. პირველში 15 მოქმედი პირია, მეორეში 7. მოქმედი გმირები პირველში უფრო სრულყოფილია, მეორეში ზოგიერთი მოქმედი პირი პორტურებს უფრო წააგას, ვიდრე ტიპს.

მოქმედი პირის ხასიათის მოსაცემად ერისთავი კონტრაქტებს მიმართავს, ერთმანეთს უპირისპირებს თავად არჩილსა და მევანშე კარაპეტს. ამ დაპირისპირე-

ბაში ისახება ორი მოპირდაპირე კლასის წარმომადგენელთა დამახასიათებელი თურქები. მოლიერის და გ. ერისთავის „ძუნწის“ აქვთ საერთო ადგილებიც. სწორედ აქ მოჩანს მოლიერის დიდი გავლენა გ. ერისთავზე. ორივე კომედიაში მოსამსახურე, პირველში ღაფლაში და მეორეში ივანიკა, პარავენ თავიანთ პატრიონებს ოქროთი საგე ყუთს. ესაა ორივე კომედიის ინტრიგის დასაყრდენი წერტილი. ეს კომბინაცია აძლევს შეყვარებულებს შეუღლების საშუალებას.

მოლიერის სკაპენის და სგანარელის გავლენით არის შექმნილი გ. ერისთავის „ძუნწში“, „მოხერხებული მსახური“ იმერელი ბიჭი ივანიკა და „უჩინ-მაჩინის ქუდში“ კიკოლა. ისე როგორც მოლიერის „ძუნწში“ / ღაფლაში, იუნიკაც პიესაში ყველაზე მაღლა დგას მოხერხებით. ძუნწი კარაპეტას მოდრეება მხოლოდ ივანიკამ შესძლო. მისი მოხერხებით უცნებლად ერთდებან ორი მოპირდაპირე კლასის წარმომადგენელი არჩილი და ხამფეროვანი, თუმცა კარაპეტა ამის სასტიკი წინააღმდეგი იყო. ივანიკა, მართალია, ვერ შეეღრება მოლიერის „ცულლუტების მეფეს“, მაგრამ სგანარელზე და ღაფლაში არა ნაკლებ გაქნილია.

ასევე მოლიერის ძუნწის პარპაგონის მონოლოგის გავლენითა შექმნილი კარაპეტას მონოლოგი: „ვაი, მიმვეღეთ... ყარაულ! ქურდები... პოლიციელსტერ! ჩესტის აფიცერ! სად არის ჩემი ქურდი, ვინ მომპარეთ?“ გეთაყვა მითხარით... თავს დავიხტჩიობ, წყალში გადავარდები, არა... ჰო, მოვკლო, ჩემი ქურდი...“ და სხვაებს ქართულ სინამდვილესთან შეფარდებული პარპაგონის მონოლოგია თვით პარპაგონის მონოლოგი კი პლავტის მოქალაქე შექმნილი ძუნწის ეველიონის მონოლოგის გავლენითა დაწერილი.

გ. ერისთავი, ისე როგორც მოლიერი, თავის ჰუმორის ქვეშ აყენებს როგორც თავადაზნაურობას, ისე ახლად ფეხადგ-

შულ ბურეულს; მიყირტუმ გასპარიში სურს დაუმოყვრდეს თავად ივანე დიდე-ბულიძეს იმიტომ, რომ მისი ქალიშვილი შუშანიკა ქნენა გახდეს. როგორც თოთონ ეუბნება ივანეს — „ენიაზ კომისიაში ოქმი შემიტანია, მეც კრიაზი გავხდე“. გ. ერისთავის ეს დაცინვა ბურეულის მეტიჩრობაზე, კლასობრივ სიბრძმეებზე მოლიერის სატირის წააგვს, რომელიც მას მოცემული აქვს „ფორე დანდენში“ და „გაზანგაურებულ მდაბიოში“.

იდეურად ერთმანეთს ენათესავებიან გ. ერისთავის „შეშლილი“, მოლიერის — „მიზანტროპი“ და ვრიძორედოვის — „ვაჟ ჭუქისაგან“. ალცესტი და ჩაცყი ისე, როგორც ბეგლარი, ვერ ეგუებიან მეშჩანური საზოგადოების უვარების პირობებს და პროტესტს აცხადებენ მის წინააღმდეგ ბეგლარს ახასიათებს მისწრაფება მაშინ დელი უვარების საზოგადოებრივი ცხოვრების დატოვებისაკენ. ის რომანტიკულად ოცნებობს ცის უსაზღვროებაში გაფრენაზე:

„ალევტრინდე მაღლა და კვალად მაღლა რომ ვერ ვხედავდე შეეყანას დაბლა“. ბეგლარის მონოლოგის ეს სტრიქონები წააგავს „მიზანტროპის“ მთავარი გმირის ალცესტის მიერ გამოთქმულ პროტესტს ცხოვრების უწესრიგობაზე. ისე როგორც ბეგლარი, ალცესტიც ეძებს თავშესაფარს. „მე მოვქები — ამბობს ალცესტი — ქვეყანაზე ისეთ განმარტოებულ კუთხეს, სადაც ადამიანს შეეძლება თავისუფლად და პატიონსად ცხოვრება“. ხოლო რუსეთის დამყაყებული მაღლი არისტოკრატიის მიერ შეურაცყოფილი ჩაცყი თავის მონოლოგს ასე ათავრებს:

„შორს მოსკოვიდან! ნუთუ ცისქვეშ, ერთს კუნკულს ვერსად ვიპოვო, ხეტა, სად დევნილ გრძნობას შევაფარებდე!“. ალცესტი, ჩაცყი და ბეგლარი ხედავენ ცხოვრებაში გაბატონებულ უწესრიგობას, მაგრამ მათ არ შესწევთ უნარი მისი გამოსწორებისა. ისინი პასიური ადა-

მიანების როლში გვევლინებიან და შედგა არიან განშორდენ ჭაბულივით ამშენებელი ბულ ცხოვრებას. „მიზანტროპი“ და „ვაჟ ჭუქისაგან“ ეყუთვნიან ეგრეთწოდებულ „მოღალ კომედიათა“ ტიპს. ალცესტი, ჩაცყი საკაცობრიო ხასიათის ტიპებია.

გ. ერისთავის კომედია „შეშლილი“ უახლოვდება კომედიის ამ ტიპს, მაგრამ მათ მხატვრულ სიმაღლემდე ვერ აღის.

1912 წელს გაზეთ „ოქტობერ“ გამოთქმული იყო აზრი გ. ერისთავის კომედია „გაყრის“ და რუსი მწერლის პისემსის კომედია „Раздел“-ის მსგავსების შესახებ.

ჩვენს მიერ შედარებულ იქნა ამ კომედიების ტექსტი. რა აქვთ მათ საერთო?

1. სათაური ორივე კომედიას ერთი და იგივე აქვს („გაყრა“ — „Раздел“).

2. „გაყრა“ და „Раздел“-იც ბატონყმური ურთიერთობის პირობებში დაწერილი ნაწარმოებია. როგორც პირველში, ისე მეორეში მოცემულია დაცემის გზაზე დამდგარი თავად-აზანურობა.

3. ორივე კომედიაში მებატონები იყოფენ მამაპაპულ ქინებას და ამ ნიადაგზე იქმნება კომიკური სიტუაციები.

4. „Раздел“-ის და „გაყრის“ ზოგიერთი აღგილები ჰგავს ერთმანეთს: მაგალითად, „Раздел“-ის 3. მოქმედებაში ქონების გაყოფის დროს, ანას და ემილიას ცილობა მოსდით თაორულ შალზე. აი, ეს ადგილიც:

«Иван Прокофьев: (вставая). Черновое условие-с подготовил: «18... года, октября... дня, мы напечатаны, а тут по форме-с... Пункт первый: я, штык-кикер Кирилл Семенов Манохин (Кирилл Семёнович подходит), получаю весь мужской гардероб покойного брата...»

Кирилл Семёнович: Вот за это, братец, благодарю; у меня все уйдет на пользу, — ложкуточка не брошую.

Иван Прокофьев: А имеющуюся из дамских нарядов сплошнотканую турецкую шаль беру... Кому там в из винограде? Вы-ли-е, Анна Ефремовна, возьмете, или Эмилия Петровна? Мне все равно... я так и запишу.

Эмилия Петровна: Я веру ее, дядюшка, за себя.



Анна Ефремовна: Нет, мой родной, эту шаль я желаю иметь: она жены покойного брата, которая была всегда моим другом, и я желаю ее сохранить на память.

Иван Прокофьевич: Как же-с?

Эмилия Петровна: Я не уступаю.

Анна Ефремовна: А я подавно.

Иван Прокофьевич: Так-с разорвите пополам.

Анна Ефремовна: Пусть лучше разорвется пополам, но я не хочу, чтобы она была в чьих-нибудь руках.

Эмилия Петровна: И для меня это будет приятнее.

Иван Прокофьевич: Подайте, Кирилл Семенович, шаль. (Кирилл Семенович подает). Рвать что-ли-с?

Сергей Васильевич (вставая и подходя). Конечно, рвать, давайте, я вам пособлю. (Разрывает шаль и подает одну половину Анне Ефремовне, а другую Эмилии Петровне).»

«**Е**ს სცენა ჰგავს „გაურის“ 3 მოქმედების სცენას, სადაც პავლეს და ონდუყაფარს ჩხები მოსცით მუთაქშე:

„რამაზ (კითხულობს განაჩენსა) ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერულთა, სინდისით მედიატორეთ დამტკიცებულის სულა შენა № 875-ითა.“

განაჩენის კითხვის დროს იწყება დავა ძებებს შორის. „პავლე აიღებს მუთაქსა, ონდუყაფარი მივარდება, ართმევს; პავლე წაართმევს, გადაილაჯებს მუთაქშე და ხანჭალს ამოიღებს.“

„**პ ა ვ ლ ე:** — (გაბრაზებული). მომიტანეთ ერთი დღიდი თოფი! აი, ქალიჩუნა დედაკაცი, ნახე ჩახმახი შევაწყაპუნე. მამა არ წამიწყდება, გამიგონე! გამიშვით, რა თოფი მინდა? ცალი ხელით დავახრახობ მელიასავთ, ვით არა აქვს შენ პავლესა, ჰო! (შემოვარდება ივანე)

„**ი ვ ა ნ ე** (ბარამს) რა მმავია, ჩტო ზაბებიო?

„**ბ ა რ ა მ ი:** — აი, შენი ჭირიმე, მუთაქშედ ჩხებობენ.

„**ი ვ ა ნ ე:** (იცინის) ფუ, კაյაი ნიზოსტ. (მოვა პავლესთან, წაართმევს ხანჭალს, მერე მუთაქსა გასჭრის შუაზედ, ერთს გადაუგდებს ონდუყაფარს) ნა ტებე, ბალ-

შოი რახბინიყ! (მეორეს გადაუგდებს პავლეს). ნა ტებე, ღურალეი! (ბეჭედში უყირისა) გაიტანეთ, გადაყრეთ ეს-ჩიხს მახოები, — ოჯვენოვის მიჩუქებია; ჩემს სახლს ნუ აჩირქაანებთ, სახლი ჩემია. (ბიჭები ჰქრეფენ საჩქაროთ. ივანე რევაზს) ა ტი ვონ, ისჩაღი აღ! (გავა)“.

აქაც ისე როგორც „Раздел“-ში, ივანე იდელებულია ორივეს დაკამოფილების მიზნით მუთაქა შუაზე გაჭრის, ერთი ნაჭერი ერთს მისცეს და მეორე მეორეს.

„Раздел“-ის მესამე მოქმედებაში გაყრის მსვლელობით უგმაყოფილო ივანე პროკოფის-ძე ჯონით ამსხვრევს მაგიდაზე გასაყოფად დაწყობილ ფაიფურის, ბროლის, ვერცხლის და სხვა ნივთებს. ასევე „გაურის“ 3 მოქმედებაში პავლეზე გულმოსული ონდუყაფარი ამსხვრევს გასაყოფ მინებს.

„გაურაში“ ივანე დიდებულიძე ლაპარაკის დროს ერთმანეთში ურევს ქართულს, რუსულს და ფრანგულს. „Раздел“-ში ასევე სერგეი ვასილის-ძე ლაპარაკის ხან რუსულათ, ხან ფრანგულათ.

არის მსგავსება მაქრინესა და ანას შორის. როგორც „გაურაში“ მეტი ქონების მიღების მიზნით პავლეს ცოლი მაკრინე ცდილობს მთატყუოს მედიატორი რამაზი, ასევე „Раздел“-ში ანა ცდილობს მთატყუოს ივანე პროკოფის-ძე, რომელიც ჰყოფს ქონებას.

ისმება კითხვა, რომელმა მთახდინა გავლენა: პისემსკი გ. ერისთავებენ, თუ პირიქით? პისემსკის კომედია ვერ მთახდნდა გავლენას გ. ერისთავებენ, რაღანაც „Раздел“-ი დაიბეჭდა 1852 წლის აგვისტოს. „გაურა“ კი შერ კიდევ 1850 წელს გადაითარგმნა და დაიბეჭდდ რუსულ ენაზე. საფიქრებელია, რომ ამ „გაურის“ რუსულ ტექსტს იცნობდა პისემსკი, და „გაურის“ ზეგავლენით დაწერა რუსულ ყოფაცხოვრებაზე აგებული კომედია „Раздел“-ი.

6. მუსე

ეჭვაზური თეატრი

აფხაზური თეატრის ჩამოყალიბების
პირველი ცდა უნდა მიეკუთნოთ 1917
წელს. ეს იყო ქ. ობამიჩირეში. მასწავლე-
ბელმა პ. შაკრილმა დაარსა აფხაზური
საგუნდო და ცრამატიული წრე. ამ
წრეებში ჩამოყალიბდა აფხაზური თეატრი.
ეს იყო საინტერესო მოვლენა, თუ კი მხედველო-
ბაში მიეთიდებთ, რომ ქალი წინათ საში-
ნელ საყოფაცხოვრებო პირობებში იმყო-
ფებოდა.

ახალგაზრდა წრის რეპერტუარი შეს-
ღებოდა ხალხური სიმღერებისაგან და
ცეკვებისაგან. წრეს პერნდა აგრძელებდე
თა-
ვისი ერთადერთი ღრამატიული ნაწარ-
მოები თვით პ. შაქრილის პიესა „უმეც-
რების ძალა“.

პირველმა აფხაზურმა სპექტაკლმა დიდალი მაყურებელი მიიზიდა. მაგრამ დროებითი მთავრობის აგნტებმა ყოველგარი ზომები მიიღეს იმსათვის, რომ ჩაეშალათ დიდად საჭირო კულტურული საქმე. და მალე, ადგილობრივი მეწარმეებური ხელისუფლების პროვიციული მოქმედების შედეგად, წრემ შესცვიდა თავისი არსებობა. მეორე ასეთი წრე ჩამოყალიბდა 1919 წელს სამასწავლებლო სემინარისათან დ. ი. გულაის და სემინარის ა. შავაიას ინიციატივით, მაგრამ ამ წრესაც მაღლ მოესპონ არსებობა მეწარმეების მოქმედების შედეგად.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების
დროს ჟენევისა კოველგვარი შესაძლებ-
ლობა, რათა ჩამოყალიბებულიყო ფორ-
მით ნაციონალური და შინაგასით სოცია-
ლისტური აზნაზური ხელოვნება.

დ. ი. გულაძე სე იღონებს პირველი აფხა-
ზური თეატრის ორგანიზაციას: „აფხაზეთ-
ში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების
2-3 თვის შემდეგ, პოლიტიკურათლების

კანკოფილებამ წინადაღებს მომცა ჩამო-
მეყალიბებინა აფხაზური დას, შემერჩია
რეპერტუარი და მემოგზაურა აფხაზეთის
რაონებში. ამ საქართველოს დიდის მონადომე-
ბით მოვკიდე ხელი. მაგრამ წასცე წავაწ-
ყდი ორ დაბრკოლებას, რომელიც აუცი-
ლებლივ უნდა გადამელახა. პირველი —
საიდან შეკვენა რეპერტუარი, და მეორე —
საიდან მოვაგროვ დას. რომ ეს სიძნე-
ლეები სავსებით გავითვალისწინოთ, სა-
ჭიროა ვიცოდეთ მხოლოდ ერთი: აფხა-
ზებს არასოდეს არ ჰქონიათ არც საკუთა-
რი თეატრი, არც საკუთარი ჰისები, არ
ჰყოლიათ არც აქტორები, მათ უმეტეს
აქტორი ქალები.

„მართალია, სემინარიის (სადაც მე ვსწავ-



ლობდი) მსმენელებმა მ. ხაშბამ, დ. დარ-სალიამ, ა. შაკაიამ და სხვებმა დადგეს თავათნით ძალებით კოდორის რაიონის რამდენიმე სოფელში ჩემ მიერ თარგ-მნილი ორი პიესა „უბედური დღე“ და „ორი შეიტა“, მაგრამ ეს იყო სცენის-მოყვარული ხასიათის შემთხვევითი წარ-მოდგენები.

რეპერტუარის საშინელი შიმშილი რომ როგორმე შემეცსო, ჩავუჩექი სამუშაოს და მოკლე ხანში გაღმოვთარგმნე თრი პიესა რუსულიდან: „გაუმარჯოს თვი-სულებას“ და „მე მოვკვდი“, რომელიც დაემატა ქართულიდან ნათარგმნ „უბე-დურ დღეს“ და „ორ შეიტას“.

აფხაზ გლეხისათვის რეპერტუარის შერჩევში მე შემთხვევით არ შევ-ჩერდი პატარ-პატარია კომედიებზე. ჩემის აზრით ეს უფრო სწორი ვზა იყო და მას გაყევი. ამრიგად პირველ ხანებში უზ-რუნელყოფილი ვიყავით მცირეოდენი მასალით.

ახლა დასის შეკრების საკითხი. საი-დან აფიცანო თუნდაც ოდნავ მაინც გა-მოსადეგი ხალხი სცენისათვის, მით უმე-ტეს ქალები, რომელთა სცენაზე გამოყ-ვანას დიდი აგიტაციური მნიშვნელობა ჰქონდა?

ახლად ჩამოყალიბებული დასი უნდა მჭიდროდ შემეკრა, მიმემართა ერთ მიზ-ნისაჲენ, და გამეთბო ხელოვნებისადმი სიყვარულით. მა საქმეში დიდი დახმარე-ბა გამიშვითა ანტონ შაკაიამ, რომელიც ჩვე-ნი წამოწყების დიდი ენტუზიასტი იყო.

ამრიგად დასის საკითხიც მოგვარდა. საბერნიეროდ დასში აღმოჩნდნენ მშევ-ნიერი მომლერალნი და მოცეკვავნი, რომლებიც ამშენებლენენ ჩვენს სპექტა-კლებს. სხვათა შორის დასის გუნდმა პირ-ველად გაიტანა აფხაზეთის სოფლებში სიმღრა „ინტერნაციონალი“.

დიდი მზადების შემდეგ დასი 1921 წლის ივლისში გაემგზავრა საგასტრო-ლოდ ოჩემჩირის რაიონში.

მოკლე ხანში დასმა გაკეთა დიდი საქ-მე. იგი მოგზაურობდა როგორც ოჩემჩი-

რის, აგრეთვე გუდაუთის რაიონებში მარტო 1921 წლის ზაფხულს დასმა გა-მართა 15 წარმოლეგენა, რომლებიც წარმო-წარმატებით სარგებლობდნენ აფხაზ გლე-ხობაში.

აფხაზ შშრომელების შემოქმედებითი აქტივობა ყოველდღიურად იზრდებოდა-თოთქმის ყოველ რაიონში დაარსდა ღრამ-წრეები და მომლერალთა გუნდები. აფხაზ ხალხის სიმღრები, ცეკვები მოცელი საბ-ჭოთა მოსახლეობის საკუთრებად გადა-იქცა.

„ხე ფესვებით ცოცხლობს, ადამიანი კი მეგობრებით“—ამბობს აფხაზური ანდაზა. ისტორიულად საუკუნოებრივი მეგობრო-ბა აფხაზ და ქართველ ხალხის ყოველ-დღიურად მყვიდრდება და მაგრდება. და დღეს საბჭოთა აფხაზეთი ჰყავის როგორც საქართველოს განუყოფელი ნაწილი. ქარ-თველი ხალხის დახმარებით იგი აშენებს თავის სოციალისტურ კულტურას. მისი განვითარება უშუალოდ დაკავშირებუ-ლია საქართველოს ბოლშევიცე პარ-ტიისათან და მის სამაყო შვილთან ამხა-ნავ ლ. ბერიასათან.

რესთაველის სახ. თეატრის გასტრო-ლები სოხუმში 1926 წელს დიდი კულ-ტურული მოვლენა იყო აფხაზეთში. სოხუმის თეატრის სცენიდან პირველად დანახეს კოტე მარჯანიშვილის გენით შექმნილი ნამდვილი ანსამბლური საექ-ტაკლები, რომლებმაც დაუკრძალა შოა-ბეჭდილება დასტოვეს. სცენის მოყვარე აფხაზ მსახიობებმა დანახეს აქტიორთა მაღალხარისხოვანი თამაში.

რესთაველის თეატრის გასტროლების შემდეგ უფრო გაიზარდა აფხაზური ნა-ციონალური თეატრის შექმნის აუცილებ-ლობა. და აა 1928 წელს თეატრიც ჩამო-ყალიბდა. პირველ ხანებში სპექტაკლების ხარისხი მხატვრულად სუსტი იყო. თეატრს არ ჰყოფნიდა მსახიობები და არ ჰყავდა ნამდვილი სამხატვრო ხელმძღვანელი, რომელსაც შეეძლო ჩამოყალიბებინა, შეერა სპექტაკლები და მიეცა თეატრი-სათვის გარკვეული მხატვრული სახე.

1928 წლის ნოემბერში მსახიობთა კოლექტივი გაიზარდა 30 კაცამდე. ეს იყო ფორმალიზმითა და კონსტრუქტივიზმით გატაცების ძრო. მსახიობთან მუშაობა გადაწეული იყო უკანა პლანზე და სპექტაკლები შენდებოდა განსაკუთრებით გარეკულ ეფექტებზე, პოზებზე და ყალბ პათოსზე.


რეჟისორის მუშაობის ასეთი ცალმხრივი, გამოფიტული მეთოდი, რა თქმა უნდა, აფერხებდა აფაზაზ მსახიობების შემოქმედებითი ზრდას. მათ არ შეეძლოთ სწორად გაეხსნათ სახეები, და ამით ირლვეოდა სპექტაკლის ანსამბლური მთლიანობა.

ნაციონალური ფორმით გატაცებულნი შეგნებულად უგულველყოფილენ სოციალისტურ შინაარსს. ამის დასახასიათებლად საკიარისია დავასახელოთ ოეატრის მაშინდელი რეპერტუარი: „მახაჭირები“, „ლამარა“, „ლინნის აჯანყება“, „ყრუწარ-სულში“ და სხვა. მოხსენებული დრამა „მახაჭირები“ არ იძლეოდა აფხაზი ხალხის მჩაგვრელთა წინააღმდეგ ბრძოლის თუნდაც დაახლოებით სურათს. იგი გვიხატავდა ამ ბრძოლას ნაციონალის-

ტურ, შოვინისტურ ფერებში. პიესა მხატვრულად და დრამატურგიულად დამტკიცებული ხარისხისა იყო. დამდგმელმა უცნობი ლოვანება კიდევ უფრო გააღრმავა. სპექტაკლში არ იყო თურქეთის ინტერ-ვენციისაგან განაწებები ხალხს უდიდესი ტრაგედია, — ხალხისა, რომელიც შემდგომში გმინავდა რუსეთის ცარიზმის უღელ ქვეშ. ყველაფერი აშენებული იყო გარეგნულ ეფექტებზე: ხრომა, ცეკვა, პოზები და სხვა.

ასეთნაირივე იყო შოვინისტურ — მისტიკური პიესა „ლამარა“, ხოლო „ლინნის აჯანყების“ დადგმა იყო ხალხის მტერის ნამდვილი გამოსვლა იდეოლოგიურ ფრონტზე. ეს იყო პიესა, რომელიც შეგნებულად ამანინჭებდა ისტორიულ სინამდვილეს.

სხვათა შორის, ამ პერიოდში დადგმული იყო ლოპე-დე-ვეგას „ტერის წყარო“. პიესის არჩევანი თუ კარგი იყო, სამაგიეროდ საესტიბით არა სწორიად იყო გადაჭრილი მისი დადგმა. დიდი ესპანელი დრამატურგის პიესა რეჟისორის სურვილით გადაიქცა ფორმალისტურ კლაკნილებსა



აფხაზური დრამა—ნ. გოგოლის „რევიზორი“, 2 მოქ. დადგმა რექ. ედანოვის, შჩატვ. ვ. პოძოვა



აფხაზური დრამა
გ. ჩულია და ნ. მიქაელა—„66 წელი“
შ. ფაჩალია—პროასი
ა. ჯერგევია—შაზინა

და კონსტრუქტივისტულ ტეხილებზე აგებულ ოპერეტაა: დეკორაციები მოგაონებდნენ პაპიროსის ეტიკეტებს, მიუხედავად ამისა ეს სპექტაკლი აქტიორების დიდ გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს. პიესის შინაარსი სწორად იყო გაგებული აქტიორების მიერ. რაღაც შინაგანი ინტიუციით აქტიორებმა სპექტაკლი გადაარჩინეს და მას ჰქონდა წარმატება მაყურებლებში.

დიდის წარმატებით წავიდა აგრეთვე დრამატურგ ს. შანშიაშვილის პიესა „ანზორ“.

ნაციონალური, ორიგინალური დრამატურგია სუსტად ვითარდებოდა. მხოლოდ ახალგზრდა დრამატურგ დ. დარსალიას პიესა „ყრუ წარსულში“, რომელიც თუმცა სემებატიური და პრიმიტიული იყო, მაინც გამოიჩინა დანარჩენ პიესებში.

თავის არსებობის მოკლე მანძილზე აფხაზეთის თეატრმა დიდი მომსახურება გაუწია რაიონებს. შორეულ რაიონებშიც კი მიღიოდნენ და დგამდნენ სპექ-

ტაკლებს, რომლებიც დიდის წარმატებით სარგებლობდნენ გლეხებში. გარდა ამისა მათ სპექტაკლებს ჰქონდა დიდი კულტურული რული და პოლიტიკური მნიშვნელობა. გლეხების უმრავლესობამ პირველად დაინახა აქტიორები სცენაზე. ამ გასტროლებს ჰქონდა აგრეთვე ის მნიშვნელობა, რომ იგი ოვეიდებდა აფხაზ ხალხში შემოქმედების წყურვილს.

დიდ ინტერესს წარმოადგენს მოხუცელების აღტაცებული წერილი თავანთ თეატრზე: „ჩვენ ხანში შესული ხალხი ვართ. ზოგიერთი 60-65 წლისა. ჩვენ გაევირვებული ვართ, როდესაც მსახიობებათ ვხედავთ სცენაზე ჩვენივე მეზობლის შვილებს, ისეთივე კოლმეურნეებს, როგორც ჩვენ. ვფიქრობთ, რომ ეს დიდი მილწევა, რომელიც შეიძლება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების ღრუს“. და მართლაც ამ თეატრის გასტროლებმა მიიჩიდა ბევრი ახალგაზრდა კოლმეურნე—მომღერლები, მუსიკოსები და მოცეკვავენი.

კულტურული ღონის ამაღლების და სწავლის აუცილებლობა დღითი-დღე იზრდებოდა. განათლების სახ.კომისარიატი აგვიანებდა დრამატიული სტუდიის გახსნას. იგი გაიხსნა მხოლოდ 1930-31 წლის სეზონში. სტუდიაში გადაიყანეს ნიჭიერი ახალგაზრდობა. მართალია არ იყო პედაგოგების საკმარისი რიცხვი, მაგრამ მუშაობა მანც მიღიოდა.

უკველაზე სერიოზული ნკალი სტუდიის მუშაობაში ის იყო, რომ სწავლა მშობლიურ ენაზე არ სწარმოებდა. ვ. დომინგაროვს (სტუდიის ხელმძღვანელი), რომელმაც არ იცოდა აფხაზური ენა, ძლიერ უჭირდა აფხაზური მეტყველების ტექნიკის სწავლება.

უკდომა იყო აგრეთვე მსახიობების აღზრდა ისეთ მასალაზე, როგორიც არის გოგოლის „რევიზორი“. შეიძლებოდა უფრო შესაფერისი შინაარსის პიესების არჩევა დასახლეთ ევროპის, რუსეთის და ქართული დრამატურგიიდან, მაგრამ საქამე იმაშია, რომ სტუდიის მუშაობა რა-

ღაც შემთხვევითი ხასიათი ატარებდა. არც სტუდიამ, არც თეატრმა არ იძრუნეს ორიგინალური დრამატურგიის შექმნისა-თვის, ურომლისოდაც მნელია ახალგაზ-რდა თეატრის განვითარება.

1932 წელს სტუდიამ პირველი საჩვე-ნებელი სპექტაკლი მოგვცა „რევიზორი“, რომელმაც გვიჩვენა მსახიობთა ზრდა, მაგრამ... „რევიზორი“ მაინც არ იყო.

ვ. დომოგაროვი ვერ მიხვდა ამას. შემ-დეგ მან დადგა სტუდიელთა ძალებით ა. ოსტროვსკის „შემოსავლიანი ადგილი“. დომოგაროვის მისწრაფება რეალისტური სპექტაკლებისაკენ სწორი იყო, მაგრამ ამ მისწრაფების შესრულების მეთოდი კი შემცდარი და არა სწორი.

1934 წელს მოხდა სტუდიელთა პირ-ველი გამოშვება. დომოგაროვმა ჩააბარა თავისი უკანასკნელი ნამუშევარი და გა-მოუშვა ცომეტი მსახიობი-პროფესიო-ნალი.

საინტერესოა აღნიშნოთ თეატრის ამ წლების რეპერტუარი: „რევიზორი“—გო-გოლის, „შემოსავლიანი ადგილი“—ოსტ-როვსკის; „კერაზ“, „კიას ხაჭირათ“; „ვე-რაგიბა და სიყვარული“—შილერისა, „ბრწყინვალე მხეცები“—სარქისიანისა, „ხარუშას დალუპვა“—შ. ფაჩილიასი.

ნაციონალური დრამატურგია ძლიერ ღირიბი იყო რიცხვითაც და ხარისხითაც. „კერაზ“ და „კიას ხაჭირათ“ სრულებით ამანიშვებდნენ პირველი—აფხაზეთის რე-კოლუმურ ბრძოლას, ხოლო მეორე აფ-ხაზეთის ხალხის გმირულ წარსულს. ამას დაუმატოთ ის, რომ როგორც დრამატურ-გიული ნაწარმოებები ეს პიესები ძლიერ სუსტი და პრამიტიული იყვნენ.

1935 წელს აფხაზურ დრამიდან გამო-ყვეს რამდენიმე ნიკიერი მსახიობი, რო-მელნიც გაგზავნეს თბილიში რუსთავე-ლის თეატრის სტუდიაში ნამდვილი თეატ-რალური განათლების მისაღებთ. ამ სტუ-დიელთა რიცხვი გაიზარდა 13 კაცამდე. 1939 წლის გაზაფხულს სტუდიელებმა დაამთავრეს სწავლა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტების ა. ხორავას და ა.



აფხაზური დრამა
მოლიერი—„უორე დანდენი“
ა. კოვე—ელოდინა



აფხაზური დრამა
მოლიერი—„უორე დანდენი“
ლ. კასლანძია—უორე დანდენი

ვასაძის უშუალო ხელმძღვანელობით და ჩაბარეს საგამოცდო სპექტაკლები, უორე დანდენ“—მოლივრისა, დ. კლილიშვილის „უბელურება“ და დაუბრუნდნენ თავიანთ ოთატრის.

1935-38 წლებში ოთატრის ხელმძღვანელობდა ი. ა. უდანვივი, რომლის დროსაც აფხაზური თეატრი დიდ წარმატებებს აღწევს. მაგრამ მასაც ჰქონდა სერიოზული შეცდომები, რაც გამოიხატა „ბრწყინვალე მხეცების“ და „სეიდივის“ დადგმაში. ორივე სპექტაკლი სერიოზული ჩავარდნა იყო. მაგრამ მას ჰქონდა კარგი ხარისხის სპექტაკლებიც, როგორც მაგალ. „შემილი“, „დეკაბრისტები“, „ყრუწარსულში“, „ვოლკოვების ოჯახი“, „66 წელი“, „ოცნება“ და სხვა. ამ პერიოდში დაწინაურდნენ ახალგაზრდა რეეისორები რ. აგრძა და შ. ფაჩალია, რომლებმაც გვიჩვენეს თავიანთი რეეისორული ნიჭი სპექტაკლების დადგმით: „ყრუწარსულში“ (დადგმა აგრძასი), „66 წელი“ და „ვოლკოვების ოჯახი“ (დადგმა ფაჩალიასი).

1938-39 წლის სეზონში აფხაზურ თეატრში გაიშალა ნამდვილი შემოქმედებითი მუშაობა. სახ.თეატრის სამივე სპექტაკლის საკუთხეს რეეისორები იყვნენ ჩაბმული აფხაზური თეატრის მუშაობაში. სპექტაკლი „ესკადრის დალუპვა“ იყო ეტაპი აფხაზური თეატრალური ხელოვნების განვითარებაში. სერიოზული გმოცდა იყო აგრძელებული მთელი კოლექტივისათვის ორიგინალური პიესა „66 წელი“-ს დადგმა. მიუხედავათ იმისა, რომ სპექტაკლში ბევრი ნაკლი იყო აქტიორული და რეეისორული მუშაობის შეჩივე, მაყურებელმა მაინც იგი კარგად მიიღო.

თეატრის შემდგომი სერიოზული გამარჯვება იყო საბჭ. კავშირის გმირის ვოლოპიანოვის პიესის „ოცნება“-ს დადგმა. ამ სპექტაკლში მსახიობებმა თავიანთი მოფიქრებული და სწორი თამაშით ვიზი-

ვენეს სცენური კულტურის უფლებელი ზრდა. ამავე სეზონში რუსთაველის სახ.თეატრის სტუდიიდან დაბრუნდა ახალი გაზრდა რეეისორი აზის აგრძა, მან გ. მდივნის პიესა „სამშობლოს“ დადგმით გამოამუდავნა კარგი გემოვნება და რეუისორული ნიჭი. ყოველი სახე იყო ღრმად გაგებული, გაზრებული და განსილი. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ მოფიქრებული, კარგად დალაგებული მიზან-სცენები. შედარებით მოისუსტებდა მასიური სცენები, რომლებსაც ჯერ კიდევ რეეისორის სუსტი ხელი ეტყობოდა, მაგრამ დადგმა მაინც თეატრის გამარჯვებათ უნდა ჩაითვალოს. თეატრის ნაყოფიერმა მუშაობამ გამოიწვია მაყურებლის კონტინგენტის ზრდა.

როდესაც ჩვენ აფხაზურ თეატრზე ვლაპარაკობთ, არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ქართული და რუსული თეატრებიც, რომლებიც ასესბობენ და ღლითი-დღე იზრდებიან აფხაზური თეატრის გვერდით.

ორივე ეს თეატრი ჩამოყალიბდა 1928 წელს, მაგრამ მალე აფხაზი ხალხის მტრების მეოხებით მათი მუშაობა შესწყდა, ეს იყო ნათლად გამომედავნებული ნაციონალისტური პოლიტიკა.

მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ აღადგინეს თავისი არსებობა ამ თეატრებმა: რუსულმა 1935 წ. და ქართულმა 1936 წელს.

სამივე კოლექტივი ასახავს ჩვენს დიადინიამდვილეს. ეს მათგან მოითხოვს დისციპლინას, ორგანიზებულებას, საკუთარ თავზე დაუღალავ მუშაობას და თავიანთ საქმისაღმი უსაზღვრო სიყვარულს. ეჭვს გარეშეა, რომ აფხაზეთის სამივე თეატრი კიდევ მეტ წარმატებებს მიაღწევენ, შემდეგშიაც იმუშავებენ ჩვენი სამშობლოს საკუთალდელეოთ და იბრძოლებენ მთელი საკუთალდელეოთ და იბრძოლებენ მთელი საბჭოთა კავშირის ხალხთან ერთად ლენინ-სტალინის პარტიის დიადი იდეებისათვის.

არჩ. მისისობაში

ზოგი აამ ცეკვის შესახებ

ძალუშლი „დავლუანი — ლეპური“

ცეკვა ტანის მრავალნაირი მოძრაობით, თვალწირმტაცი სანახაობით ხელოვნების ერთი უძველესი და ულმაზესი დარგია. პირველყოფილ აღმანის თავისი სულიერი გრძნობები ტანის მოძრაობით გაფორმდა.

ცეკვა იგივე ფიზიკური ტანვარჯიშობაა, რის განვითარებასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს სინამდვილეში და მას დიდი სარგებლობაც მოაქვს აღმიანის ჭამრთველობისათვის.

მოცეკვავე, თუ დააკირდებით, ტანმოცვანილია, მარტი და უფრო ჭამრთველი. მუხლი მას მაგარი აქვს, ნაბიერ სწორად ზომილი და ხანგრძლივი სიარული შეუძლია. მისი სიარული, კაცია თუ ქალი, კოტტა და მოსაწონი.

სამწუხაობო, ქართულ ცეკვებზე დღევანდლამდის ორგანიზაცი სერიოზული ლიტერატურა არ მოპოვება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ უურნალ-გაზეთებში გაბნეულ წერილებს ამ საკითხის გარშემო.

რასაკვირველია, მე ჩემს თავზე არ ვლებულობ რაიმე ისტორიის წერას ცეკვებზე; მე ჩემი პატარა წერილით, როგორც ცეკვის მოცვარულმა, ქველმა პრატიკულმა მინდა მხოლოდ ზოგი რამ ცნობებით მცირე წვლილი შევიტან ცეკვის, განსაკუთრებით კი ეგრეთწოდებულ „ლეპურის“ მომავალ ისტორიაში.

როდის ერთობა აღმიანი ცეკვით, როდის არის ის ცეკვის გუნებაზე? მაშინ, როდესაც ოჯახურ მდგრადიობაში ახალი შემატებით, საქმის დაწინაურებით გამხიარულებულია და საერთოდ კრეატურისა ცხოვრებით. ანდა „ნუნუათი“ რომ

შეზარხოშდება, ეშჩე მოვა, ქეიფის გუნებაზე დადგება.

ნამდვილი მოცეკვავე კი დარღაინც რომ იყოს, ცდილობს თავი დავიშვებას მისცეს, საღმე „წაიქერიოს“, მუსიკა აახმაუროს და ფეხებიც შეათავაშოს.

ხალხი ძველად მასობრივ ცეკვებს აწყობდა და საღლესასწაული ზეიმებზე, დღეობაში, ოჯახურ სამხარულო დღის აღსანიშნავად, ქალ-ვაჟის პირველად შეხვედრა-გასინჯვის დღეს, ნიშნობაში, ქორწილში, მაისობას მინდვრად გასვლის დროს სხვადასხვა ხალხური საკრავების დახმარებით.

უფრო გვიან კი ცეკვას გაჰყენა ხალხი, როგორც ერთგვარ შემოსავლის წყაროს. იგი პროფესიული გახდა და გაგატანილ იქნა თეატრების სცენაზე, ესტრადაზე.

ცეკვის განვითარებას და აღორძინებას დიდი ყურადღება უქცევა დღეს; საბჭოთა ხელისუფლება დიდძალ თანხებს ხარჯავს ყოველწლივ საცეკვაო-საბალეტო სასწავლებლებისა და სტუდიების შენახვაზე. ცეკვისა საბჭოთა კავშირის ხალხთა ლომებიდები, რომლებზედაც განსაციიზრებელ ნიჭის მექანიზმებნ განსაკუთრებით გავშვები, მოზარდი თაობა. აღტაცებაში მოღიხარ და სიხარულით შესცერი მათ ხალისიან გამოსვლებს, ლაზათიან შესრულებას.

მე ყოველოვის მაინტერესებდა, რატომ არის ქართული ცეკვა „ლეპურად“ წოდებული? ვისაც არ მივმართე ამის შესახებ, ან ვერ მივიღე პასუხი, ან ვერ დავკმაყოფილდი განმარტებით.

პატივცემული ილ. ზურაბიშვილი (ცლეფთერიძე) 1937 წ. „საბჭოთა ხელოვნების“-ს № 3-ში მოთავსებულ წე-

რილში სრული სიმართლით აღნიშნავს, რომ ქართული ლეკური უდავლუროდ არ იწყებოდა. ჩევრი „ლეკური“ ორი ნაწილისაგნ შესადგებოდა — დავლურ-ლეკურისგან.

მც მინდა დავადასტურო, რომ ეს ქართლ-კახური საცეკვაო, რომელიც შემდეგში „ლეკურის“ სახელით მოინათლა, პირველ ხანებში დავლურად იწოდებოდა და შესადგებოდა ორი ნაწილისაგნ. პირველი ნახევარი სრულდებოდა მმიმდე, დინჯალ, ხოლო მეორე ნახევარი-გაცილებით ჩევრი ტემპით, მკვირკველად. მის მთლიან შესრულებას სჭირდებოდა არა ნაჯლებ 10 წუთისა. დავლურს მთლიანად ასრულებდა უსათუოდ ქალ-ვაჟი ერთად.

შემდეგში, თანდათანობით, დაახლოებით ოთხმოცანან წლებიდან, დავლურს პირველი ნახევარი ჩამოაცილეს და მხოლოდ მეორე ნახევარს-და ასრულებდა ხალხი, ქ. ი. მარტი „ლეკურს“. ხნ ისევ ქალ-ვაჟი ერთად, ხან ცალ-ცალკე „სოლოდ“ კაციც და ქალიც, ხშირად კი მარტო კაცი. ეს ალბად იმ მოასჩრებით, რომ დრო მოეგოთ, უფრო მეტ ხალხს ეცეკვა, რადგან არც ისე ადვილი იყო ძეველად ქალ-ვაჟის შეხვედრა საცეკვაოდ. ვაჟს ძებნა და თხოვნა სჭირდებოდა, რომ დაუთანხმებია საცეკვაოდ ამორჩეული ქალი. ამასთან დიღი ხნით ცეკვის შესრულებას ხელს უშლიდა მეორე გარემოებაც—ილლებოდნენ დამკვრელები—მუსიკის შემსრულებლები, რომლების შეცვლაც ერთგვარ სიძნელეს წარმოადგენდა.

ვაჟს შეეძლო საცეკვაოდ დავლურში გაეწვია როგორც ნაცნობი, აგრეთვე უცნობი ქალიც. უკანასკნელ შემთხვევაში ან თვითი ვაჟი წარულებოდა ქალს და წინასწარ გაცნობდა თავს, ან ვაჟს ნაცნობები მიიყვანდნენ ქალთა და გააცნობდნენ. ვაჟი კი ცდილობდა გამოეწვია უფრო ის, ვისაც ეტრიფიდა, საბოლოოდ სათავისოდ გამოელოდა. ქალისათვის სათაკილოდ ჩაითვლებოდა, უკეთუ ის გაედ-

ნიერდებოდა და ვაჟს გამოიწვევდა საცეკვაოდ.

ჩევრი ტემპით შესასრულებელი საცეკვა ყველა ჩევრის მეზობელ ხალხებს აქვთ, მხოლოდ ყველგან სხვა და სხვა ვარიაციებით. აქვთ კახეთის ახლო მეზობელებს ლეკებაც, რომლებიც (ორი ვაჟი ერთად) დიდის სიმკვირკხლით, ფეხის წვერებზე შედგომით მოხდენილად ასრულებენ მას.

როდესაც ჩევრის დავლურს ჩამოაცილეს პირველი ნახევარი და ხალხი უფრო ხშირად მეორე ნახევრის შესრულებას გაცემა, მას—ამ ნახევარს უწოდეს „ლეკური“, ე. ი. ლეკურისტებური, ლეკების ცეკვისებური.

ამნაირად, დავიწყებას მიეცა ძველი დავლური თავისი ორი ნაწილით. იშვიათად თუ სადმე შეხვედებით დღეს მის მთლიან შესრულებას.

ქართულ დავლურს—ლეკურს, როგორც საერთოდ სხვა ქართულ ცეკვებს, აქვს ერთგვარი თავისებურება და, ჩევრის აზრით, დიდი უპირატესობაც შედარებით ეკრობულ ცეკვებთან; მასში არის დაცული ქალის პიროვნების სრული პატივისცემა, მოწიწებით და მოკრძალებით მოყრობა. არც ერთს ქართულ საცეკვაობის ვაჟი არ გაეკრება ქალის სხეულს. ამავე დროს აიღოთ რომელიც გნებავთ ეკრობული ცეკვებიდან—ძველი: ვალი, მაზურა, პოლკა, კრაკვიაკი; ახლებიდნ: ფოქსტროტი, /ტანგო, რუმბა. აქ თითქმის სავალდებულოა, რომ ქალ-ვაჟი ცეკვის დროს ერთმანეთზე გაკრულები იყვნენ მთელი სხეულით, ლოკა-ლოკაზე მიწებებული.

როგორ სრულდებოდა წინათ და როგორ უნდა შესრულდეს დავლური თავისი ორივე ნაწილათ? რა უნდა იცოდეს კარგმა მოცეკვავემ?

მოცეკვავეს უნდა ახასიათებდეს მოხდენილი გმიოსვლა—დავლა (უნდა ვიგულისხმოთ, აქედან წარმოსდგა „დავლუ-

რი"), შემდეგ ტანის დაჭრა—თავის და წელის გაკავება (წელის აქტო-იქით გა-დაუზნექავად და თავის ჩაუღუნავად), ხელების ლამაზად გაშლა-მოძრაობა და, რაც მთავარია, ტაქტით ფეხის გასმა.

აქე უნდა ითქვას, რომ თუ მოცეკვა-ე მუსიკალურ სმენას მოკლებულია და მუსიკის ტაქტს არ იცავს, ე. ი. თუ მუსი-კა ერთს ჰანგს ასრულებს და მოცეკვავე კი თავისთვის შეუხამებლად ცეკვავს, როგორი კარგი მოცეკვავეც არ უნდა იყოს, ის ძლიერ ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებს.

ფეხის გასმა უნდა ხდებოდეს უსა-თუოდ ქუსლების აწევით და არა ტლან-ქად მოელი ფეხის მტევნებით იატაჭე (ან დედამიწაზე) ბრახენით. უნდა იქმნე-ბოდეს ტანის მსუბუქად გასრითლების შთაბეჭდილება. არავითარ შემთხვევაში დავლური არცერთ თავის ნაწილში არ საჭიროებს ფეხის რამე ვარიაციებს, როგორიცაა: შეხომა, ჩაბუქვნა, უკან აწევა-გაჯნევა, გადაჭვარედინება, თითის წვერებზე შედგომა და სხვა.

კიდევ ერთი აუცილებელი პირობა მო-ცეკვავესთვის: მას ცეკვას დროს „ზეთი კი არ უნდა ჩამოსლიოდეს სახეზე“, არა-მედ თან უნდა სდევდეს უაღრესად მხია-რული, მოღმმარი გამომეტყველება.

როდესაც დავლურში დაცულია კულა მოხსენებული წესი, იგი იშვიათ სანახაო-ბას წარმოადგენს და კარგ შთაბეჭდილე-ბასაც სტოვებს მაყურებელზე.

დავლური სრულდებოდა დიდ დარბა-ზებში, ან ცის ქვეშ მოედნებზე. ხალხი აკეთებდა დიდ წესს, რომლის შუაგულში ხდებოდა ცეკვა. როგორც ზევით ითქვა, დავლური პირველ ხანებში სრულდებო-და უსათუოდ ქალ-ვაჟის მიერ ერთად.

როგორია დავლურის შესრულების ტექნიკა?

მოცეკვავე ვაჟი ერთხელ დავლის შემ-დეგ ფეხის გასმით გაჩერდება იმ ქალის პირდაპირ, რომელიც მიზანში ჰყავდა უმოლებული და მდაბლად თავს უკრავს.

თუ ქალი ყოყმანობს, ან ვერ პერდა რამე მიზეზით გამოსვლას, ვაჟი ხელში ირედ აკეთებს დავლას, კიდევ გაჩერდება, ბა მის წინ, თავს დაუკრავს და ელოდება, სანამ ქალი გადმოვა წრეში, ან კატეგო-რიულად უასის მიიღებს მისგან.*).

ერთი საერთო დავლის შემდეგ ქალ-ვაჟი შორიდან უპირისიპირდებიან ერთმა-ნეთს სხვადასხვა მხარეს მიეცეული სა-ხით და ფეხის ნელი გასმით. შემდეგ პირველად ქალი გაჩერდება ავანსცენის ნაირზე, ხალხისკენ გვერდის დაიპირისპი-რებით და ამ დროს მის წინ ვაჟი აკე-თებს სოლოს დინგად ფეხის გასმით და ხელების მიმოქცევით. იგი არსაით სხვა-გან არ იხედება და მხოლოდ ქალს შესც-ქერის თვალებში მოღმმარი, ალერსიანი გამომეტყველებით. დაისრულა ვაჟამ თუ არა სოლო, გაჩერდება ქალის წინ; ახლა ქალი მოსცილდება თავის აღგილს (მის აღგილზე იმავე პოზით გაჩერდება ვაჟი) და ნაჩნარი სრიალით ვაჟის გასწერივ აკეთებს სოლოს და ფეხთა კივევით, გა-კავებული წელის ჩელებით, ხელების კე-ლუცი ტრიალით დინგად მოწევს ვაჟის-კენ. აი მიუახლოვდა მას, მუსიკამ სწრა-ფად შესცვალა ჰანგი, დაკვრა ჩქარი სა-ცეკვათ — „ლეკური“, დავლურის მეორე ნაწილი, და გაქმნილა ქალმა... გაჰყა-თან მევირცხლად წახალისებული ვაჟიც-ქალი დროგამოშევებით ცალის თვალით გამოიხედას ვაჟისკენ, თოთქოს სურს შეკრიფს, ხომ არ დამტეჭით. ვაჟი „თვა-ლებით სჭამს“ ქალს და გაშმაგებული მიისწრაფის მისკენ. ასე აკეთებენ მთლიან დავლას წრის გარშემო.

დავლურის მეორე ნაწილში მოცეკვა-ვენი იმეორებენ. იმავე წესებს, როგორც პირველში. სოლოს ასრულებენ ჯერით-

*) თუ ქალი ვაჟს უარით უპასუხებდა, მას ამ სამხიარულო ზეიმის დროს სხვა ვაუთაა აღარ უნ-და ეცვებნა; ამას მოითხოვთა ცეკვის ეთიკა, რომ პირველი გამომშვევე შეურაცხოფილი არ დარჩენი-ლიყო და ამას აურ-ზაური, უსიმოვნება არ მო-ყოლოდა.

ჭერ ვაჟი, შემდეგ ქალი. ბოლოს ასრულებენ უკანასკნელ დავლას (მთელს დავლურში ეს იქნება მესამე დავლა ვაკისთვის, მეორე—ქალისთვის), შემდეგ ამ დავლაში ფეხის სრიალით (ქალი) და გასმით (ცაი) სცილდებიან ერთმანეთს და თავის დაკვრის შემდეგ გადიან სხვა და სხვა მხარეს.

მოცეკვავეებმა აქ, ამ დავლაში და უკანასკნელი სოლოს შესრულებაში უნდა გამოიჩინონ მთელი ოსტატობა დავლურის ცოდნისა. ტანის ლამაზი მოძრაობით, ხელების ეშინან ხმარებით, ფეხის მარწო და მსუბუქი გასმით, მოციმიმე-მოლიმარი გამომეტყველებით მოცეკვავეებმა უნდა უნაკლოდ გაღმოგვცენ ამ ცეკვის მთელი სილამაზე. ამ გაღმოცემაში უნდა იყოს ჩაქსოვილი მთელი შინაარის ქალ-ვაჟის გამიჯნურებისა, რაინდული და ამავე დროს ფაქიზიანი გაარშიყებისა.

საერთოდ მიუღებელია დავლურ-ლე-ქურში შევცვალოთ მისი ტრადიციული წესები და დავამახინჯოთ ეს სიცოცხლით სავსე ულამაზები საცეკვო სხვადასხვა ვარიაციებით. მაგალითად, დაუშვებელია, როდესაც ლეკურში ქალ-ვაჟი თითქმის ერთმანეთზე მიტკუცულნი (დავლისა და

ცალ-ცალკე სოლოს შესრულების გიერ) რამდენჯერმე აქეთ-იქით გამოიყენონ, ან სოლოს თვითეული რამდენჯერმე ასრულებს, ან ორივენი განუწყვეტილოვ ცეკვავენ ერთი მეორის წინ, თითქოს ერთმანეთს ეჭიბერებიან, ამა რომელი უფრო ადრე დაილებათ.

დაუშვებელია აგრეთვე, როდესაც ვაჟი სოლოს შესრულების დროს გაჩერდება დამკერელების წინ, ან სხვა აღვილს და ქალს კი დასტოვებს უყურადლებოდ. მოცეკვავეს დიდ ნაკლად ჩაეთვლება, თუ მან სოლოს შესრულების დროს მაყურებელს ზურგი შეაქცია (როცა ცეკვა ხდება სცენზე, ან სადმე დარბაზში, სადაც მაყურებელი ერთ მხარეს არის მოქცეული).

მიუღებელია ვაჟის მხრით ქალთან ქუდით გამოსვლა-ცეკვა. ქუდი უნდა ეჭიროს მარჯვენა ხელში; მიუღებელია და, თუ გნებავთ უხერხულიც, როდესაც ქალი ვაჟთან ცეკვის დროს ფეხის გასმას ვაჟისებურად აწარმოებს.

დავლური თავისი ორივე ნაწილით, როგორც ცალკე „ლეკური“, უსათუოდ უნდა შევინარჩუნოთ თავისი ნამდვილი ტრადიციული სახით.

ხარეული სიმღერის ოსტავები

I

ვარლაშ სიმღერისილი

ღარიბი დედ-მმის შეილი იყო ვარლაშ ოქროპირის-ძე სიმღნიშვილი, ამიტომ მას საფუძვლადიანი სწავლა ვერ მიაღებინებს. ის მიბარეს შემოქმედის თემის ორკლასან სასწავლებელში, რომელიც ჭარჩინებით დაამთავრა 1896 წელს; 12 წლის ჰაბუქს დიდა სურვილი ჰქონდა სწავლა გაეგრძელებინა, მაგრამ ოჯახური პირობების გამო იძულებული იყო ამით დაქმაყოფილებულიყო.

პატარა ვარლამი თავიდანვე იჩენდა ნიჭის სიმღერაში, ყოველ ჰანგს ადვილად ითვისებდა, გურულ რთულ ხალხურ სიმღერებს თავისუფლად ეუფლებოდა. ამ გარემოებას ყურადღება მიაქციეს, როგორც მშობლებმა, ისე ახლობლებმა და პატარა ვარლამს ურჩიეს სიმღერა-გალობის შესწავლა.

წარსული საუკუნის მეორე ნახევარში, გურიაში სიმღერა-გალობის ცოდნაში დიდად განთქმული იყო ანტონ ღუმბაძე, რომელსაც ამ საქმის არაერთი შესანიშნავი ოსტატი აღუზრდა. და სწორედ ამ ანტონ ღუმბაძეს მიებარა ვარლამი სიმღნიშვილი ოთხი წლის ვადით, როგორც თვითონ ამბობს, და ბევრი საგალობელი და სიმღერა შეისწავლა მისგან.

წინათ შეგირდები ცუდ პირობებში იმყოფებოდნენ მასწავლებლებთან. შეგირდები უფრო მეტხანს მასწავლებლის სამსახურს ანდომებდნენ: წყალს უზიდავდნენ, ფეხსაცმელსა და ტანისამოსს უწმინდავდნენ,—მოკლედ, მოჯამაგირობდნენ. ნაწილობრივ, თუმცა ყოველთვის არა, მასწავლებელს თვით ხელფასს აღლუდნენ და სანოვაგეს: სიმღნის, ყევლს, კვერცხს, ქათამს და სხვა რამეს შინიდან უზიდავდნენ და ასე გაწვალებით იძენდნენ ოსტატისაგან მცირეოდნენ ცოდნას.

ვარლამ სიმღნიშვილსაც ზემოაღნიშნულ პირობებში მოუხდა სიმღერა-გალობის შესწავლა. ცხადია, ამ პირობებში იგი ბევრ რამეს ვერ შეძინებდა. ესეც არ იყოს, თვითონ ოსტატებიც ერიდებოდნენ და გაურჩოდნენ იმას, რომ მთელი თავიანთი ცოდნა მოწაფისათვის გადაეცათ; ამ შემთხვევაში ზოგ რამეს ოსტატები თავისთვის იტოვებდნენ, რომ შესაღაებელი რამ შეჩერენდათ და მოწაფები მუდამ დამოკიდებული ყოფილიყვნენ მათს ავტორიტეტზე, ცოდნა-გამოცდილებაზე.

ოთხი წლის შემდეგ ვარლამ სიმღნიშვილი მცირე ცოდნით გამოღის სამუშაოსპარეზზე, და როგორც ნიჭიერი და თანაც მუყაითი, თავისუფლად იყაფავს გზის ცხოვრების სარბილზე. 17-18 წლის



მახარაძის რაიონის ეთნოგრაფიული
გუნდის სელმცღვანელი
ვარლამ სიმღნიშვილი

ახალგაზრდას ნიშანავენ თხურგვეთის სასულიერო სასწავლებელში გაღობის მასწავლებლებიად, პარალელურად ის მასწავლებლობს შემოქმედის, გონიერისარისა და უჩხობის სამრევლო სკოლებში. ეს იყო ჩვენი საუკუნის პარველ წლებში, გურიას რეკოლუციის გარიერებულება.

იმ ხანებში თხურგვეთში ცხოვრობდა იტალიიდან დაბრუნებული მომღერალი, ბანი ფილიმონ ქორიძე. ფილიმონი სიმღერის ჩაწერასაც აწარმოებდა და ნაწილობრივ კომპოზიტორობასაც ეწეოდა. ვარლამ სიმონიშვილი დაინტერესდა ნოტებთ; მას ანტონ დუმბაძე სიმღერა-ვალობას ზეპირად აწავლიდა, აქ კი მან დაინახა რაღაც ხაზები, ხაზებზე კიდევ ჯოხები, რომელსაც ასე გულმოლგინედ სწერდა და ფისვარმონებ უკრავდა, თანაც მღეროდა ფილიმონ ქორიძე.

ვარლამ სიმონიშვილს სურვილი აღეძრა კასტრობოდა ნოტებს; ამ მიზნით ის დაუახლოვდა ფილიმონ ქორიძეს, იწყო მასთან სიარული, წაუმღერა, ბევრი რამ ჩაწერინა, ზოგი თავისით, ზოგიც ანტონ დუმბაძის დავალებით. მეგვარად, აქ უკვე ვარლამმა მიიღო, ასე ვთქვათ, მეტიალური ნათლობა, უფრო მეტი სიყვარულით ჩაწერდა მუსიკას და გაჰყვა ამ საქმეს ბოლომდე.

1903 წელს ვარლამ სიმონიშვილმა ჩამოაყალიბა გურული სიმღერების შემსრულებელთა გუნდი 15 კაცის შემადგენლობით. 19 წლის ახალგაზრდას არ ჰქონდა სათანადო გამოცდილება ამ დარჩევის და ჩვენ ვხედავთ, რომ მას დაშამარებას უწევს იგივე ფილიმონ ქორიძე: უხსნის გუნდის მნიშვნელობას, თუ როგორ უნდა მისცეს ტონი, აცნობს ქამერტონს, ასწავლის ქამერტონით ტონის მიცემას და სხვა. ამ პატარა შემადგენლობით ვარლამ სიმონიშვილი ხშირად მართავდა კონცერტებს ლაზერგვეთის თეატრში. ხალხი ამ გუნდს აღტაცებით მიეგება. ხშირად გუნდს იყენებდნენ საქველმოქმედო მიზნით გამართულ სალამოებზე.

1906 წელს ვარლამ სიმონიშვილმა ჩამოაყალიბა გურულ-აჭარული გუნდი. ამ გურულში 7 ქობულეთები მონაწილეობდნენ რომელთაც, ისწავლეს რა სიმონიშვილისაგან აჭარულ-გურული კილოები, შემდეგში გამოიყენეს იგი და აჭარაში, თავაანთ მომმეთა შორის გაავრცელეს ეს სიმღერები.

1910 წელს ვ. სიმონიშვილის ინიციატივით ჩამოყალიბდა ახალგაზრდათა გურული გუნდი, რომელიც მან შეუერთა გურულ-აჭარულ მომღერალთა გუნდის ამ გაერთიანებული გუნდით მან ზემოაღნიშნულ წელს გამართა კონცერტი. ამ კონცერტს დიდაბალი ხალხი დაგსწრო; საინტერესო აქ ის იყო, რომ ფილიმონ ქორიძემ კონცერტის დაწყებაშე მოხსენება გავყეთა, სადაც აღნიშნა ქართული ხალხური სიმღერების, კერძოდ გურული ფალების მნიშვნელობა და შეეხო ვარლამ სიმონიშვილის მუშაობას ამ დარჩევი.

ამის შემდეგ ვ. სიმონიშვილი მართავს მთელ რიგ კონცერტებს და მას თავისი გუნდით ეხედავთ ბათუმში, სადაც მიწვეულ იქნა ნინობას—1915 წლის 14 იანვრს კონცერტის გასამართავად. მისმა კონცერტმა ხალხი აღტაცებაში მოიყვანა. ბათუმის ქართული კლუბი, საზეიმოდ მორთულ-მოკაზმული, ოვაციას უმართავს გუნდს და აჭილდოებს მას ფულადი საჩუქრით.

იმპერიალისტური ომის პერიოდში და მემშვიერების ბატონობის დროს ქართულ ხალხურ მუსიკას დევნილენენ, ქართულ ხალხურ სიმღერებს აბუჩად იგდებდნენ, მაგრამ ვ. სიმონიშვილის ინიციატივა ეკრ ჩააშო რეკციულმა ძალამ. ვარლამმა ერთხელვე აღებულ მიზანს არ უდალატა და დაწყებული საქმე ბოლომდე მოიტანა. მან მრავალი კონცერტი გამართა საქველმოქმედო მიზნით, ბევრ სახოვადოებრივ საქმეს შეუწყო ხელი.

როგორც ვიცით, 1920 წელს გორში, ჩვენი დიდი ბელადის სამშობლო ქალაქში, მოხდა საშინელი მიწისძერა. ქართველმა მშრომელმა ხალხმა დაზარალებული

ლექს გაუწოდა ძმური ხელი; სადაც კი შეიძლებოდა, გაიმართა კონცერტები, საღმოები, მოეწყო შემოწირულებათა შეგროვება.

ვ. სიმონიშვილი გამოეხმაურა ამ საქმეს და იგი ბათუმში მართავს დიდ კონცერტს ქალაქ გორის მიწისძვრისაგან დაზარალებულთა დასახმარებლად. კონცერტს დიდადი ხალხი დაესწრო, ფულიც ბლომად შემოვიდა, რაც გადაგზავნილ იქნა დაზარალებულთა დამხმარე კომიტეტის სახელშე.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღიდანვე ვ. სიმონიშვილი ინშენება გურიის სამაზრო გუნდების ხელმძღვანელად; ოზურგეთსა, ლინჩხუთსა და ჩოხატაურში აწყობს გუნდებს, რომელიც ასრულებენ რეკო-

ლუციურ სიმღერებსა და „ინტერნაციონალს“. იგი განაგრძობს მთლიანი გურიული გუნდის ხელმძღვანელობას. საქართველოს სახელმწიფო მთავრობის მიერ გურიული გუნდის ხელმძღვანელობას.

საქართველოს სხვა გუნდებთან ერთად 1927 წელს ვ. სიმონიშვილიც იქნა მიწვეული ქ. მოსკოვში ა. სუმბათაშვილი-იუეინის საიუბილეო საღმოშე, სადაც მათ გამოეცხადათ დიდი მაღლობა კარგი კონცერტისათვის.

1929 წლიდან ვ. სიმონიშვილს ჩვენ ვხედავთ ოზურგეთის აბრეშუმის ფაბრიკაში, სადაც მან ჩამოაყალიბა 90 ქალვაურისაგან შემდგარი ძლიერი გუნდი. ამ ფაბრიკის გუნდთან მუყათის და ნაყოფერი მუშაობისათვის ვ. სიმონიშვილი დაჯილდოებულ იქნა საპატიო ნიშნით. მასვე გაუმართეს პატივსაცემი საღმო და ჭილდოს სახით მიართვეს ათასი მანეთი.



გურულ მომღერალთა გუნდი 1917 წელს. გუნდის ხელმძღვანელი ხ. ჩავლეშვილი

სხედა: მარცხნიდან მარცხნიერ—ვარლამ სიმონიშვილი, ბერი ინჟინირველი, სამუშალ ჩავლეშვილი, ნიკ სინარჩულიძე, ერმალო სინარჩულიძე; მეორე რიგში: ნიკა ლომინაძე, გამალობიძე, დათა მამა-კაშვილი, ურუშაძე; დგანან: ილიკო ნინიძე, ბებურ ჩხაიძე, ვაწრანგ სიხა-რულიძე, ვლადიმერ ბერძენიშვილი.

მასწავლებლობისათვის ვ. სიმონიშვილს თავი არ დაუნებებია, ვიდრე მან პენსიაზე გასცლის უფლება არ მოიპოვა; მან სკოლებში მუშაობას თავი გაანება 1932 წელს: ამ წელს იგი გავიდა პენსიაზე და მარტი გუნდების ხელმძღვანელად მუშაობს. ორნიშნულ 1932 წლიდან ჩევ მას ვხედავთ წითელი არმიის გუნდების ხელმძღვანელად: ქ. ბათუმში ის ხელმძღვანელობდა მეორე ლეგიონის გუნდს, ხოლო თბილისში—1-ლი ლეგიონის გუნდს. ორივე გუნდი ისე კარგად იქნა ჩამოყალიბებული, რომ ისინი 1935 წელს მიწვევულ იქნენ მოსკოვში საბჭოების მე-7 ყრილობაზე. აյ საბჭოთა კავშირის პირველმა მარშალმა კლიმენტი კორომილოვმა ვ. სიმონიშვილი დააგილდოვა საათთ, რომელსაც ახლავს სათანადო წარწერა.

ვ. სიმონიშვილის მიერ გამოიჩრდილი მომენტები ამჟენებენ მრავალ საუკეთესო გუნდს. მან ბევრი კარგი მომენტალი შესძინა საქართველოს. ამ მხრივ მისაბაძია ვარლამ სიმონიშვილის საქმიანობა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ არცერთ გუნდს არ გამოიუჩრდია იმდენ ნაციონალი კადრი, რამდენიც ვ. სიმონიშვილის ხელმძღვანელობით არსებულმა გუნდებმა გამოიზარდეს. ამ საქმეში პირველიცა ვ. სიმონიშვილს მიეკუთვნება. ეს უსათუოდ სწორი პედაგოგიური მიდგომის შედეგია.

ვ. სიმონიშვილი პარტიის წევრია 1921 წლიდან, პროფესიულის წევრია 1917 წლიდან. იგი მუდამ აქტიურ მონაწილეობას იღებდა საზოგადოებრივ საქმიანობაში.

ვ. სიმონიშვილის ხელმძღვანელობით არსებული გუნდი მონაწილეობდა სხვადასხვა ოლიმპიადებში: 1927 წელს ქალაქ ქუთაისში გამართულ ოლიმპიადაზე მან მიიღო უმაღლესი შეფასება. თბილისში გამართულ ოლიმპიადაზე 1929 წელს იგი გამოვიდა პირველ აღგილშე. ასევე გაიმარჯვა მან 1934 წელს ამიერ-

კავკასიის ხალხთა შემოქმედების ოლიმპიადაზე, სადაც აგრეთვე პირველ მონაწილე ში მოექცა. მოსკოვში 1935 წელს წითელარმიელთა გუნდით მან ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. თბილისში 1937 წელს და 1938 წელს გამართულ ოლიმპიადებზე მას ერგო გამარჯვება: დააგილდოვეს, როგორც პირადად სიმონიშვილი, ისე გუნდი. 1938 წელს მან ვამარჯვება მოიპოვა წითელარმიელთა გუნდების ოლიმპიადაზედაც.

ამავად ვ. სიმონიშვილი ხელმძღვანელობს მახარაძის რაიონის ეთნოგრაფიულ გუნდს.

გარდა ლოტბარობისა და სიმღერის მასწავლებლობისა, ვ. სიმონიშვილს დადაოვაში მიუძღვის სიმღერების სწორად გადმოცემაშიც. ხალხურ სიმღერას იგი მღერის და გადმოსცემს სწორად.

ვ. სიმონიშვილს მრავალი სიმღერა აქვს გაცემებული, მუსიკალურად დამუშავებული, მრავალიც დამოუკიდებლად შეთხზული, რომელთაც სხვა გუნდებიც ასრულებენ.

მისი რეპერტუარიდან საკუთარ “ნაწარმოებად მიჩნეულია შემდეგი სიმღერები: ”წითელი არმიის ოცი წელი“, „გაზაფხული“, „ნალური“, „დათვების ლინი“, „ძველი ხელხვავი“ („აღილა“).

საჩინგურო სიმღერებიდან უნდა აღნიშნოთ: „დილა“, „ეხლა ვხედავ, საყვარელო“, „იცოცხლე, ჩვენო სტალინი“, „პატაკი სტალინს“, „ბალია ჩვენი ქვეყანა“, „საქართველოს მზე ეწვია“, „საქართველოს ოცი წლის თვის სიმღერა“, „კომისალამი“ (საცეკვაო ჭიმონით და ლოლით).

ვ. სიმონიშვილი ითვლება ხელოვნების ინსტექტორად მახარაძის რაიონში. ამგვარად ვ. სიმონიშვილი ორმოცი წელია, რაც ემსახურება ხელოვნებას, ხალხურ სასიმღერო კულტურას.

3 3 8 0 9 0 3 0 1 6 0

1879 წელს, როდესაც აღდგენილ იქნა ქართული პროფესიული თეატრი, ვალგუნის სიტყვებით რომ ვთქვათ, მას „გაუჩნდა ოთხი დედაბოძი, ოთხი საიმედო საძირკელი, რომელზედაც დიდი ტურფა შენობის აგება შეიძლებოდა. ესენი იყვნენ მ. საფაროვი-აბაშიძისა, ნატო გაბუნია, ვასო აბაშიძე და კოტე ყიფიანი“. კერძოდ კ. ყიფიანის ასეთი დახასათება, უბრალო ფიგურალური გმირთებით კი არ არის გამოწვეული, არამედ იგი მართლაც ერთერთი ძლიერი არტისტული ძალა იყო, რომელიც ქართულ სცენას მოული 50 წელიწადი ედგა გვერდული, იზიარბდა მის ჭირ-ვარაბს, იბრძოდა მისი მუშაობის გაშლისა და მკვიდრ ნიადაგზე დაყვენებისათვის.


კ. ყიფიანი მეცხრამეტე საუკუნის სახელგანთქმული საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწის და მწერლის დიმიტრი ივანეს-ძე ყიფიანის მეორე შვილი იყო და დაიბადა 1849 წლის 3 მარტს თბილისში.

პატარა კოტეს მშობლებმა სწავლა დროზე დაწყებინებს: დაუქირავეს გუვერნიორები, რომელნიც მას ასწავლიდნენ რუსულსა და ფრანგულ ენებს, ასაკის შესაფერისად მეცნიერების სხვა-დასხვა ღარეს და მუსიკას. პატარა კოტე ცელქი ყოფილა, მაგრამ ამავე დროს სწავლაშიც დიდ ნიჭია და გულმოღნიერას იჩენდა. განსაკუთრებით იზიდავდა ენების შესწავლა და მუსიკა, ხოლო ყველაზე უფრო კი ხატვა. ხატვა ბავშვისათვის თანამდებობით საყვარელ საგნად იქცა და დიდ ნიჭიაც იჩენდა. დაკირვებულმა მამამ ამ გარემობას მამინვე მიაქცია ყურადღება, გადასწყვიტა მოზარდის შემოქმედებითი ნიჭისათვის შეეწყო ხელი და მის მასწავლებლად მიიწვია ცნობილ აკადემიკოსი მხა-

ტვრის ბრიულოვის მოწაფე, მხატვარი ბაბავეი. ბაქშეს რამდენიმე წელიწადი ასწავლიდნენ ასეთი წესით, შემდეგ კი თბილისის ერთერთ კერძო პანიკონში მიაბარეს და დაუწყეს გიმნაზიისათვის მზადება. დაუშვეს კიდეც გამოცდებზე, უნდა ჩაებარებია გამოცდები შეოთხე ქლასისათვის, მაგრამ ჩაიჭრა და სასწავლებლის გარეთ დარჩა. მამამ, შეიღის ასეთ მარცხს სერიოზული ყურადღება არ მიაქცია, იფიქრა კოტე ხატვაში დიდ ნიჭის იჩენს, ამიტომ, დევ, ამ ხაზით განავრძოს მუშაობა. ამ მაზნით დაახლოებით 1865 წ. იგი წაიყვანა პეტერბურგში და სამხატვრო აკადემიაში მიაბარა. კოტე აქ ნახევარი წელიწადი ძლივსლა დარჩა, გადაედვა თვალის ავადმყოფობა — „ტრახომა“. იგი ექიმებმა დიდის წვალუბით განკურნეს, მაგრამ ამავე დროს ურჩიებს: — ხატვას თავი დაანებე, თორემ დაბრუმავდებიო; იგიც იძულებული შეიქნა ამ რჩევისათ-



კოტე ყიფიანი



კოტე ყიფაინი

ანანია ("ლალატი")

ვის ანგარიში გაეწია და თავის საყვარელ საქმეს ჩამოსცილდა.

16-17 წლის ასაქში მყოფ ყმაწვილის უსწავლელად დატოვებაც არ შეიძლებოდა, ამიტომ მშიბოლებმა კოტეს ისევ გიმნაზიისათვის შზადება დაუწეუს. 1866 წელს მან ე. წ. სიმწიფის მოწმობაზე ჩააბარა კამიულები და იმავე წლის სექტემბერს ჩარჩოება შემენელად მოსკოვის სასოფლო სამეცნიერო და სატყეო აკადემიაში. აქ კოტე სწავლობდა თითქმის სამი წელიწადი. იგი არ კამაყოფილდებოდა მარტო ვიწრო სპეციალური საგნებით. დაწავა თვითგანვითარებას, აგრეთვე გაეცნ მაშინდელ ხალხოსნურ მოძრაობას და გახდა ამ მოძრაობის თანამედროვე.

1869 წ. ზაფხულის მიწურულში ძლიერ ავად გაუხდა მამა, ამიტომ კოტე მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდა. აქ მას გევრი საოჯახო საქმე დაუხდა მოსაწესრიგე-

ბელი და მათ მოყვარებას შეუდგა. მუშაობა ძალი გაჭირდა, ამიტომ ძირულა პული შეიძნა სწავლა შეეწყვიტა დღის მდგრადი დღემის თავი დაანება 1869 წ. 19 სექტემბერს.

დაპლოებით 1873 წლიდან დაიწყო სახელმწიფო სამსახური. იგი დაინშენის ქუთაისში საგუბერნიო სააქციზო სამმართველოში უმცროს ზედამხედველად. სამსახურში ძლიერი დარჩა წელიწადნახევარი, შემდეგ უქმაყოფილება მოუვიდა სამმართველოს უფროსთან და სამსახურს თავი დაანება.

1874 წელს კავკასიის „ნამესტნიქმა“, დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის-ძემ კოტე ბორჯომის მამულების მართველის მოადგილედ მიიჩვია. კოტეს მუშაობა მოუხდა თავის სპეციალობაში და დიდი ცოდნა და უნარიც გამოიჩინა, მაგრამ მისი სამსახური აქაც დიდხანს არ გაგრძელებულა. დიმიტრი ყიფიანის მამულება ქვიშების სსენებულ მიხეილ ნიკოლოზის-ძე რომანვის მამულების საზღვარზე იყო და მათ შორის სასამართლოს წესით დავა იყო ატენილი. ამინ კოტეს სამსახურზეც იქინია გავლენა; მართველმა იგი დაიბარა და უთხრა: „მამათვენ ჩვენს ადგილებს გვედავება და გვართმევს, ამიტომ ჩვენ ერთად ვერ ვივარგებთ სამსახურშით.“ კოტემ მაშინვე შეიტანა განცხადება და სამსახურს თავი დაანება. მისი თანამდებობრივი კარიერაც ამით დასრულდა, ამის შემდეგ სამსახურზე აღარ უფიქრია. იგი ჩაება საზოგადოებრივ საქმიანობაში — თეატრში და სიყვალომდე ამ ასპარეზისათვის თავი არ დაუნებებდა.

კ. ყიფიანის ქუთაისში სამსახურის პერიოდში იქ გაცხოველებული იყო ხალხისნური მოძრაობა, რასაც ხელმძღვანელობს უწევდა კოტესავე ბიძაშვილი მიშო ყიფიანი; მოძრაობაში აგრეთვე ჩაბმული იყო მისივე და სცენის მოყვარე ელ. ყიფიანი, მეორე ბიძაშვილი, აგრეთვე სცენის ცნობილი მოყვარე ეფრონ კლდიაშვილი და სხვ. კოტე ყიფიანი მუდამ მათ



შეეში ტრიალებდა და იგიც ჩაება მოძრაობის ფერხულში, ასრულებდა ორგანიზაციის სხვა და სხვა ხასათის დავალებას. პირველ ხანად უანდარმერიას მისი არალეგალური მუშაობის შესახებ ცნობები არ ჰქონდა, ხოლო 1876 წ. ხელში ჩაუვარდა 7 ივლისის თარიღით ელ. ყიფიანის მიერ კოტესადმი გაგზავნილი შერილი, სადაც სხვათა შორის სთხოვდა: „ჩამოვიდეს (გორში) ფრიად საჭირო საქმეზე მოსალაპარაებლად, რის შესახებაც ის უნდა მიხვდეს“. უანდარმერიას ელენე ყიფიანი უკვე შენიშნული ყავდა, როგორც რევოლუციური მოძრაობის მონაწილე, ამიტომ კ. ყიფიანიც აიყვანა აღრიცხვაზე და იწყეს მის გარშემო კვლევადების წარმოება. 1876 წ. მეფის მთავრობამ რუსეთში გააძლიერა ნაროვნიკების წინააღმდეგ რეპრესიული ზომები, ბევრი მათგანი დააპატიმრა, ზოგი გადასახლა. ამ სუსხმა საქართველომდეც მოაღწია და ჩვენს ხალხოსნებაც დაუშეეს შევიწროება. თავდაპირველად აქაც ბევრი დაპატიმრებს, ამათგან შემდეგ ზოგი გადასახლეს და ზოგი კიდევ საქმის საბოლოო გამორჩევამდე თავდებს ქვეშ გაუშევს. ერთი ნაწილი კი საქამაო საბუთების უქონლობის გამო არ დაუპატიმრებათ, მაგრამ ხელშერილები ჩამოართვეს საცხოვრებელ აღგილიდან არსად წასულიყვნენ. ამ უკანასკნელ კტეგორიაში მოჰკვდი კოტე ყიფიანიც, მასაც ჩამოართვეს აღნიშნული სახის ხელშერილი და აუკრძალეს საცხოვრებელი აღგილიდან სხვაგან წასვლა. შემდეგ კი გააცხოველეს მისი საქმიანობის შესახებ კვლევა-ძება.

1878 წ. ზაფხულში ცნობილმა რევოლუციონერმა სერგეი კრავჩინსკი მოპკლა პეტერბურგში უანდარმთა შეფი გენერალი მეზენცოვი. მეფის მთავრობამ გააძლიერა ნაროვნიკების წინააღმდეგ რეპრესიები; ბევრი დააპატიმრებ და ამათგან კიდევ ბევრიც იმსხვერპლებს. სატატო ქალაქის სიმეკრემ ჩვენამდეც მოაღწია. აქაც ბევრი ხალხოსანი დააპატიმრებს,

კოტე ყიფიანი

ლეონიძე („სამშობლო“)

როგორც მაგ. სოფ. მგალობლიშვილი, მიშო ყიფიანი, ვასილ დეკანოზიშვილი და სხვ. პლიცის თვალყურს ვერც კ. ყიფიანი გადაურჩა. იგიც დაპატიმრებს და თავი უკრეს გორის ციხეში, სადაც უფროსად იყო კოტეს ბიძა ზაზა ყიფიანი. კ. ყიფიანი პატიმრობამ ვერ შეაშინა. იგი სიამაყით იგონებდა მამამისის პატიმრობის ამბავს 1832 წ. აჯანყების მოწყობასთან დაკავშირებით და გაიძახოდა: ციხეში ჯდომა „ყიფიანთს მოსდგრომოւონ“. ს კ. ყიფიანი სცენაზე პირველად გამოვიდა 1865 წ., როდესაც თექვსმეტი წლის იყო. ამ პეტიონდში ქართული პროფესიული თეატრი არ არსებობდა. მხოლოდ სცენის მოყვარეები საქევლმოქმედო მიზნით იშვიათად მართავდნენ სპექტაკლებს. ერთერთი ასეთი წარმოდგენა 1865 წ. ზაფხულშიც გაიმართა. დადგეს მოლიერის კომედია „ცოლის შერთვევინება“ და ზ. ანტონოვის „მზის დაბნელება საქართვე-



კოტე ყიფიანი

მეფე ლირი

ლოში“. მოლიერის კომედიაში ქალის-დორიმენას როლს ასრულებდა ვასილ მახაბელი, ხოლო პაულის როლის ამსრულებელი ვერავინ იშოვეს და კ. ყიფიანს მისცეს. მაგრამ მისი პირველი დებიუტი მარცხით დასრულდა.

1871 წელს დიმიტრი ყიფიანის ინიციატივით შესდგა სცენის მოყვარეთა წრე, რომელიც საქველმოქმედო მიზნით მართავდა სპექტაკლებს. კოტეც ამ წრეში ჩაეწერა. ასრულებდა სუფლიორის მოვალეობას. მაგრამ ამ ხაზით მისი მუშაობა დიდხანს არ გავრძელებულა. ის კვლავ გამოვიდა სცენაზე.

1875 წელს სცენის მოყვარეთა წრეში დაწყო გ. სუნდუკიანცის ახლად თარგმნილი კომედიის „პეპოს“ მომზადება. გიქოს როლი მიანდევს ინაშვილს, სუფლიორობა კი კოტეს დაავალეს. შეუღენენ ჩაწერილიას, ჩეკისორობდა თვით აგტორი. „გამოვიდა ინაშვილი და დაიწყო გი-

ქოს როლის ასრულება“, — გვიამბობს თვით კ. ყიფიანი და განაგრძობს: „ამოილო ხმა თუ არა — გევონებრივადაც იერიქონის ბუკი დაკრესო, ისეთი ბოხი ხმა ჰქონდა. შეიშმუშნა სუნდუკიანცი. აგრე ნუ ყვირით, ნაზადა სოჭვით მოხუცის კილოთი, უფრო ხრისტიანის ხმით, უთხრა სუნდუკიანცმა. მაგრამ ინაშვილმა ვერა გააწყო, ხმა არ ემორჩილებოდა, ყვირიდა და ყვირიდა, დაკლული ბულის ბლავილი გეგონებოდა. გააჩერეს, გამოიყანეს კოტე მაისუროვი, ამასაც იმანარივე ხმა ჰქონდა. გამოიყანეს ლადო აბაშიძე, რომელიც ზიმზიმვის როლს ასრულებდა, მაგრამ გადასწყვიტეს ისევ ზიმზიმვი ითამაშოს და გიქოსთვის დაიწყეს სხვისი ძებნა. ავდექი მე და ვეუბნები ინაშვილს: — რა დაგემართა, კაცო, ვინ რევეშ ჩასოდი, რა კორი მოხილა სათეატროში, როგორ უნდა სოჭვა შენი სათქმელი. დავიხრინებანე ხმა და დაიწყეს სუფლიორობა. ერთი ოციოდე სიტყვა ესთვით, მომვარდა სუნდუკიანცი, მაკოცა შუბლში და ხმამაღლა დაიძახა: — „ვი მი გიკო“. დაკრეს ტაში და დასახელი აქა-იქ „გიქო — ყიფიანი!... გიქო ყიფიანი...“).

სპექტაკლი გაიმართა 1875 წ. 27 ნოემბერს. წარმოდგენამ მაყურებლებზე დიდი შაბაბეჭდილება დასტოვა და კარგადაც ჩაიარა. სერ. მესხმა ამასთან დაკავშირებით გაზ. „დროებაში“ გააჩინა კომედია „პეპო“, გაკვრით შეეხო როლების

* კ. ყიფიანი — „ჩემი არტისტობის თავგადასავალი“. წარმატების შესახებ შემოსილი 1875.


** თვეზე კ. ყიფიანი „ჩემი არტისტობის თავგადასავალში“ გამოივიდებომ, რომ თითქოს მას გიქოპირველად ეთამაზოს 1871 წელს. ამასებ იქნებოდებოდა მისი პარვონების ბიუჯეტაფი ი. გომართველი (იბ. წიგნი ეპისტამინგ დიმიტრის პეპოვიანი) გვ. 28) და აკად ფალავა (იბ. უზრ. „საბჭოთა ხელოვნება“ 1936 წ. № 4—5, გვ. 42). როგორც კ. ყიფიანი თავის მოგრძელებას წერდა, უკვე 60 წლის მოხუცი იყო. ასე რომ შეიძლება თარიღობა დაკიტებოდა. მაგრამ მოქალაქე გვ. 222 გვ. სწორედ ეს თარიღია ნაწევრები. 1880 წ. „პეპო“ თვეზე აგრძორის ჩეკისორით დაიმზადა ცალკე წიგნად და ნათევამია, რომ კომედია პირველად თბილისში დაიდგა 1875 წ. 27 ნოემბერს.

ամսիրուլեթլունեաց. և եցատա Շորօն օցօ ամ-
թօնն: — «Ճիշտն, ՇուՇաննուն դա յօվ-
թօն տամաժնու սցեննուն սաստրոյ յրուրոյ-
սուց մեղլագ մռանասազդա Շեսամինեցն նաշլո-
լուրայնցծան».

ամ յամահչցը ծուու ֆատամեթլուն յուրի
պուդունուն սածոլոռուն համուսւուն և սույ-
լուռուրուն ամ գալացուն հռուցնուն Շես-
ռուլուցնուն էք. ման սցեննուն մռայարետա ֆրե-
շու շէքը սապարուն ագուլուն դայցաւա, մուսու
արդուսւուն նուշու յուզել ախալ սեյբերակ-
լուն գրուն տանճատանոննուն օնժրցեցուն.

ք. յուցունուն արդուսւուն նուշու յուրուն
հռուցնուն սածոլոռուն գամուրցաւ; յայլա-
լուրիմցնուն, հռուն ամ մերուն օցօ Շեսանմինա-
ցու մասենունուն, մաշրամ հիշեն սցեննուն
լուն პուրացնուն մռացն յութրուն մերուն
մռատեռուն. սայմեր ուն արուն, հռուն ութուռու-
նուն ուրատրուն մասենունտա հալունուն սո-
լուրիմցնուն յանուցուն և մուրուրուցեցան
ջասուն ֆերուն յանսաշլցրուն ամշլուանց
լուրուցնուն Շեսուլուցնուն ուցու. ամուն յամու
ենիրագ, շէքը յարկցուն յուրուն հռուցնուն
ամսիրուլեթլուն, սեմլուցնուն գամուրցաւ հռո-
ւուցնուն ամսիրուլեթլուն, սեմլուցնուն գամուրց-
լուն դրամաթունուն հռուցնուն, եռլուն դրա-
մաթունուն գամուրցաւսա յուրուն հռուցնուն. ասեւուցնուն օցօ-
նեն նաւուն յանունուն, յասուն ամամունուն, լուրու-
մեցենունցունուն և սեպ. ամ Շեմտեցցան ք. յու-
ցունունը յար ասւուն. օցօ յամունչացուն
դրամաթունուն հռուցնուն և յայւուն լամբուցու-
ուն, հռուն մլուցնուն արդուսւուն. 1878 թ. յու
ամ մերուն յամունդա սածոլոռուն յարցագ
հիանարա. ամ ֆերուն լուրցնուն Շեյմինուն ուց-
նուցունուն յակարուն, հռումելուն ուրատրուն հռուցնուն
ամուն սեպանուն դրամաթունուն հռուցնուն աս-
րուլեթլուն. դա մեսամեց, յարտուն ուրատրուն
ամուն սամշալուն մոյցու հյեպերտունուն
սաեց Շեսուցալուն և յուրուն յուրուն գամուրց-
նուն գայունուն դրամեթնուն դաշտունուն սապա-
րուն ագուլուն.

ք. յուցունուն մուշանուն սցեննուն յաց յաց-
հելուն 1879 թ. ֆայնշլունամուն. ամ գրուն
ուն յուրուն օլցցանուն ոյննա յարտուն պուրունուն
ուրատրուն ուրատրուն, Շեսուցա գուրուն ուրատրուն
ամուն սամշալուն մոյցու հյեպերտունուն
սաեց Շեսուցալուն և յուրուն յուրուն գամուրց-
նուն գայունուն դրամեթնուն դաշտունուն սապա-



Քուրի յուցունուն — Շեյլուցուն (Կայնուցունուն յակարուն)

լուն ուն, հռուն յարտուն պուրունուն ուրատրուն
ուրամաթունուն նավամունցուն; ամրուցաւ մռայ-
լուն դրամաթուրցունուն ամ յայնանքմա პուր-
ուլուն Շեյլուն յարտունուն սցեննուն յարցնուն և
ամուն Շեմլուն յայլը եմունուն սեպանուն յայննա.
յեռուն, յամուրցաւ, հռուն ք. յուցունուն,
հռումելմաց դասենուն Շեյլուցուն հռուն,
Շեսունուն սեպա դրամաթունուն հռուցնուն աս-
րուլեթլուն. դա մեսամեց, յարտուն ուրատրուն
ամուն սամշալուն մոյցու հյեպերտունուն
սաեց Շեսուցալուն և յուրուն յուրուն գամուրց-
նուն գայունուն դրամեթնուն դաշտունուն սապա-
րուն ագուլուն.

ք. յուցունուն մուշանուն սցեննուն յաց յաց-
հելուն 1879 թ. ֆայնշլունամուն. ամ գրուն
ուն յուրուն օլցցանուն ոյննա յարտուն պուրունուն
ուրատրուն ուրատրուն, Շեսուցա գուրուն ուրատրուն
ամուն սամշալուն մոյցու հյեպերտունուն
սաեց Շեսուցալուն և յուրուն յուրուն գամուրց-
նուն գայունուն դրամեթնուն դաշտունուն սապա-



კოტე ყიფიანი

გიგო („პეპო“)

სხვადასხვა ქალაქებში, დასს რეჟისორ-ხელმძღვანელად კი დაუნიშნა დ. ერისთავი. გასტროლები დაიწყო გორიდან. აქ დასსა და დ. ერისთავს შორის გაუგებრობა შეიქნა, რის გამოც ამ უკანასკნელმა თანმდებობას თვით დანება და კომიტეტმა რეჟისორ-ხელმძღვანელობა დაკისრა კ. ყიფიანს. დასმა მთელი რიგი ქალაქები ჩამოიარა და გასტროლები, მისი მეთაურობით, ბრწყინვალედ დასრულდა.

ამ სეზონიდან კ. ყიფიანი უკვე შეიქნა პროფესიონალი მსახიობი და იგი მთელი თვითი არსებით ემსახურებოდა სასცენო ხელოვნებას.

1880 წ. „ნამუშტრიქია“ დაამტკიცა ქართული დრამატიული საზოგადოების წესდება, ხოლო 1881 წლის დასაწყისში კი შოწვეულ იქნა საზოგადოების პირველი კრება, სადაც კ. ყიფიანი აირჩიეს პირველი გამგეობის წევრად; გამგეობამ მასვე მიანდო მდივნობა.

კ. ყიფიანი განსაზღვრული ამპლუას

მქონე მსახიობი არ იყო, იგი ერთნაირიც უნარით და გაქანებით ასრულებდა გორუ დრამატიულ, ისე კომიკურ რიც-ლებს. მის მიერ განსახიერებული სცენიური ნიღბები მრავალიც ცხოვანი და მრავალფეროვანია. მას უთამაშნია დაახლოებით 120-130 პიესაში და შეუსრულებია ამდენივე ახალი როლი. მათ შორის: დ. ერისთავის „სამშობლოში“ — სკიმონ ლეონიძე, ა. სუმბათაშვილის „ლალატში“ — ანანია გლახა, შექსაბირის „მეფე ლირში“ — ლირი, „ვენეციელ ვაჭარში“ — შეოლოეკი, ვ. გუნიას „და-ძმაში“ — ოტა ჭოლია, ოსტროვსკის „შემოსავლინ აღილში“ — იუსოვი, გ. ერისთავის „გაყრაში“ — ანდუყაფარი და სხვ.

1880 წ. 13 მაისს მ. საფაროვ-აბაშიძის სახენცფისოდ დადგეს ალ. ყაზბეგის დრამა „ერთი უბედურთაგანი“ და რ. ერისთავის „ბიძიასთან გამოხუმრება“. გაზ. „დროების“ რეცენზენტი „ქართული თეატრის მოყვარუ“, აძლევს რა შეფასებას ხსენებულ სპექტაკლს, სხვათა შორის კ-ყიფიანზე ლაპარაკობს: — „ეს იმისთანა აქტორია, გონიერი თვალით აყვარდება თვის როლს, ცდილობს დაიმორჩილოს როლი, შეიგნოს მისი შინაგანი ვითარება, ამიტომაც რაკი ერთხელ გონებაში გამოისახავს, თვის სათამაშოს თავიდან ბოლომდე ისე თამაშობს, რომ არც კილო-თი, არც მოძრაობით, არც სახის მეტყველებით არ უღალატებს ხოლმე დანიშნულს და შესწავლილს სახესა. ეს აქტორი იმისთანა მოთმაშეა, რომლის თამაში მარტი განვითარებულ გემოვნების კაცს მოეწონება და ამიტომაც ისეთის ხმაურობით არ მოეგებება ხოლმე იმას ჩენი საზოგადოება, რომელთა შორის უმრავლესი ხელოვნებას კი არ ექვებს თა-მშები, არმედ მასხრობას და სასაკილო ცულლუტობას.“*).

კ. ყიფიანი გრძნობის არტისტი არ იყო, არამედ გონების, იგი თვითი განსასხიერ-

*) გაზ. „დროება“ 1880 წ. № 104, 17 მაისი.

რებელ ტიპს ყოველმხრივ სწავლობდა, და როცა მის ბუნებას გამოარკვევდა, შემდეგ მუშაობდა იმაზე, თუ როგორ განესახიერებდა. იგი საათობით იდგა სარკის წინ, ხელში ეჭირა როლი და არკვევდა, ამა თუ იმ მომენტს როგორი მიმიკა შეეფერება, როგორი მოძრაობა და სხვ... მხოლოდ ასე ყოველმხრივ შესწავლის შემდეგ გამოდიოდა სცენაზე სათამაშოდ და გაყურებელზეც ყოველთვის დიდ შთაბეჭდილებას სტავებდა.

კ. ყიფიანის თამაში როგორ ზეგავლენას ახდენდა მაყურებელზე, ამას ნათლად ადასტურებს ერთი შემთხვევა, რის შესახებაც თავის მოგონებებში გვიამბობს მაკო საფაროვი-აბაშიძისა: — „მე ჩემს სიცოცხლეში სცენაზე ისე არ დამიკარგავს თავი, რომ ჩემი როლი დამვიწყებოდეს, მაგრამ იყო ჩემს სიცოცხლეში ასეთი მაგალითი: კოტე თამაშობდა უან ბოდრის, მე იმის ქალს, ერთ მოქმედებაში კოტე შემოდის სცენაზე. ისე გამიტაცა ერტეს თამაშობამ, თუმცა უსიტყვომ, რომ დამავიწყდა ჩემი სცენაზე ყოთნა და შეგძახე: — „კოტე რა შევენიერად თამაშობ მეთქი.“ ისეთი მეღილური მიმოხერად ჰქონდა, ქული იმნაირად დასდო მაგიდაზე და ისე შემომხედა, რომ ბევრი მრავალმეტყველება ვერ იტყოდა იმას, რაც იმან ამ, ერთ მოძრაობით გამოხატა.“*).

ასეთი მიმზიდველი იყო კ. ყიფიანი სცენაზე. ამისთვის კი საჭირო იყო მსახიობს ჰქონოდა დიდი ნიჭი, დიდი გაქანება, დაკირვების უნარი და კულტურა და იგიც ყოველი ამ ლირსებით ბუნებისაგან საკმაოდ იყო დაჯილდოებული.

სურათის სრულსაყიფუად მოვიყვან ვალ. გუნიას სიტყვებს, რომელიც კ. ყიფიანის არტისტულ ბუნებას სავსებით ჰქონს ნათელს. იგი გადმოვეცემს: „... კ. ყიფიანი დრამატიული არტისტია. ეგრეთწოდებულ დრამატიულ ჩეზონიორის ამპლუაზე დღე-მდე ბადალი არა ჰყავს. არა ჰყავს აგრე-



კოტე ყიფიანი—სოსი („დატრიალდა ჯარა“) თვე ბადალი მოხუცებულ, ბებრების კომიკურ როლებში, რომლებსაც დიდის ხელოვნებით ასრულებს ხოლმე. ამ მხრივ კ. ყიფიანის ნიჭი სწორედ შესანიშნავია, ძნელად გამოვა არტისტი, რომ ერთის და იმავე ხელოვნებით და ბუნებრივის სიმართლით ითამაშოს ღრამატიული და კომიკური როლები, ბებრები და ახალგაზრდები. ამ შემთხვევაში კ. ყიფიანი სრულებით არაჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს ჩვენს სცენაზე მაინც!...“

შემდეგ ვ. გუნია ასკვისის: — „... კ. ყიფიანი ამ უამად ერთი საუკეთესო არტისტია ჩვენში და კიდევ ბევრი ხანი გაივლის სანამ ყიფიანს სცენაზე მექანიზრე გამოუჩნდებოდეს. მისგან შექმნილი ტიპები და ხასიათები დიდხანს დარჩება ქართველ საზოგადოების სოვენაში და ბევრი ახალგაზრდა მოთამაშენი მიბაძავენ მას“*).

*). მ. საფაროვი — აბაშიძისა — „მოგონებები“, გან. „თემი“ 1914 № 160.

*) ვალ. გუნია-ქართული თეატრი 1879-1889 წ. გვ. 113-114.

კ. ყიფიანი მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა მუშაობა უპნებში სახალხო წარმოდგენების მრთვაშიც. იგი ხშირად გამოიიოდა სცენაზე სათამაშოდ და ზოგჯერ რეჟისორობდა.

გან. „ფიქრი“ მის მუშაობას სახალხო თეატრებში ასე ახასიათებს. — „სიცხე-პაპანაჯებაში, სიცივეში, ქარბუქში კოტე ყიფიანს ვეხდავთ ნაძალადევში, ავჭალის სახალხო თეატრში, ნავთლულში, სადაც ის მოუსვენებლად მუშაობს, ხშირად მშიერ-მწყურვალე, დაღლილ-დაქანცული. ზუბალაშვილის სახლის არსებულ წრეში მუშაობა ხომ მისთვის წმინდასა წმინდათ გადაიქცა. ის ყველგან მუშაობს დაზარებლად, სრულიად უსასყიდლოდ, უჩილ-დოვორ. კოტე ყიფიანი უძლიერესა სულიერი კავშირით დაუკავშირდა სახალხო სცენას, შეუთვისდა ხალხს და ხალხმაც შეიყვარა მისი დამსახურებული და ნიჭიერი მოქირნახულე კოტე ყიფიანი.“*)

კ. ყიფიანი მწერლობაშიც ღებულობდა მონაწილეობას. ამ დარღვები მისი მუშაობა მრავალფეროვანია. სწერდა და სთარგმნიდა პიესებს, მოთხრობებს, სხვადასხვა ხასიათის წიგნებს, წერილებს სათეატრო და ლიტერატურულ საკითხებზე, ისტორიულ ხსიათის ნარკვევებს, წერილებს თავის სპეციალობის დაზიშო (სოფლის მეურნეობა) და კორესპონდენციებს ყოველ-დღიურ საჭიროობრივ საკითხებზე.

მას აქვს 20-მდე ორიგინალური, გადმოკეთებული და ნათარგმნი სხვადასხვა უნირის პიესა. მათ შორის დავასახელებთ რამდენიმეს. ორიგინალური პიესები: „ვახუშტი სპასალარი“, ისტორიული დრამა

5 მოქ., „ორი მამა“, დრ. 5 მოქ., „ბელი ქართლისა“, ისტ. დრ. 4 მოქ., „ეპა მუ-რიელისა“, ისტ. დრ. 2 მოქ., „ბრძოლისა“, ისტ. დრ. 4 მოქ., „ქალაჩუნა“, კომ. 4 მოქ., „დატრიალდა ჯარა“, ვოდ. 1 მოქ., „ხერხს ხრიფა უნდა“, ვოდ. 1 მოქ., „უსინათლო“, კომ. 3 მოქმ., „ნაპერჭკალი“, კომ. 2 მოქ., „ნუ თუ აქ მოვა“, ვოდ. 1 მოქ. და სხვ.

ნათარგმნი პიესები: კ. ჰუგოსი — „ტორკემადა“, ტრაგ. 5 მოქ., ბენესი — „მეირიმა ანუ ბოსხელები“, დრ. 5 მოქ. და ბალზაკის კომედია „მერკადე“.

ყველა მისი პიესა დასდეგეს სცენაზე, ხოლო ზოგი მათგანი ამავე დროს დაიბეჭდა უზრნალ-გაზეთებში.

კ. ყიფიანის პიესები „ბედი ქართლისა“ და „ეპა გურიელი“ რუსულადაც გადაითარგმნა; მან რუსულად დასწერა რამდენიმე პიესა: „Семейная война“, კომ. 4 მოქ., რომელიც დადგეს თბილისის რუსულ სცენაზე 1884 წ., „Тайна“ — ისტ. დრამა 4 მოქ. და „Победа“ — ისტ. დრ. 4 მოქ.

იგი, რა თქმა უნდა, სათეატრო სკითხებზეც წერდა წერილებს, რაც აგრეთვე შევყნდებოდა პერსაში. ასეთების „თეატრის მნიშვნელობა“, „ქართული დრამატიული ხელოვნების შესწავლა“, „მეცნიერი“ ქართულ სცენაზე“ და სხვ.

მაღლიერმა ქართველმა ხალხმა კ. ყიფიანის ხანგრძლივი მუშაობა სასცენო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე დააფასა და 1914 წ. დრამატიული საზოგადოების ინიციატივით გადაუხადა მას 45 წლის იუბილე.

კოტე ყიფიანი გარდაიცვალა 1921 წლ. 17 აპრილს და დასაფლავებულია დიდუბის ქართველ მოღვაწეთა პანთეონში.

*) გან. „ფიქრი“ № 13, 1914 წ.

აღ. ჩავაშვილი

ო გ ა ღ მ

უკრნალ „Teatr-ის 1940 წ. № 10-ში მოთავსებულია ტ. როკოტოვის წერილი ქუთაისის ლადი მესხიშვილის სახელმძის ოეტრის შესახებ. ეხება რა „ოტელოს“ დადგმას, მეც, როგორც ოტელოს როლის შემსრულებელს, მიმითითებს ზოგიერთ ადგილებზე, რომლებიც, მისი შეხედულებით, ჩემ მიერ ისე არ არის გადმოცემული, როგორც საჭიროა.

ტ. როკოტოვი სწერს: „იმედაშვილი რატომლაც ოტელოს გვაჩვენებს რამდენადმე ხანში შესულს, თითქმის მოგუც.“

ოტელო რომ ახალგზრდა არ არის და რომ ნამდვილად ხანში შესულია, ამას თვითონ შექსპირი გვეუბნება იმავე ოტელოს პირით. როცა ოტელო ისსნიებს, თუ რა მიზეზებისა გამო შეეძლო დეზდემონას მისთვის ეღალატნა, იგი ამბობს:

„მე შავი ვარ და არ მაქვს ნიჭი კარის-კაცთაგბრ ტკბილის ენით ლაპარაკისა... ანუ იქნება მისთვის, რომ წელთ დაღმართს დავეშვია“. და თუ ოტელო წელთ დაღმართს არის დაშვებული, აშერაა შეუ ხანს გადაცილებული უნდა იყოს და თუ მე ტ. როკოტოვს ზედმეტად ხანში შესული ვეჩვენე, ეს აღბად იმიტომ, რომ განსაკუთრებულად ხაშს ვუსვამ ოტელოს სიღონჯეს და დარბაისლობას.

შემდეგ ტ. როკოტოვს არ მოსწონს, რომ კიბროსზე, ჩხუბის დროს ხმალ-ამოწვდილი შემოვრბივარ და ბრაზმორეული ზოგჯერ ხმალს შევიმაღლებ ხოლმე. ტ. როკოტოვი ამის შესახებ სწერს: „არტისტი მეტად დაუინებით იჩენს ნერვიულობას, თითქმის ამითი გვამზადებს მომავალ ამბებისათვის. მგონია, რომ ესეთი

განმარტება სწორე არ არის. იგივე ურდა ითქვას ხმალ-ამოწვდილობის შესახებაც. უპირველესად ყოვლისა, ოტელოს ხასიათში უნდა სხანდეს უაღრესი სიმშევიდე და აუშფოთებლობა სამშროების დროს, თავს ავტორიტეტზე დაყრდნობა და თავისი პიროვნების მომხიბლველობა. ის, ოტელო რითი უნდა ახდენდეს გავლენას თავის გარშემო და რატომ არის მიუღებელი ამოწვდილი ხმლით დემონსტრირება. მოვაგონებ, რომ მეორე სცენაში, ვიდრე ოტელოს სენატში მიიხმობენ (თეატრის მიერ გამოტოვებულია), როცა



აღ. იმედაშვილი

ოტელო

უკვე მზად არის ჩემი ჩამოვარდეს კა-
სიონსა და მასთან ერთად მოსულ რაზმას
და ბრაბანციონსა და მის მსახურო შორის,
მხოლოდ ერთი ხმალი ჩემი ქარქუშში:
თვით ოტელოს ხმალი.

„ჩააგეთ ხმლები, თორებ ღამის ნამი
ღაუანგავს და ბრწყინვალებას დაუკარ-
გავს.“

ამ სიტყვებით მავრმა ლააცხრო მათი
სიშმაგი“.

ოტელო პირველ სცენაში მოელის
ბრაბანტიოს თავდასხმას, მან კარგად
იცის, რომ დეზდემონას გატაცებისათვის
გას პასუხს მოსთხოვენ და უკეთ მომზა-
დებულია სრულის სიმშვიდით პასუხი
აფოს და თავი იმართლოს. იგი იმღენად
არად აფლებს ამ კინქლაობას, რომ ირ-
ნიასაც იჩენს და დასცინს კიდეც – „ჩა-
გეთ ხმლები, თორებ ლამის ნამი დაეან-
გავს და ბრწყინვალებას დაუკარგავს“ – რ.

ესეც არ იყოს, იქ ჩემი ჯერ არც
არის. დაწყებული, არც მოჩემბარინი
არიან ერთმანეთისადმი მტრულად გან-
წყობილი და თუ ვინმე შეაჩერებს, და-
დის სიამოვნებით აიცდენენ ტყუილ-
უბრალო სისხლის ღვრას. ამიტომაც
არის, რომ მიუხედავად ბრაბანტიოს
ლანძღვა-გინებისა, ოტელო აღელვებულ
ბრაბანტიოს სრულიად დაშვიდებული
მიმართავს: „ბატონო ჩემო, სადა გნე-
ბავთ, რომ თან წამოგვყეთ და რასაც ენ-
და თქვენ მაბრალებთ, პასუხი ვაგო“.
ესეთს მდგომარეობაში, რა თქმა უნდა,
მარტო მძიო ავტორიტეტიც კმარიდა,
რომ ორივე შხარე შეეჩერებინა, მაგრამ
კიბროსტზე სულ სხვა მდგომარეობაა და
თვით ოტელოს განწყობილებაც სულ
ჩხავავოდა.

ჩვენ ვიცით, რომ ომი ეს არის უძლე
დღმავრდა. მართალია, ოსმალი დამკა-
ცხრენ, მაგრამ ვინ იცის რა შემძლება ი-
კიდევ მოხდეს?

„ხალხში მღელვარება ჯერ არ დამცხა-
ლა და შიშითა თჩოთის“ — და აი, ესეთს
დროს, შუაღამისას ესმის აურზაური,
ყვაირილი, იარაღის ჩხარა-ჩხეური და ნა-
ბათის ცემა, რომელიც მთელს კუნძულს
აფრთხობს და საშიშ მდგომარეობაში
აყენებს.

რას იფიქრებდა ოტელო, რა უნდა ყოფილიყო მიზეზი ამ საშინელ ხმაურიობისა და შიშის მომგვრელ განგაშისა, თუ არა რაღაც მოულოდნელი უბედურება? და აი, ოტელო ხმალამოწვდილი სახლიდან გამოვარდება და ჩხუბის ცენტრში შეიჭრება. და რას ხედავს? ესეთი საშინელი და მთელი კუნძულის დამფრთხობი ალიაქოთი გამოუწვევია მის თანაშეწეს კასიოს და კუნძულ კაპრიოსის ყოფილ მმართველს მონტანოს — სწორედ იმათ, რომელთაც ყველაზე მეტი მოეთხოვებოდათ, რომ კუნძულზე მშვიდობიანობა დაკვირათ.

ଓଡ଼ିଆ ଶ୍ରେଷ୍ଠ ପାତ୍ରଙ୍କାଳୀମିନ୍ଦେଶ୍, ଏହି
ଶୁଣିଦୁଲ୍ଲାସ ଅରାଯତାରିଖ ସାହରଟକେ ଏହି ମହୀ
ଲୀଳା ଦା ଏହି ଗୀତ ଏହି ଶାଶ୍ଵିନ୍ଦ୍ରାଲୋ ଅଲ୍ଲାଙ୍ଗେଶ୍ବା ଏବଂ
ନୂଦାତିଲେ ପ୍ରେମ ପ୍ରଥାଳାର ହିନ୍ଦୁଦୀତ ଏହି,
ଶାମିନ୍ଦ୍ରିତ୍ୟୁଲ୍ଲାସ, ମାଘରାତ ତ୍ୱରିତ ଫ୍ରାଙ୍କରି ମିତ୍ରଜ୍ଞ
ନାତ ଶ୍ରେଷ୍ଠାକରିତ୍ୟୁନ୍ଦେଶ୍ବରୀଙ୍କ, ଏହି ଲୀଳାମିଳ ଏହି-
ଏହି ଏହି ପାତ୍ରଙ୍କାଳୀମିନ୍ଦେଶ୍ ଏବଂ ଏହି ଶାଶ୍ଵିନ୍ଦ୍ରାଲୋ,
ଏହିପାତ୍ର ବିଗିନ୍ଦେ ସିଦ୍ଧନ୍ଧର ଶ୍ରେଷ୍ଠଙ୍କ, ଏବଂ
ତୁମମ୍ବା ସାଶ୍ରିତ୍ୟାଦ ପ୍ରାସାଦୀରୁକ୍ତରେଶ୍ ଏବଂ
କ୍ଷେତ୍ରକ୍ଷେତ୍ର ମାତ ଶାଶ୍ଵିନ୍ଦ୍ରାଲୋ, ମାନ୍ଦିନ୍ଦ୍ର ତାତ୍ପର୍ଯ୍ୟ
ଶାଶ୍ଵିନ୍ଦ୍ରଙ୍କାଳୀମିନ୍ଦେଶ୍ ଏବଂ ଶିଗାରାଶିରି
ଶମାଶାତ୍ର ଶୁଭାତ୍ମେଶ୍ ଏବଂ ମନ୍ତ୍ରଲିଙ୍ଗିଲ
ଦିନୋର-ଦିନୋରିତ ଶମନ୍ଦ୍ରକ୍ଷେତ୍ର.

„Տուեալու ամբողջը, տավուշերաս ՅՈ-
ԼՈՒ զաերհեծի, ԱՇԽԱԼՈ զնեիծ Կյուա-ՑՐ-
Եցիս ՏԻՐԱՎԱԾ ԲՈՒՋԵՐԵՑԻ Ը ՖԻՆԱԲ-
ՈՐԻՆՈՒՅՆ ԲՈՒՋԻՐԵՑԻ ՑԻ!“

Յուրաքանչյան առաջնորդ է առ Ստեփանոս մա-
լուրցա, առ վեցին ամլու դա առ Վահագ-Հանոնին թաճելու օրը:

ესეთს განწყობილებაში მყოფს ოტელოს განა შეეძლო მხოლოდ თავის ავტორიტეტს, თავის პიროვნების მომხიბლველობას დაყრდნობოდა და ისეთივე დამშვიდებული ყოფილიყო, ჩოგორუ პირველ სცენაში? მე მგონია არ შეეძლო, არ შეეძლო, ვინაიდნ კასიონ და მონტანობ თავიანთი საზიქლარი საქციელით შეუწყნარებელი დანაშაული ჩაიდინებ. — „როგორ! საომარ ქალაქ შიგნით, სად მღელავარება ჯერ არ დამტეხალა და სად ხალხი ჯერ შიშითა თრთის, შუალამისას ერთმანეთში ჩხუბს და შფოთს მართავ! და მერე სადა? თვით ციხეში, სადარაჯოზედ!“

„სისხლ-ამოვრეული და ვნება აშლილი“ ოტელო იმასაც ვერ ამჩნევს, რომ მონტანო სასიკვდილოდ არის დაჭრილი და როგორ მის კითხვაზე მონტანო იმ წმისვე ვერ აძლევს პასუხს, ოტელო გრისხანედ უბრძანებს — „სთქვი, პასუხს ველი!“ და სასიკვდილოდ დაჭრილს მონტანოს აიძულებს ილაპარაკოს. როგორ იაგო მზაკვრობით განგებ ხაზ-გასმით ეუბნება: „ვიღაცა კაცი ყვირილით მორბოდა, შეწევნას ითხოვდა და უკან კასიონ ხმალნაშიშვლი მუქარით მოსდევს“ — დაო, ოტელო მზად არის იქვე გააქროს კასიონ, ვინაიდნ ამ ჩხუბისა და ალიაქოთის გამოშვევი მისივე თანაშემწე ყოფილა, რომელსაც ყველაზე მეტად ენდობოდა და რომელსაც მიანდო თვალ-ყურის დევნა:

„შენ უდე ყური, ჩემი მიქელ, ამაღმად დარაჯს: დროს გატარება და შეცცევა ნუ დაგვავიწყებს მას, რაც ვალად გვდევს.“

და კასიონმ არა თუ ვალი დაივიწყა, არამედ დაუშვებელი ამბავი ჩაიდინა. კასიოს საქციელში იგი იაგოს ნაამბობზე უფრო მეტს დანაშაულსა ხედავს და ჰერნია, რომ იაგო ზოგიერთს რასმეს უმალეა:

„მესმის, იაგო, პატიოსნება, მეგობრობა შენ მას გაონებს, კასიოს ბრალი შეამოკლო, მცირედ დასახო“ არა მგონია,

რომ ამ განწყობილებაში მყოფს ოტელოს ერთი-ორჯერ მაიცც ხმა არ აემოვნონა და ერთხელ მაიცც არ შეეჭროს ამოწვდილი ხმალი და თავის ავტორიტეტზე დაყრდნობილს მხოლოდ ბრძანების ციფრი კილოთი ელაპარაკანა.

ეხება რა უკანასკნელ მოქმედებას, ოტელო მოსწონს, რომ მე, ოტელო, დეზდემონას ჯერ ხელით ვახრჩობ და შემდეგ ხანგალს ჩავკრავ და სწერს: „ოტელო ხსაიათის გამოვლინებისათვის უნდა დავეშაროთ მ ხოლოდ მას, რასაც შექსპირი გვაძლევს ტექსტში. იმედაშვილიკი შექსპირში კითხულობს იმს, რაც მას უნდა და არა იმას, რაც ნამდვილად არის. დეზდემონას მოვლის სცენასაც-ე ისე არ ატარებს, როგორც უკვე კლასიკურ ტრადიციათ არის მიღებული საუკეთესო ევროპულ და საბჭოთა თეატრებში. იმედაშვილი აიძულებს მაგრას დეზდემონა დაახრჩოს-კი არა, არამედ ხნებით მოჟელს. წერილში „ოტელო“ ქართულ სცენაზე“ („ლიტ. გაზეთი“, აგვისტო 1939 წ.) დ. ტალნიკოვი ამტკიცებს, რომ შექსპირის ოტელო სწორედ ესე იქცევაო, მაგრამ სამწუხაროდ წერილის ავტორს ამის დასასაბუთებლად არავითარი არგუმენტები არ მოჰყავს.“

მე არ ვიცი დ. ტალნიკოვს რა აქვს აზრად, როგორ ამბობს, რომ ოტელო სწორედ ესე უნდა მოიქცე სოდა არც ის ვიცი, თუ რატომ ჰერნია ტ. როკოტოვს, რომ ოტელო ესე არ უნდა მოიქცე ს. თუ დ. ტალნიკოვს ამის დასამტკიცებლად არავითარი არგუმენტები არ მოჰყავს, ტ. როკოტოვიც ვერაფრით ვერ ასაბუთებს თავის აზრს, გარდა იმისა, რომ იძახის — „ეს უკვე კლასიკურ ტრადიციათ არის მიღებული საუკეთესო ევროპულ და საბჭოთა თეატრებში“ — დ. ტ. როკოტოვი რომ ესე სავსებით არ დაკარგიდნობოდა ამ ტრადიციას და თავის აზრის დასამტკიცებლად ისევ

შექსპირისათვის მიემართნა, უფრო
მძლავრს არგუმენტს მოიყვანდა.

როგორც ტ. როკოტოვი, ისევე ზოგიერ-
თნი სხვებიც ამტკიცებენ, რომ ოტელომ
იარაღი არ უნდა იხმაროს და ამის და-
სასაბუთებლიდ თვით ოტელოს სიტყვები
მოჰყავთ, რომლებისთვისაც ტ. როკო-
ტოვს, რატომდაც, ყურადღება არ მიუქ-
ცევია. ოტელო უქანასკნელ სცენაში,
ვიდრე დეზდომონას დაახრჩობს, ამბობს:

„მაინც მე იმის სისხლს ვერ დავღვრი, ვერცა გავეკრავ მის კანს თოვლზე-
დაც უსპეტავეს და უსუფთესასა“, და
მცირე პატის შემდეგ დასხენს:

„მაგრამ უნდა-კი მოკვდეს იგი.“

ოტელოს მტკიცე რწმენით და გარდაჭ-
კვეტილებით დეზდომონა „უნდა დაიღუ-
პოს, ჩალპეს, ჯოგორეთის ცეცხლში ჩაი-
ნოქას! იმ დედაკაცს სიცოცხლესთან ხე-
ლი აღარ უნდა ჰქონდეს“, მაგრამ როგორ
და რანაირად მოახერხებს ამას, ეს მისთ-
ვისაც სავსებით გამორკვეული არ არის,
თუმცა-კი ლოგინში დახრჩობას უბირებს.

ვ ვამბობ, ბევრნი, ეყმარებიან რა ამ სი-
ტყვებს, ამტკიცებენ, რომ არ შეიძლება
ოტელომ იარაღი იხმაროს, ამითი ხომ თა-
ვის სიტყვებს გააბათილებსო. მაგრამ მე
მგონია ეს ესე არ უნდა იყოს. ჩვენ ვი-
ცით, რომ მეოთხე მოქმედებაში ოტელო
იაგოს ეუბნება:

„ამაღმვე საწამლავი მიშოვნე, იაგო,
მე მასთან ლიპარაქს არ მოვყვე-
ბი, რომ იმის სხეულის შეხებამ, იმის-
მა შევენიერებამ გაბედულობა არ
შემირყითს“-ი. ოტელოს თავის თა-
ვის იმედი არა აქვს, რომ როდე-
საც უამი დადგება, იგი შესძლებს დეზ-
დებონა სიცოცხლეს გამოასალმოს, ამი-
ტომაც უფრო იოლ საშუალებას ეძებს—
საწამლავს. მართალია, იაგოს ჩემევა, რომ
„მისგანვე შეგინძულ ლოგინში დაახრ-
ჩის“, მოსწონს, მაგრამ რა წამს მძინარე
დეზდომონას დახედავს, განიცდის რა მის
შევენიერებას, მისი სხეულის „ბალზამი-
სუნნელებას“, რომელსაც „ძალუძს

აცდინოს, რომ გადასტეხოს თავის სხვა-
ლი თვით მართლ-მსაჯულებამ“, კლავ გა-
უბედავობა შეიძყრობს და ამტკიცებულ
ამბობს: „მის სისხლს ვერ დავღვრი,
კანსაც ვერ გავეკრავ“, ესე იგი ვერ
შევძლებ მის მოკვლასათ და არა ის, რომ
მხოლოდ სისხლს ვერ დავღვრი, თორებ
სხვაფრივ ყველაფერს ჩავიდენ. ჩვენ
რომ „სისხლის დაღვრა და კანის გაკა-
წვრა“ ისე მიეკითხ, როგორც ზოგიერ-
თებსა სურთ თავზე მოგვახიონ, მაშინ
დახრჩინითაც ვერ უნდა დახრჩო, რად-
განაც იმასაც თითონვე ამბობს, რომ „მი-
სი შევენიერება, მისი სხეულის შეხება
გაბედულობას შემირყევს“-ო.

შემდეგ ტ. როკოტოვი სწერს: „ამბო-
ბენ, რომ სახრეთელებისათვის იმედა-
შვილის ტრატოვება ოტელოს სახისა
უფრო მისაწვდომიაონ“, ესე იგი, მე,
თურმე, მაყურებლის გემოვნებისათვის
ვაკეთებ ზოგიერთს ისეთს რასმეს, რაც
პიესაში არ არის და ალბად ხანჯალიაც
იმიტომ ვართუამ.

ჯერ ერთი უნდა ვსთქვა, რომ მაყუ-
რებლის გემოვნებისათვის არასოდეს არც
ერთს პიესაში არაფერი გამიკეთებია
(რამაც იქნება ბევრი ზიანიც მომიტანა,
როგორც მსახიობს) და თუ ვაკეთებ რას-
მეს, მხოლოდ იმას, რასაც ტექსტი
მიკარანახებს და ხანჯალიაც სწორედ
ტექსტის მიხედვით ვმარიობ.

იქნება საჭირო იყოს, რომ დახრჩინის
მთელი პროცესი მაყურებლის თვალ-
წილ წევბოდეს, მაგრამ ეს მე ზემდეტად
მიმართა და მგონია არც თუ სასიამოვნო
სანახავი იქნებოდა, თუ დეზდომონა რო-
გორ დაიწყებდა ფეხების ფართხალს მა-
რის მძლავრ თათებ ქვეშ. ამიტომაც მე
დეზდომონას საწოლზე ვაქცევ და რო-
გორც-კი ყელში ხელს წაგუშერ და დახ-
რჩინის უშესების, იმ წამსვე ფარდა ორი-
ვესა გვფარავს. ფარდასა ვედი მაშინ,
როდესაც ემლია ხმაურინის ასტეს და
ჩვენს თვალ-წინ უკვე დახრჩინილი დეზ-
დომონაა. მაგრამ შექსპირი გვეუბნება,

რომ დეზდემონა მთლად დახრჩობილი არ ყოფილა. ოტელო ამბობს: „არ მომ-კვდარა... ჯერ სული უდგა... თუმც სასტიყი ვარ, მაგრამ გული-კი მოწყვალე მაქეს: მე არ მინდა, რომ დიდხანს გრანჯო.“ რა მოხდა, რატომ ვერ დახრჩო? ნუთუ იმ დევ-გმირ კაცისათვის ისე ძნელი იყო პატარა გვრიტის მიხრჩობა? მოხდა ის, რისიც თითონ ოტელოს ეშინოდა — დეზდემონას შშევნიერებამ, მისი სხეულის შეხებამ არა თუ გატედულობა შეურყა, არამედ ვაჟკაცობაც-კი წართვა. მაგრამ ოტელოს გადაწყვეტილი აქვს დეზდემონას მოკვლა და „ვერც ვერაფერი მოუსპობს და ვერც შეურყევს მის მტკიცე, უძლეველ რწმენას, კვნესით, ვაებით წარმოშობილს“ და დასტეს:

„აგრე... ჰო, აგრე.“

რა უნდა ამ ორი სიტყვით სთქვას? ან რად ამბობს ამ ორ სიტყვას? ან როგორ უნდა ავხსნათ ეს ორი სიტყვა? ნუ თუ ოტელო მიუბრუნდა და ხელ-ახლა დახრჩობა დაუშვიო? ხომ ნახა, რომ ვაჟკაცობა დაპქარება და ვერ დაახრჩო, ხომ თითონევ ამბობს — „არ მინდა დიღხანს ვტანჯოო“, მაში რამოხატება ეს „არა დიღიხნის ტანჯვა?“ მე მგონია არა იმაში, რომ ხელ-ახლა ყანყრატოში სწვდეს, სკიფგნოს და სთელოს მისი სხეული, არამედ იმაში, რომ ხანჯლის ერთის დავრით გაანთავისუფლოს ზედმეტ ტანჯვისაგან. მაგრამ ვაჟკაცობა აქაც ღალა-

ტობს და ხანჯლის დაკვრითაც საბოლოოდ ვერ უდებს ბოლოს, ეს-კი შექსპირისათვის იყო საყირო, რომ გონიერე მოსულს დეზდემონას მკვლელობის მთელი ბრალი თავის თავშე მიეღო.

ზოგიერთი უურადღებას არ აქციები იმ გარემოებას, რომ დეზდემონა დახრჩობის შემდეგ გონს მოდის, რამდენიმე სიტყვას ამბობს და მერე მაინც კვდება. ჩვენ-კი ვიცით, რომ უკეთუ დახრჩობილი ადამიანი გონს მოვიდა, სუნთქვა დაუბრუნდა და დაილაპარაკა კიდეც იმას საშიში აღარა აქვს რა, ის უკვე სიკვდილს გადახრჩენილია, დეზდემონა კი მაინც კვდება. რატომ კვდება? კვდება ხანჯლით მიყენებულ ჭრილობისაგან.

შექსპირმა, რომელიც ბუნების ყოველგვარ მოვლინებას იცნობდა, რომელიც მეცნიერების ყოველგვარ დარგში ერკვეოდა და ზედმიწევნით იცოდა, ნუ თუ ვერ გაითვალისწინა და ღავაწყდა, რომ თუ დახრჩობილი ადამიანი კვლავ დაილაპარაკებს, ის უკვე აღარ მოკვდება და ისიც იმ წამსვე.

არა, შექსპირს ეს კი არა, ის ღავიწყდა, რომ როცა ოტელოს ათქმევინებს: „აგრე... ჰო, აგრე“, ამ სიტყვების შემდეგ პატარა რებარე მიეწერნა — „ამ დროს ოტელო დეზდემონას ხანჯალს ჩაპკრავს“. მაგრამ, სამწუხაროდ, ნეტარხსენებულს შექსპირს რემარკების წერა არ უყვარდა.

3. ხერივები

გ. 6. ფედოროვა საქართველოში

გ. ნ. ფედოროვა (1846—1925) რუს მსახიობთა იმ ბრწყინვალე პლეადას მკუთხონდა, რომელიც მე-ХІХ საუკუნის მეორე ნახევრის განმავლობაში სათავეში ედგა მოსკოვის მცირე თეატრს და დიდის სიყვარულით და ენტუზიაზმით აკრძელებდა იმ შესანიშნავ რეალისტურ ტრადიციებს, რომელნიც მათ მემკვიდრეობით მიიღეს თავისი გენიალური მასწავლებელ შეჩერინისაგან.

გ. ფედოროვა 1863—1905 წლების განმავლობაში ამშვენებდა მცირე თეატრის სცენას. დიდმა ნიჭმა, უტყუარმა მხატვრულმა გემოვნებამ, მტკიცე ნების-ყოფამ, დიდმა შრომისმოყვარეობამ და თავის თავისადმი დიდი მოთხოვნილების წაყვენებამ შეუქნეს გ. ნ. ფედოროვას ის უდიდესი ავტორიტეტი, რომლითაც ის სიკედილამდე სარგებლობდა მოსკოვის

და რუსეთის თეატრალურ წრეებში. ეს უდიდესი რუსი მსახიობი-ქალი ორჯერ ეწვია თბილისი, სახელდობრ 1883 და 1888 წლებში.

1883 წლის საგასტროლო რეპერტუარი შესდგებოდა შემდეგი პიესებისაგან: ავტორიევი — „ქაშირის სიძველე“ (მარია), დიუმა — „მარგარიტა გორიე“ (მარგარიტა), შექსპირი — „ჭირვეულის მორჩულება“ (კატარინა), ვალდე — „დამნაშვე“ (ნადეჟდა ნიკოლაევნა), ტომაის — „სიგიურ სიყვარულისაგან“ (დედოფალი ხუანა), პოტეხინი — „სულიო დატაპნი“ (კონდოროვა), ოსტროვსკი — „ვასილისა მელენტიევნა“ (ვასილისა), ტანიოვსკი — „ბალლი“ (მადლენა), პოტეხინი — „მკვდარი მარყუეი“ (კრამლინა), ოსტროვსკი — „ჭერე-ჭუხლი“ (კატერინა), ლანდაუ-კრილოვი „ძალუა ლიზა“ (ლიზა-ვეტა პეტროვნა).

თბილისის როგორც თეატრალური საზოგადოება, ისე ქართულ-რუსული პრესა დიდის აღტაცებით შეხვედრია შესანიშნავ გასტროლოირებს: „ამისთანა დრამატიული აქტრისა, — სწერდა გაზ. „დროება“ (17—VI—1883 წ.) ფედოროვას შესახებ, — შემდეგ სარა ბერნარისა ჩვენ არ გვინახავს“, და იქვე დასხენდა: „თუმცა ეს აქტრისა ორმოც წლამდე მიღწეული უნდა იყოს და ყამწვილის, ლამაზის ქალის როლისა თამაშობდა, ყველანი აღტაცებაში მოიყვანა თავისი თამაშობით.

ამ გამოჩენილს აქტრისას სრულიად არ ეტყობა ჩვეულებრივი დრამატიული წრიპინი, რომლითაც მესამე ხარისხის აქტრისები მაყურებლების გულს თუ არა, ყურებს ხომ ძალზედ აკრძნობინებენ ხოლმე. თავით ბოლომდე თამაშობდა ისე ბუ-



გ. ნ. ფედოროვა
(გადაღებულია თბილისში 1873 წ.)

ნებრივად, რომ მწუხარების დროს ცრეპლები უწვად სცვიონდა, სახე უწითლდებოდა და მეტის-მეტი როლით აღშფოთებით ისეთი ნაცველი ეხატებოდა სახეზედ, რომ მაყურებელს ზარავდა მისი შეხედვა”.

1888 წლის ზაფხულშე მეორედ ჩამოსულ ფედოტოვას თბილისის საზოგადოება უკვე როგორც ნაცნობს ისე ხვედება და მისი შესანიშნავი თამაშით აღტაცებული ყვავილებით უსვებს სცენას და უხევი ტაშისცემით აჭილდოებს დიდ მსახიობს.

ამ წელს, გარდა 1883 წელში ნათავაშევ „ჰექა-ქუხილის“ და „სულით ღატაკინისა“, ფედოტოვამ თამაშა შემდეგ პიესებში: ნემიროვიჩ-დანჩენკო — „ბედნიერი“ (ბოგუჩაროვა), სუმბათაშვილი — „არქაზანოვები“ (გარვარა ივანოვნა), სუვორინი და ბურენინი — „მედეა“ (მედეა), ოსტროვსკი — „უდანაშაულო დამნაშავენი“ (ოტრადინა — კრუჩინინა), ნევეჟინი — „მეორედ გაყმაშვილება“ (ვალენტინა ალექსანდროვნა). პირველ წარმოდგენად წასულა ვლ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს პაესა „ბედნიერი“, რომლის ლიტერატურულ ღირსების შესახებ 1888 წლის 8/VII „ტიფლისკი ლისტოვი“ უარყოფითი აზრისა, მაგრამ მაღალ შეფასებას აძლევს სპექტაკლში მონაწილე მსახიობებს ფედოტოვას, რიბაკოვს, პრავდინს და სხ.

„მოუხედავად იმისა“, — სწერს გაზეთი ფედოტოვას შესახებ, — რომ ულმობელ ღროს თავისი მიაქვს, მსახიობი შვერინად თამაშობდა, განსაკუთრებით შხატვრულად ჩაატარა მან სცენა ქმართან მე-4 მოქმედებაში“. ასეთივე დიდ შეფა-

სებას აძლევს ეს გაზეთი ფედოტოვას თამაშს ოსტროვსკის „ჰექა-ქუხილის“ რომელშიაც ფედოტოვა თამაშობდა კატერინას როლს (9 ივლისის ნომერი). ეს როლი საუკეთესოდ ითვლებოდა ფედოტოვას რეპერტუარში. ასეთივე აღტაცებულ რეცენზიებს ათავსებს გაზეთი სხვა საგასტროლო სპექტაკლების შესახებაც.

განსაკუთრებით დიდი აღტაცება გამოუწვევად მსახიობს მედებს როლის შესრულებით: „მსახიობი ამ როლში ყოველგვარ კონკურენციის გარეშე იყო“, — სწერს იგივე „ტიფლისკი ლისტოვი“. მაყურებლის აღტაცებას ხომ საზღვარი არა პქონია.

„განსაკუთრებით კარგად თამაშობდა გამოჩენილი ფედოტოვისა, — სწერს გაზ. „ივერია“ 1888 წ. 13/VII ამავე სპექტაკლის შესახებ. — „ჩვენს საზოგადოებას იშვიათად უნახავს ამგარი ხელოვნური თამაში. ფედოტოვისა ისე გულაანად და გრძნობით თამაშობდა, რომ ზოგს დამსწრე მანდილოსან გული შეუწუხდათ“. ასეთივე აღტაცებით აღნიშნავს „ივერია“ ფედოტოვას მიერ კატერინას („ჰექა-ქუხილი“) როლის შესრულებას.

1883 წლის საგასტროლო წარმოდგენებში მონაწილეობას იღებდა ახალგაზრდა ა. სუმბათაშვილი, რომლის თამაშის შესახებ ერთერთ პიესაში გაზეთი „დროება“ სწერს: „ამ პიესაში სხვათა შორის თავი იჩინა ჩვენმა თანამემამულემ ა. სუმბათაშვილმა, რომელსაც თავის თავისათვის იუჟინი დაურქმევია. ეს ახალგაზრდა აქტიორი ლამაზად თამაშობდა ბედშავის და გამოუცდელის შევარებულის როლს“.

წ. ბ.

თბილისის სახელმწიფო ცირკის სეზონი

საბჭოთა ცირკის არტისტებმა დიდი სახელი მოიხვევეს, როგორც არენის ყველაზე გამშეღვევა და გამომგონებლობის უნარით აღსავს ისტატებმა. გასულ სეზონში თბილისის სახელმწიფო ცირკში ნაჩვენები პროგრამის ექვსი ცირკის არტისტებმა საესხით დაიმსახურეს. ძალის და სიმარჯვის დემონსტრაცია, ორგანიზებული ადამიანის წარმტაცი პროპაგანდა, ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ნაკლოვანების სატირიკული გამოშეკარაგება, — ყველა ამას უჩვენებს ჩვენი ცირკი საბჭოთა მაყურებელს, რომელსაც უყვარს ეს ხელოვნება, როგორც მამაკობის სკოლა.



თბილისის სახელმწიფო ცირკის დირექტორის მოადგილუ მ. ი. ტაცე

გასულ სეზონში თბილისის მაყურებელმა ნახა მეტად მრავალფეროვანი და მაღალხარისხის ნომრები, როგორც, მავრელითდ, პირველად თბილისში გამოსული ახალი საბჭოთა ატრაქციონი „მოტო-მარულა დახრილ ტრექზე“ ორდენისან არტისტის პ. ნ. მააციკის ხელმძღვანელობით, ცირკის გუშბათის ქვეშ მავთულზე მოსიარულენი არტისტ პ. ტარასოვის ხელმძღვანელობით, ალი-ბეკის მოჯირით დასი, იური დუროვი თავის გაწვრთნილი ცხოველებით, ილუზიონისტი—ქალი ქლეო დოროტი, საქ. ს. ს. ჩ. და რ. ს. ფ. ს. რ. დამსახურებული არტისტები ძმ. ტანტი, უონგლიორი—ქალი ორდენისანი ლიდია იუნირი და სხვ.

იური დუროვმა გამოიყვანა ახლად გაწვრთნილი ცხოველები — ახალგაზრდა ზღვას ლომები და საცირკო კარიერის დაწყები პატარა ძალლები. დუროვის „საცირკო მიმოხილვის“ ზოგი ანტრე მეტად სასაცილო იყო: მაგალითად, სპილო—პარიჟმასერი, ძალლები—სახანძრო რაზმელები და სხვ. ახალგაზრდა უონგლიორი—ქალი ორდენისანი ლიდია იუნირი თავისუფლად, ზუსტად და შშვენივრად მუშაობდა, მეტადრე საინტერესო იყო მისი ნომერი—ტანის ყველა კიდურებით უონგლიორობა. დიდი წარმატებით სარგებლობრნენ მუსიკალური სატირიკოსები „10 კლოუნი“ საქ. ს. ს. ჩ. და რ. ს. ფ. ს. რ. დამსახურებული არტისტის ორდენისან ლეო ტანტის ხელმძღვანელობით. მათი გამოსულა მუდამ გამოიჩინოდა თემის ძეტუალობით და ფორმის სიახლით. კავკასიის მოჯირით დასი ალი-ბეკის ხელმძღვანელობით საინტერესო ნომრებით გამოდიოდა. ნომრის

მოქმედება სწარმოებდა არენაზე და ტანკზე. ალიბეკის დასის ნომრები საბჭოთა ცხენოსნების საუკეთესო თვისებათა ჩვენება იყო. ატრაქციონი დიდ ინტერესს იწვევდა შაყურებელში. ცირკის გუმბათას ქვეშ მავთულზე მოსიარულენი ორდენოსან პ. ტარასოვის ხელმძღვანელობათ გვიჩვენებდნენ მამაცობის და ძალის მაგალითებს, მუშაობის სიზუსტეს, რაც უთუთ საცირკო ხელოვნების მაღალი ტექნიკის, ამ ნომერზე დიდი შრომის გაწევის და არტისტების უნარიანობის მარვენებელია.

მაგრამ სეზონის ცენტრალური ნომერი იყო—ახალი საბჭოთა ატრაქციონის ჩვენება „მოტო-მარულა დახრილ ტრეჭზე“ ორდენოსან პ. მაიაცის ხელმძღვანელობით. თავის ატრაქციონის იდეურ შთამაგონებლად პ. მაიაცი სთვლის ჩვენი დროის დიდ მფრინავს ვ. პ. ჩეალოვს. საბჭოთა კავშირის გმირების ამხ. ჩეალოვისა და ამხ. ლიაპილევსკის მოწოდებანი მოტო-სპორტისათვის ყურადღების მაქტევისა და ყოფასა და ფიზიულტურაში მოტოციკლის დანერგვის შესახებ შთამაგონებელ სტიმულად შეიმჩნენ პ. მაიაცისათვის, რათა მოტოციკლის გამოყენებით ახალი საცირკო ნომერი შეემნა.

საცხენოსნო სპორტი საუკუნოებრივი ტრადიციით არის დაკავშირებული ცირკონ. ცირკის მაყურებელს უყვარს გაწვრთნილი ცხენების გამოსვლა და ცხენოსნების მამაცი მუშაობა. და აი ცხენების მაგიერ მანეჟზე—ფოლადის ჩაშებია, ტრადიციული უკეის ქუდებში გამოწყობალი საცირკო მოჯირითების მაგიერ—მოტოციკლისტები ლაბაზ და უზაღლ ჩაჩქანებში. ცირკი გაიცსო მოტორების ღრიალით და ოთხი ახალგაზრდა სწრაფად მოსწყდებიან მოტოციკლებით არენის შუაგულს და იწყება გააფთრებული და თვალწარმტაცი სვლა ციცაბო, დახრილ ტრეჭზე, რომლითაც გარშემორტყმულია არენა. ახალგაზრდა საბჭოთა არტისტების ხელში ფოლადის მანქანები მსუბუქი



იური დუროვი
გაწვრთნისაზე მოტოციკლისტი



ცირკის ატრაქციონი „მოტო-მარულა“
პ. მაიაცის ხელმძღვანელობით

საქართველოს კულტურული
მდგრადი კულტურული მუზეუმი

მუშაობა დაწყო ახალ შენობაში, რომელიც უკველვარ საშუალებას იძლევს ცირკი ხელვნების სრულყოფილი და მრავალნაირი დემონსტრაციისათვის, თბილისის ცირკი გადაქცა ერთერთ წამყვან ცირკად საბჭოთა კავშირში. თანდათნობით, თავის მაღალევალიფიციური ოსტატობის წყალობით, თბილისის ცირკი ახალგაზრდა საცირკო მსახიობების სკოლად გადაიქცა.

გასულმა სეზონმა გვიჩვენა, რომ ცირკის მუშაობის საორგანიზაციო მხარე კარგად არის დაყენებული, რაც უთუთ თბილისის ცირკის დირექტორის ამხ. განგიას და მისი მოადგილის ამხ. ტადეს მუყათი მუშაობის შედეგია. ამხ. მ. ტადეს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთვის დაკავშირებით, მიეკუთვნა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება. ამხ. ტადე ეკუთვნის ხელოვნების დაწევის იმჩემება რიგს, რომელიც არც არენაზე და არც სცენაზე მაყურებლის წინ არ გამოლიან, არ განიცდიან სიხარულის წუთებს მაყურებელთა დაბაზის ტაშის-ცემით დაჯილდოებულნი; ესენი არიან კულისებს იქით მომუშავე აღამანიები, რომელთაც მაყურებელი ვერ ხდავას, მაგრამ რომელთა მუშაობა იგრძნობა იმის საშუალებით, რაც არენაზე ხდება. დიდი ჯილდო, რომელიც პარტიამ და საბჭოთა მთავრობის მიაკუთვნა ამხ. ტადეს, საწინარიანი იმისა, რომ იგი გააორეცეცბს თავის ძალებს საბჭოთა საცირკო ხელოვნების განვითარებისა და გაფურჩქვნისათ-



უნდალისორი-ქალი დიდია უნდარი

და მორჩილი არიან, როგორც კარგად გაწვრთნილი ცხენები. ორი ქალიშვილი შეახტება გააფთხებით მქროლავ მოტოციკლებს და სრული სკოლის დროს აშარმოებენ როტულ აქრობატულ ვარგიშობას. მოტოციკლისტები ერთმეორებს წინ უსწრებენ და წამის რომელიმეაც ნაწილაჟში, როდესაც მანქანები ერთმანეთს გაუსწორდებიან, ქალიშვილები გადახტებან ერთი მანქანიდან მეორეზე. ბევრი მამაცობის, სიმარჯვის, გაბეღულობისა და გმირობინებლობის გამომეღავნება დასჭირდათ საპუთო არტისტებს, რომ შეექმნათ ეს ბრწყინვალე საბჭოთა ატრაქციონი.

მას შემდეგ, რაც თბილისის ცირკმა

ვის.

ახალი დაგენერაცი თოჯინების ეპითებ თეატრში

თოილისის თოჯინების ქართულმა თეატრმა სამართლიანად დაიმსახურა სკოლამდელ ბავშვთა სიყვარული. აღნიშნული თეატრი რამდენიმე წელია მხატვრულ მომსახურებას უწევს ნორჩი მაყურებლებს.

თოჯინების თეატრში გამართული თვითეული სპექტაკლი სპეციალურად სკოლამდელთათვის არის გამიზნული. იგი ბავშვებში ჭანსალ ემოციებს იწვევს და ფანტაზიას უნიკითარებს მათ.

ამ წერილში ჩვენ გვინდა შევვხოთ თოჯინების თეატრის უკანასკნელ დადგმებს: კ. გოგაშვილის პიესა „მეგობრებს“ და ობრაზოვისა და პრეობრაჟენსკის „დიდ ივანეს“ (თარგმანი აკ. ბელიაშვილისა). პირველ მათგანში მოცემულია მეგობრების ძალა უსამართლობისა და გაიძვერების წინააღმდეგ.

პიესის შინაარსი ასეთია: ნორჩი მაყურებელი უყურებს სცენაზე უხეირო და

გაიძვერა მონადირის უხეშობას მონადირე ძაღლის მიმართ.

ვირი — ეს ხომ ცემისთვისაა გაჩენილი! — ასე მსჯელობს დესპოტი მეტისქვილე და ყოველ ნაბიჯზე უმოწყალოდ სცემს საწყალ ვირს. ასეთივე მდგომარეობაში ჩაცვენილან თავიანთ მხეც ბატონების ხელში კატა მამალი და სხვები. ყველა ესენი ახალგაზრდობაში ერთგულად ემსახურებოდნენ თავიანთ პატონებს, მაგრამ როდესაც დაბერდნენ, მხეცმა ბატონებმა ისინი მოიძულეს. ამიტომ გაურბიან უსამართლობას და ტყეს აფარებენ თავს.

ამგვარად, დამეგობრებულნი ერთად ისწრაფვან უკეთესი მომავლოსაკენ. უპატრონოდ მიტოვებულ წისქვილში მეგობრები შემთხვევით წააწყდებიან განსაცდელში ჩავარდნილ პატარა თაგუნიას, რომელსაც მეტისქვილებ და მონადირებ ძალით წაართვეს ნატერის თვალი. თაგვს



თოჯინების თეატრი

„მეგობრები“, მე-6 სურათი



„დიდი ივანე“.
თოჯინა—გაჭარი

გასაჭირისაგან იხსნიან მეგობრები და ასე იმარჯვებს მეგობრობა ბოროტებაზე.

სპექტაკლში მთელი რიგი აღგილები, განსაკუთრებით კი სცენა ძველ წისქვილში ოსტატურად აქვს გაკეთებული რეკისორ-დამდემელს ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს გრ. მიქელაძეს. როგორც ყოველთვის, ისე ამ სპექტაკლის გაფორმებაც მაღალი მხატვრული გემოვნებით აქვს შესრულებული მხატვარი ირაკლი მღვივანს. მშვენიერია პიესის მერა სურათის ტყის პეიზაჟი.

აღსანიშნავია ცალკეულ მსახიობთა თამაში თავიანთი თოჯინებით. ისინი უკვე შესანიშნავად დაუუფლენ თოჯინების ტარების მაღალ ტექნიკის. პატარა მაყურებლები ალტაცებაში მოჰყავს მსახიობების შ. ცაგარეულის, ქ. გოგავაშვილის, შ. კირკიტაძის, თ. კანდელაკის, ს. პაპაშვილის და სხვათა თამაშს.

ასევე დიდი წარმატებით სარგებლობს

აღნიშნული თეატრის მეორე სპექტაკლი „დიდი ივანე“. აღსანიშნავია, რომ სხვა ბული პიესა პირველი საბჭოთა საბავშვო ვთ ზღაპარია, რომელმაც დიდი გმოხმაურება პირველი საბჭოთა კავშირის თოჯინების ყველა თეატრში.

როგორია პიესის სიუჟეტი, რა იზიდა პატარა მაყურებლებს, ან რა არის ახალი ამ დადგმაში?

პიესაში ასახულია რელიგიის რაობა, სამღვდელოების მახინაციები, ნაჩერენებია, თუ როგორ იყენებდნენ ხუცები მშრომელთა გონების დასათრებუნავად რელიგიას. პიესიდან ნათლად სხანს, რომ რელიგია ოპიტეტია, რომელსაც საუკუნეების მანძილზე სიბრძეში, უმეტებაში ჰყავდა მშრომელი.

პიესაში მომექვედ ხუთ ძმიდან მხოლოდ „დიდი ივანე“ არის გამრჩე, მშრომელი, დანარჩენი ძმები კი მცონარები, ზარმაცები და უქნარები არიან. საზიზღარი ძმები და გესლიანი გველი გადაემტერებან ივანეს. გველს ივანეზ ხელიდან გამოსტაცა სასიყვდილოდ განწირული შევარდენი.

ივანეს გულევა ძმებმა გადასწყვიტეს მისი დაბრმავება, რათა შრომის მოყვარე ივანე გამოიყენონ თავიანთ სასაჩვებლოდ. ამ საქმეში ისინი იყენებენ გველს, გველი შურს იძიებს — მიაპარვით მძინარე ივანეს შხამს ჩაწვეთებს... ივანე ბრძანება.

გველი სანატრელი განძის საშუალებით ივანეს უქნარა ძმებს გადააქცევს ზოგს მეფედ, ზოგს სარდლად, მღვდლად და ასე შემდეგ, რომლებიც სასტიკ ექსპლოატაციას უწევენ დიდ ივანეს.

მუშაობით ქანცმოლებული ივანე სევდიანად მღვრის თავის გაჭირებულ ცხოვრებაზე. ობოლი ცრუმლი არ სცილდება მის უდროოდ დაბრმავებულ თვალებს. მხოლოდ შევარდენი მისი გულის მესაიღუმლე, მისგან მოელის იგი სხსადა შველას. მართლაც, რა უზომო სიხარული დასადგურებს ივანეს გულში, როდესაც შევარდენი შორიდან უებარ

წყაროს წყლის წვეთებით განკურნავს ივანეს თვალებს. იგი ნათლად დაინახავს, რომ მეფე მასზე ძლიერი არაა და რომ სამღვდელოება მას დილიდან საღა- მომდე წელში ოთხად მოხრილი მეფის საამებლად ამჟავებდა.

ერთხელ კიდევ სცადეს მეფემ და სარ- დალმა, ვაჭარმა და მღვდელმ დიდი ივა- ნეს დამარცხება. მათ გველის გარდა გვე- ლებამიც კი დაიხმარეს, მაგრამ ამოოდ. დიდმა ივანემ საბოლოოდ დაამარცხა ისინი და აღგავა დედამიწის პირისაგან.

უნდა ალინიშნოს, რომ თბილისის თო- ჯინების ქართულ თეატრში პირველად იქნა გამოყვანილი ცოცხალი ადამიანი სცენაზე თოჯინებთან ერთად (დიდი ივა- ნეს როლში). თითქოს ასეთი ცდა დავას იწვევს, მაგრამ სპექტაკლის ავტორებმა (რეჟ. გრ. მიქელაძე, მხატვარი ა. მოლ- შოვიჩი) ისე მოხდენილად შეახამეს მხა- ტვრიბა და პირის დაკორატიული გაფო- რმება, რომ თითქმის სრულიად არავითა- რი დიდი განხვავება არ არის თოჯინებსა და ცოცხალ ადამიანს შორის. ისეთი შთა- ბეჭდილება იქმნება, თითქოს ეს აუკილე- ბელ საჭიროებას წარმოადგენდეს. ჩვე- ნის აზრით, სწორად მოიცენენ სპექტაკ- ლის ავტორები, როცა ასეთ თეატრალურ ხერხს მიმართეს; მათ ეს ახალი ცდა წა- რმატებით დაგირგვინდა და სპექტაკ- ლიც გულთბილად მიიღო მაყურებელმა.

რა თქმა უნდა, თოჯინების თეატრში ცოცხალი ადამიანის გამოყვანა სცენაზე წესად არ უნდა შემოვილოთ, რადგან შესაძლოა ამან არევა გამოიწვიოს და დაარღვიოს საერთოდ თოჯინების თეატ- რის პრინციპი, სტილი.



„დიდი ივანე“
თოჯინა—შეცვი

თოჯინების დამტარებელ მსახიობთაგან თავიანთი მონდენილი თამაშით უსათუოდ გამოიჩინევიან კირიტაძე, ცაგარეიშვილი, საყვარელიძე. დიდი ივანეს როლს მსახი- ობი კ. გოგაძეშვილი თამაშობს. მა ახალ- გაზრდა ნიჭიერ მსახიობს ჩვენ კიცნობთ მარჯანიშვილის სახელობისა და მოზარდ- თა თეატრების სცენიდან; იგი აქაც მის- თვის დამახასიათებელი გულწრფელო- ბით, უბრალოებითა და სისაღავით ასრუ- ლებს დიდი ივანეს საპასუხისმგებლო როლს.

ვლ. შედეგი

ხობის საკოდეჟარეო თეატრი


საქ. კ. პ. (ბ) ხობის რაიკომის მდივნის ამს. ათანასი ჭიქიას ინიციატივით ხელოვნების საქმეთა სამართველომ 1936 წელს ხობში გახსნა საკოლმეურნეო თეატრი. დასი უფრო მეტად აღგილობრივი ძალებისაგან შესდგებოდა. თუ პირველ ხანებში თეატრის მიერ დადგმული სპექტაკლები მთლიანად ვერ იდგა სათანადო სიმაღლეზე, როგორც ჩეპერტუარის, ისე მსახიობთა თამაშის მხრივ, მაყურებლის დაწერებაც ნაკლები იყო, ახლა თეატრის კოლექტივი დავაუკაცდა დაუკვე მაყურებელთა სიყვარულიც დაიმსახურა.

აი, ის პიესებიც, რაც ხობის საკოლმეურნეო თეატრში იქნა დადგმული ამ ხუთი წლის განმავლობაში: „ვინ არის დამნაშავე?“, „რობინ გული“, „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, „არსენა“, „ძალად ექიმი“, „სტუმარ-მასპინძლობა“, „შუქუ-

რა“, „ხანუმა“, „ბრმა მუსიკოსი“, „მათი ამბავი“, „გმირთა თაობა“, „კოლმეურნის ქორწინება“ და სხვ.

ხობის მაყურებლებმა ნახეს აგრეთვე საქართველოს სახალხო არტისტების ელისაბედ ჩერქეზიშვილისა და ნიკო გოცირიძის მონაწილეობით დადგმული „ხანუმა“, რომელთაც ითამშეს ხობის საკოლმეურნეო თეატრის ახალგაზრდა კოლექტივთან ერთად.

ხობის საკოლმეურნეო თეატრი ხუთი წლის მანძილზე საქმაოდ გაიზარდა. ამას მოწმობს მხატვრული გემოვნებით დადგმული პიესები, როგორც მაგალითად ქველი დადგმებიდან „ხანუმა“, „არსენა“, „ვინ არის დამნაშავე?“, „შუქურა“, „გმირთა თაობა“, „მათი ამბავი“, აგრეთვე უკანასკნელი წლების ნამუშევარი: „კოლმეურნის ქორწინება“, „ბრმა მუსიკოსი“, „კვალითელი დალაქი“ (რეჟ. ვასო ცხადა-



ხობის თეატრის სამსატერო ხელმძღვანელი
ნ. წითლიშვილი



მხატვარი გ. ლაშვილი



"გევგევორი"

შ. ლოლუა — გევგევორი
იას (დადგმები), მიმღინარე სეზონში —
თეატრის სამხატვრო ნაწილის გამგის
რეჟისორ ნიკო წითლიშვილის დადგმები

"გევგევორი"

თ. შუციშვილი — სიდუ
— „ბედნიერება“ და „ჩაძირული ოქრო“,
და რეჟისორ შ. კოპალაძის დადგმები:
ორდენსანი დრამატურგის შალვა და-



ხობის თეატრი

"გევგევორი"



„კოლმეურნის ქორწინება“
ვ. ელიაშვილისტიკე



„გეგმექორი“
ვ. ალლაძე—შავდია

დიანის—„გეგმექორი“, „ჩვენი მიწა“, „ჩი—
მი მეომარი“ და „შემშათი“. საქართველოს კულტურული მუზეუმი

მსახიობებიდან უპირველეს ყოვლისათვე აღსანიშნავია ახალგზზრდა კომეკშირელი მსახიობები თინა ფიფია და თინა ხუცი-შეილი. ფიფია ხობის თეატრის დაარსებიდანევე მუშაობს. პირველ წლებში ჩუმი და მორცხვი გოგონა დღეს უკვე ხობის რაიონის მშრომელთა საყვარელ მსახიობად გვევლინება. იგი ადგილობრივი მევილი მცხოვრებია. მან დაუკიშებარი სახე-ები შექმნა: ელინა—„ბრძა მუსიკაში“, არინუშეა—„ბედნიერებაში“, უორეუტა—„ჩემ მეომარში“, ფლორენცია—„ჩვენ მიწაში“ და სხვ. გარდა ამისა, თ. ფიფიამ შეისას როლის შესრულებით („ჩაძირული ოქრო“) შექმნა სტალინური ქვეყნის ბედნიერი თაობის წარმომადგენლის, ცერიალა პინქერის დამაჯერებელი სახე.

მსახიობმა თ. ხუციშვილმა ერთი წელი-წადია რაც ხობის საკოლმეურნეო თეატ-რში დაიწყო მუშაობა, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში დაიმსახურა ხობის საზოგადოების სიყვარული. ხუციშვილის მიერ შექმნილი სახეები: გაიუშა—„ბრძა მუსიკაში“, სიღუ — „გეგმექორში“, ნატა—„ბედნიერებაში“, მარინე — „ჩვენ მიწა-ში“ და ზინაიდა — „ჩაძირულ ოქროში“ მაყურებელს დიდხანს არ დავიწყებება.

კარგია მსახიობ ვალ. ელიაშვის მიერ შექმნილი ტაქტი: „კოლმეურნის ქორწინებაში“ — გვირისტინე, „ჩაძირულ ოქ-როში“—შესა და სხვ. საკმაოდ წა-მოიზარდა ახალგაზრდა მსახიობი ნათელა ბობოხიძეც.

ახალგზზრდა ვაჟ-მსახიობთაგან უპირ-ველეს ყოვლისა აღსანიშნავია გოგი ალ-ლაძე; მის მიერ განსახიერებული ტაქტი: „ბედნიერებაში“ — გვადი თოდუა, „გე-გმექორში — შავდია, „ჩვენ მიწაში“ — ილიქო, „შემშათში“—აქმურადი და „ჩა-ძირულ ოქროში“—გვნადი კარგად მო-ფიქრებული სახეებია.

ბორის სერგია დიდი ტემპერამენტის მსახიობია. იგი სერიოზულად მუშაობს

თვითეული ტიპის შექმნაზე. ასეთებია ჩი-
ქვანი („გეგეჭკორი“), აბრამი („ჩაძირუ-
ლი ოქრო“) და სხვა. ბ. სერგიას სახით
ხობის საკოლმეურნეო თეატრს ჰყავს ნი-
კიერი მსახიობი.

თეატრში მუშაობენ აგრეთვე მსახიო-
ბები შოთა ლოლუა, ვიდიკო ვახტანგაძე
და კლ. შოთა, რომლებიც სერიოზულ ძა-
ლას წარმოადგენენ.

მსახიობები შურა კობალაძე და ვასე
ცხადათ ნამდვილი პროფესიონალები და
ხობის თეატრის წამყვანი მსახიობები
არაა.

ხობის საკოლმეურნეო თეატრის დადგ-
შები განსაკუთრებით 1940-41 წლის სე-
ზონში კარგი გაფორმებით არიან მოცე-
მული მხატვარ ვახტანგ ლაშხის მიერ. მი-
სი ნამუშევარიდან განსაკუთრებით აღსა-
ნიშნავია „გეგეჭკორის“, „ჩაძირული ოქ-
როს“, „ბეღნიერებას“, „ჩერი მიწას“ და
„შემშათის“ გაფორმება მხატვარი ლაშხი
თავის საქმის ერთგული და თავდადებუ-
ლი მუშაკია.

თეატრი გამსვლელ წარმოდგენებსაც



ჩერი მიწა“
გ. შოთა — ზაფლივი

აწყობს კოლმეურნეობებში. გარდა აშისა,
საგაზაფხულო თესეის პერიოდისათვის
თეატრმა მომზადა ბრიგადა სკეტჩებით,
რაც უფრო მიზანშეწონილად უნდა ჩაით-
ვალოს, ვიდრე დიდი დადგმების წალება.

ხობის საკოლმეურნეო თეატრს გააჩნია
ყველა პირობა, რომ შემდეგში მოვცეს
კიდევ უფრო მეტად ხარისხოვანი წარ-
მოდგენები.



ხობის თეატრი

„ჩაძირული ოქრო“, IV მოქმ.

პოლიკარპე ზარიაშვილი

ფალიაშვილების მუსიკალურ ოჯახს კიდევ ერთი წევრი გამოაკლდა. 12 მაისს გარდაიცვალა პოლიკარპე ფალიაშვილი, რომელსაც თავის სახელოვან ძმებთან — ზაქარიასთან და ვანოსთან ერთად დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული მუსიკის პროპაგანდისა და პოპულარიზაციის საქმეში.

3. ფალიაშვილი დაიბადა ქუთაისში 1875 წლის 20 ივნისს. მამა მისი პეტრე, ქუთაისის კათოლიკური ეკლესიის უბრალო მსახური, დატვირთული იყო წვრილი შვილებით (13 სულით) და ძლიან უძნელდებოდა ოჯახის ჩრენა. როცა უფროსი მები ვანო და ზაქარია 15-16 წლისა შეიქნენ, თბილისში გამოემგზავრნენ სამუშაოს საძებრად, რათა გაჭირვებულ ოჯახს დახმარებოდნენ. მალე ვანო ორგანისტად მოეწყო თბილისის კათოლი-

კურ ეკლესიაში, ხოლო ზაქარია მის თანაშემწედ; თავისი მცირე ხელფასიდან ისინი ნაწილს ყოველთვიურად შშობლებს უგზავნიდნენ, რითაც დიდ შემწეობას აძლევდნენ ოჯახს.

თანდათან ვანოს მუსიკალურმა ნიჭმა-ფრთა გაშალა, მან დასტოვა ორგანი და დირიჟორიად მოეწყო ჯერ ოპერეტაში, ხოლო შემდეგ ოპერაში და მალე სახელიც გაითვეა. მას სეზონიბით იწვევდნენ რუსეთში და იქიდან ყურადღებას არ აკლებდა შშობლებსა და ძმებს. სამი წლის შემდეგ მათი მდგომარეობა იმდრენად გაუმჯობესდა, რომ მთელი ოჯახი თბილისში გადმოსახლდა საცხოვრებლად.

პოლიკარპე მაშინ 10 წლისა თუ იქნებოდა. მას ძალიან უყვარდა მუსიკა და სწუუროდა მისი შესწავლა, მაგრამ საამისო მატერიალური პირობები არ ჰქონდა. უფროსი ძმების დახმარებით მან საკმაოდ შეისწავლა ნოტების გარჩევა და პიანინის დაკვრა, მაგრამ ეს მას არ აქმაყოფილებდა. როცა იჯახის პირობები გაუმჯობესდა და უფროსმა ძმებმაც სცენა მასში მუსიკალური ნიჭი, იგი მიაბარეს თბილისის მუსიკალურ სასწავლებელში პროფესიონალურ კლენოვსკის, რომელთანაც მეცადინეობდა ხუთი წელი და წარჩინებით დაამთავრა თეორიული კურსი. ამის შემდეგ იწყება პოლიკარპეს ნაყოფიერი მოღვაწეობა მუსიკალურ-პედაგოგიურ ასპარეზზე.

იგი ჯერ სიმღერა-გალობის მასწავლებელია სკოლებში, სადაც მან თავისი ძმა ზაქარია შესცვალა, რომელიც 1898 წელს ამხანაგ-მეგობრების დახმარებით მისკოვს გაემგზავრა უმაღლესი სწავლის მისალებად. შემდეგ, 1902 წელს არჩეულ მაშინდელ „სახალხო სახლში“ პირველ სახალხო ოპერას, სადაც თავი მოუ-



პოლიკარპე ფალიაშვილი

ყარა ახალგაზრდა ნიჭიერ ძალებს. ოპერას ჰყავდა საკუთარი გუნდი და ორკესტრი, რომელთაც სრულიად უსასყიდლო ხელმძღვანელობდა პოლიკარპე ფალადშეილი. მას დიდი მუშაობის შესრულება უხდებოდა, მაგრამ სიამოვნებით ეწეოდა ამ შრომას, რაღაც ხედავდა, თუ როგორი ხალისით ესწრებოდნენ წარმოდგენებს მუშები და მათი ოგანის წევრები. „სახალხო ოპერის“ წარმოდგენები იმპრობოდა აგრეთვე ნაძალადევში და რკინაგზის კლუბში.

პარალელურად პ. ფალიაშვილი მუშაობდა ქართულ მუსიკალურ კომედიაში ვასო და ტასო აბაშიძეებთან, ნ. გოცირიძესთან და ა. ალ. იმედაშვილთან ერთად.

1917 წელს პოლიკარპე მიემგზავრება რუსეთში და დირიქორად მუშაობს ქ. არმავირსა და მაიკოპში, სადაც ჩჩება 1920 წლამდე; ამ წელს ბრუნდება საქართველოში და ხელმეორედ ააჩინებს „სახალხო ოპერას“.

1922 წლის 16 მარტს პ. ფალიაშვილი „სახალხო სახლში“ გადაუხადეს 20 წლის ნაყოფიერი მუსიკალური მოღვაწეობის აღსანიშნავი იუბილე.

პ. ფალიაშვილს დაწერილი აქვს რამდენიმე საბავშვო ოპერა – „შრომის შეიღლი თამაზი“, „ხეხილთა ბაღში“, „ბოსტანი“ და მრავალი საგუნდო სიმღერა, რომელთაც სკოლებში ასრულებენ.

უკანასკნელად პ. ფალიაშვილი მუშაობდა თბილისის საოპერო თეატრში ხორმეის-ტერად. საქართველოში საბჭოთა ხელოსუფლების დამყარების 20 წლისთვეზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით მას მიენიჭა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო სახელწოდება.

პ. ფალიაშვილი გარდაიცვალა 66 წლისა და დასაულავებულია კუკიის სასაფლაოზე.

„ხერ. გერხაძია.— მექო საფაროვი-აპაშიძისა . ხაზ. ხახ. ხათიათიშვ.
მუზეუმის გამოცემა. თბილისი 1940 წ.“

სარეცენზიო ნაშრომი ჭერ კიდევ მაკოს სიცოცხლეშივე გამოვიდა (მ. საფაროვი-აპაშიძისა გარდაიცვალა 1940 წლის 11 დეკემბერს) მისი დაბადებიდან 80 წლისთავის შესრულების აღსანიშნავად. წიგნში განხილულია მაკოს ცხოვრების სამი პერიოდი და ორნუსხულია მისი სასცენო მუშაობის მთავარი მომენტები.

მაკო საფაროვი-აპაშიძისა განსაკუთრებული მოვლენა იყო ქართული ხელოვნების სარბიელზე. ლარიბი ოჯახის შვილმა, ობლობაში გამოზრდილმა, მან, წინააღმდეგ მამისა და ნათესავთა სურვილისა და ხელფეხის შემბორება ტრადიციისა, რომელიც ქალს სცენაზე მუშაობას უნაშესობად უთვლიდა, აღრიდანვე შეიყვარა ქართული თეატრი და სიკედილმდე მისი ერთგული დარჩა. მისმა ნიშმა ერთბაშად იფეთქა და თავიდანვე მიიძყორ საზოგადოების ყურადღება. ილია ჭავჭავაძემ 19 წლის მაკოს, რომელსაც ამ დროს სცენაზე მუშაობის ერთ წლის სტაუც კი არ ჰქონდა, შემდეგი აღფრთვენანგებული სტრიქონები უძღვნა:

„აქტორების ღირსებაზე ჭერხანად არ ითქმის რა, ჭერ უჩვევნი არიან ბევრი მათგანი და იმედია, რომ გაიშვრონებიან, ხოლო ჭარმომდგრენებითა შორის ერთია, რომლისათვისაც ღმერთს მიუმაღლებია დიდი ნიში. მაგ ნიშის პატრიონი საფაროვის ქალია. ეს ისეთი აქტრისაა, რომელიც ჩვენი სცენის თვალი იქნება, თვალი. ამ აზრისანი არიან ყველანი, ვისაც კი საფაროვის ქალი სცენაზე უნახავს. ყველ სიკეთესთან ერთი სიკეთეც

სჭირს, რომ მშვენიერი ქართული გამოთქმა აქვს და ეს სიკეთე ეხლანდელ დროში, როცა ეს ქართული აღარავის ახსოვს, მეტად ძვირფასი რამ არის“.

ილიას წინასწარმეტყველება გამართლდა. მაკო მართლაც ქართული თეატრის თვალი, მისი მშვენება შეიქნა და სამ ათეულ წელზე მეტი დაუღალავად იღწვოდა მის სარბიელზე.

სერ. გერხაძის მონოგრაფია მიზნად არ ისახავს მაკო საფაროვ-აპაშიძის შემოქმედების ანალიზს; ეს უფრო ბიოგრაფიული ხასიათის ნარკვევია, რომელშიაც აღნუსხულია მაკოს ცხოვრების ყველა ღირსებუნიშვნა მოიხენტი, დაწყებული ბავშვობით და გათავებული ღრმა მოხუცებულობით.

წიგნი კარგად არის დაწერილი და ინტერესით იკითხება. ენა ლამაზია, თუმცა აქა-იქ გახვდება უხეში, არასწორი გამოთქმები, რომლებიც სტილისტურ გაშალაშინებას მოითხოვდნენ. მაგალითად, მე-9 და მე-10 გვ. ნახმარია—„პირველი პერიოდის ხანა“, „მესამე პერიოდის ხანა“; პერიოდი იგივე ხანაა და რა საჭიროა ასეთი განმეორება!

ავტორი ყველგან ხმარობს სიტყვა „ბებიას“, მათინ როდესაც ლიტერატურულად უფრო სწორია „დიდედა“. უადგილოა რუსული „ობეკის“ ხმარება, როცა გვაქვს შესაფერი ქართული გამოთქმა—„მეურვე“, „მეურვეობა“.

მე-50 გვ. არის ფრაზა—„და ყოველთვის საკითხი მაკოს სამარგებლოდ სწყდება, რაღაც გონებაში მტკიცედ ჩაგვჭი-

დება „აზრი“ და სხვ. უმჯობესი იქნებოდა გვეხმარა: „გონებაში ჩაგეჭდობა აზრი“. წიგნში არის შეცდომაც. ავტორი რუსეთის გამოქანილ დრამატურგ ისტროვსკის ნათლავს ნიკოლოზად (გვ. 43), მაშინ როდესაც მას ალექსანდრე ერქვა. ნიკ. ისტროვსკი პროზაიკოსია, ცნობილი „როგორ იწრობოდა ფოლადის“ ავტორი.

როგორც ბოლო მინაწერიდან სჩანს, ამ პატარა წიგნს (სულ 60 გვერდს შეიცავს მცირე ფორმატისას) ორი კორექტორი ჰყოლია (ან. თოლუა და მ. კორმაია). მთ უფრო გასაკვირია კორექტურულ შეცდომათა სიმრავლე. კორექტურული შეცდომები შევნიშნეთ მე-7, 8, 9, 28, 36, 47, 51, 53, 56 გვერდებზე. ჩაუ. ერის-

თავის პირსა ზოგან „ბიძასთან გამოხუმის რებად“ არის მოსსენებული, ზოგან „ცეკვას დევის ბიძასთან გამოხმაურებად“ (გვ. 51). „ლუზის“ ნაცვლად სწერია „ლუზია“, „ჩაბმულის“ ნაცვლად „ჩაბული“, „გულუბრყილის“ ნაცვლად „გულუბრყივლო“, „პოლიტიკურის“ ნაცვლად „პოლიტიკური“ და სხვ.

მე-45 გვერდზე სქოლიოში მითითებულია უურნ. „საბჭოთა ხელოვნების“ 1838 წლის № 2-ზე (!). —რამდენიდაც ვიცით, უურნალი „საბჭოთა ხელოვნება“ 1838 წელს არ გამოიღოდა.

წიგნის პასუხისმგებელ რედაქტორს (ამხ. გ. ბუხნიკაშვილი) მართებდა უფრო დაკვირვებით შეემოწმებინა ტექსტი.

ა. ი.

„И. А. Урушадзе. ЯКОВ ИВАНОВИЧ НИКОЛАДЗЕ“. Гос. изд. „Искусство“ М.-Л. 1940 г.“

რუსეთის სახელმწიფო გამომცემლობა „ცეკულტვომ“ („Искусство“) გამოსცა ი. ა. ურუშაძის მონოგრაფია ცნობილ ქართველ მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძის შესახებ.

თავისითავად ეს ფაქტი მეტად მნიშვნელოვანი და საგულისხმოა. მაგრამ ერთი რამ არის დამაფიქრებელი. ცნობილია, რომ ჩვენ ქართველ ენაზე ჯერ კიდევ არ მოგვეპოვება არც ერთი მონოგრაფია როგორც ძველ, ისე ახალ, საბჭოთა ქართველ მხატვრებსა და მოქანდაკეებზე. ჩვენი სახვითი ხელოვნების ისეთი ისტატები, როგორიც გიგო გაბაშვილი და ალ. მრევლიშვილია, ჯერ კიდევ ელოდებან მთა შესახებ დაწერილ ცალკე წიგნებს. სამწუხაობო, საქართველოში ხელოვნებისა და ხელოვნების მუზეების შესახებ დაწერილი წიგნების გამოცემა დაქასაჭულია და ზოგვერ გაუგებარია, თუ ვინ უნდა სცემდეს ასეთ სპეციალურ წიგნებს, რადგან ისეთი გამომცემლობა, როგორც რუსეთია, საქართველოში ჯერჯერობით არ არსებობს.

ამიტომ სრულიადაც არ არის გასაკვირო, რომ რუსეთში უფრო დროებით გამოიცა წიგნი იაკობ ნიკოლაძეზე, ვიდრე ჩვენში.

ი. ურუშაძის წიგნი ჩამდებით თავისაგან შესდგება. წიგნის უმეტესი ნაწილი ეხება ნიკოლაძის ცხოვრებასა და შემოქმედებას საბჭოთა პერიოდამდე (გვ. 3-57), ხოლო დანარჩენი გვერდები ეხება მას მოლვაშვილის საბჭოთა პერიოდში და იმის გამორკვევას, თუ როგორია ნიკოლაძის შემოქმედებითი მეთოდი (გვ. 57—78).

წიგნის პირველ თავში ი. ურუშაძე ცდილობს მოკლედ მოხაზოს ქართული ახალი სახვითი ხელოვნების წარმოშობისა და განვითარების კონტურები იმდროინდელ პოლიტიკურ-ეკონომიკურ ვითარებასთან დაკავშირებით. უნდა ითქვას, რომ აქვთ დე ეს საკითხები არ არის ჩვენს ლიტერატურული სათანადოდ გარეველი და ავტორის ცდა უთუოდ მისასამღებელია. ავტორი საცმალ გრცლად აშენებს საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდგომი დროის პოლიტ-ეკონომიკურ ვითარებას, რისთვისაც მარჯვედ იყენებს კ-

მარქსის, ი. სტალინის და ლ. ბერიას ციტატებს და სწორი დასკვნები გამოაქვთ. ესაა მხოლოდ, რომ XIX საუკუნის ქართული ხელოვნების საწყისებს და გზებს უფრო ნაკლებად აშექმდას. საინტერესო კი იყო, რომ ავტორს ამ საკითხისათვის მეტი უურალება მიეკცა. ავტორის მიერ ამ საკითხის შესახებ გამოთქმული აზრები, ზოგიერთ დებულებათა გამოკლებით, სადაც და მიგვაჩნია. მაგალითად, განა ჩვენში ახალი ფერწერა მხოლოდ XIX საუკბოლო წლებში შეიქმნა?! („Совытия последних годов XIX века“, გვ. 3). ავტორს მიკულედ მანც უნდა აღნიშნა. რუს და უცხოელ მხატვების მოღვაწეობა გასული საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში (გაგარინი, ორას ვერნე და სხვ.), რომელთაც, ცხადია სხვა საწყისებთან ერთად, ერთგვარი გავლენა მოახდინეს ქართული ახალი ფერწერის წარმოშობაზე. აგრეთვე რუსული აკადემიზმის და „პერედისიუნიკიბის“ გავლენა ჩვენს მხატვრობაზე. გაკერთ არან ნახსენები, ისიც შენიშვნაში (გვ. 15), ისეთი მხატვრები, როგორიც იყვნენ რომანოზ ველესიანი (1859—1884) და ა. ბერიძე (გარდ. 1917 წ.) და სრულებით არ არიან მოხსენებული გ. მაისურაძე (1789—1885), ტარასი მომცემლიძე და სხვ.

შემდეგ, ვერ დავეთანხმებით ავტორს ვიგო გაბაშვილის და ალ. მრევლიშვილის ერთმანეთთან დაპირისპირების განსაზღვრაში. „შათი დაპირისპირება სრულადაც არ ხასიათდება რომანტიზმისა და რეალიზმის დაპირისპირებით. ავტორს გამოჰყავს გ. გაბაშვილი, როგორც რომანტიკოსი, რომელიც „აღმოსავლეთის რომანტიკით გატაცებული“, მხოლოდ „აღგვერდას ტილოებზე თავის შთაბეჭდილებებს“. (გვ. 16). გაბაშვილის ასეთი გავება მეტად ცალმხრივია და არ იძლევა სრულ წარმოდგენს ჩვენი წარსულის ამ დიდ რეალისტ-მხატვარზე.“

მხატვრების სტანდარების, ბაშინჯაგიანის და ზანკოვსკის დახასიათებისათვის ავტო-

რი სრულიად საქმარისად სოველის მდროინდელ გახ. „ნოვოე ობოზრებულებაზე“ ციტატის მოყვანას, ისიც უკრიტიკოთ (გვ. 14), რაც, ცხადია, ისტორიულის თვალსაზრისით არ შეიძლება ჩაითვალოს სწორ მიღომად.

ი. ნიკოლაძის ცხოვრების პარიზის პერიოდის აღწერისა ავტორი საქმარი არ ახასიათებს ფრანგ მოქანდაკების დალუს და ფალიგიერის შემოქმედებას. საინტერესო კი იყო გამოერკვია ავტორს, თუ რაომ წავიდა ი. ნიკოლაძე როდენის „იმპრესიონიზმის“ და არა დალუ-ფალიგიერის გზით. ამასთან დაკავშირებით ავტორი ი. ნიკოლაძის შემოქმედების სოციალური ბუნების გამორკვევას ნაკლებ უურალებას აქცევს თავის მონოგრაფიაში. 68 გვერდზე ავტორს განზრანული აქვს მოქანდაკის შემოქმედებითი მეთოდის გამორკვევა. მაგრამ ჩვენთვის გაუგებარია, რად დასჭირდა მონოგრაფიის ავტორს საბჭოთა თეატრალური პრაქტიკიდან უკვე განდევნილი და უარყოფილი „განცდის“ და „წარმოდგენის“ სკოლების მცდარი დაპირისპირების გადატანა სახვითი ხელოვნებაში: „такая постановка вопроса в равной мере может быть перенесена и в область художественной деятельности“, — ამბობს ავტორი (გვ. 64), ჩვენ კი გვენია, რომ ეს უფრო აურდაურევს სახვითი ხელოვნების შემოქმედებითი მეთოდს (გვ. 68); „искания творческого эквивалента естественному освещению“, და „стремление к достижению „иллюзии цветов““ (გვ. 76) არ შეიძლება გამოდგეს მოქანდაკის შემოქმედებითი მეთოდის დახასიათებისათვის, თუნდაც საბჭოთა პერიოდის წინა დროისათვის. ასე რომ მონოგრაფიიდან მეთხველი ძნელად თუ მიხვდება, რა გზით დასჭირდა მოქანდაკეს საბ-

რი სრულიად საქმარისად სოველის მდროინდელ გახ. „ნოვოე ობოზრებულებაზე“ ციტატის მოყვანას, ისიც უკრიტიკოთ (გვ. 14), რაც, ცხადია, ისტორიულის თვალსაზრისით არ შეიძლება ჩაითვალოს სწორ მიღომად.

ჭოთა პერიოდში თავისი „შემოქმედებითი
მეთოდის გადასინჯვა“ (გვ. 76).

გამომცემლობას საქმაოდ ბევრი რე-
პროდუქცია აქვს დაბეჭდილი წიგნში.
მხოლოდ უნდა აღინიშნოს, რომ უფრო
მიზანშეწონილი იქნებოდა იმ ქანდაკებე-
ბის რეპროდუქცია მოეცათ, რომელთა
შესახებ მონოგრაფიის ავტორი მეტს ლა-
პარაკობს. მაგალითისათვის, ავტორი ლა-
პარაკობს მესხიშვილის ტარტიუფის ქან-
დაკების შესახებ (გვ. 29) და მოყვანილი
კი არის ქანდაკება „მესხიშვილი კაიუს
გრაფის როლში“, რომლის შესახებ ავ-
ტორს არაფერი აქვს ნათევამი; შემდეგ
ავტორი ბევრს ლაპარაკობს ქანდაკება
„კოცნას“ (1923 წ.) შესახებ (გვ. 57—58),
მკითხველი ბუნებრივია ექბას ამ ქანდა-
კების რეპროდუქციას წიგნში, მაგრამ იგა
არ არის მოცემული. წიგნის ბოლოში
მოყვანილია „ილუსტრაციების სია“, მაგ-
რამ რა მიზნით არის იგი მოთავსებული
გაუგებარია. საერთოდ ხელოვნების შესა-
ხებ დაწერილ წიგნებში მიღებულია წესი
სურათის ან ქანდაკების ახლანდელი ად-
გილმდებარეობის აღნიშვნისა; სამწუხა-
როდ, ეს არ არის დაცული სარეცენზიო
წიგნში. ხშირად არის აღნიშნული, თუ
სად, რომელ ქალაქში გაკეთდა ესა თუ

ის ქანდაკება, მაგრამ ამჟამად სად ღია
ბა არ არის მოხსენებული.

შემდეგ: გვ. 21-ზე მოთავსებულ ლე-
პროდუქციის ქვეშ მოყვანილია არასწო-
რი წარწერა. უნდა იყოს გრიგოლ ორბე-
ლიანის ძეგლის ესკიზი, და არა ვახტანგ
ორბელიანისა; გვ. 73-ზე გალაქტიონ ტა-
ბიძის ბიუსტის რეპროდუქციის ქვეშ
არასწორად არის აღნიშნული თარიღი
1939 წ., უნდა იყოს 1940 წ.; ილუსტრა-
ციების სიაში აღნიშნულია, ვითომ ლალო
მესხიშვილის ბიუსტი ინახება ქუთაისში,
მათინ როდესაც იგი თბილისშია და სა-
თებრიო მუზეუმის საკუთრებას წარმო-
ადგენს.

ჩვენ ი. ურუშაძის მონოგრაფიის ზოგი-
ერთ ნაკლ შევეხეთ უფრო. მაგრამ ეს
სრულიადაც არ აბათილებს იმ დიდ მნიშ-
ვნელობას, რომელიც ამ წიგნს მიეკუთ-
ნება ჩვენი სახვითი ხელოვნების ცხოვ-
რებაში და აგრეთვე იმ სარგებლობას,
რომელიც მას შეუძლიან მოუტანოს საბ-
ჭითა სახვითი ხელოვნებაში მომუშავე
ახალგაზრდობას.

წიგნი კარგ ქაღალდზე არის დაბეჭდი-
ლი, მდიდრულად ილუსტრირებულია და
ლირს 10 მანეთად.

გ. 1—ლი

ლისახესანიშვილი თაგილები

ცარისობი

1880 წლის 14 მაისს დაიბადა ცორმლი შომტერალი ივანე ბერეული სარაჯიშვილი ქლაქ სიღნალში. 1888 წ. საჩუჯიშვილის ოჯახი თბილისში გადმოსახლდა და პატარა ვანო მიატარეს თბილის სათვეება-ანაუზი გინძაზეაში. ამავე დროს ვანო სწავლობდა სამუსიკი სასწავლებელზე ცორმლი ვიოლონჩირის ტ. ფ. საჩუჯიშვილის ხელმძღვავლით ქლოზე დაკრის. ჯერ კიდემ აბალანჩრადა ვანოს აღმიაჩნდა სიმღერის ნიჭი და სკოლაშივე მტბოდ მონაწილეობას მოწავების მომღერალთა გუნდში, რომელსაც ლოტარიმდა და კრის.

1902 წ. ვანო სარაჯიშვილი ნაცნობების და მეგობრების დაბარენებით გაემსახურა აგრძელურები და დაიწყო სიმღერის სწავლა ცხობილ მომღერალ პრინციპინიგოვათა, შემდეგ კი ანაუზა-კარცევათა.

ჯერ კიდევ აერებულშემ 1906 წელს ვანო სარაჯიშვილმა მიიღო მოსახლეობა სათვერო სპექტაკლებში, ას ისეთ გამოწინილობაში, რომელიც ჰყავდა პატარისტიურებად, როგორც ტიტო რუფული და ვადა კოროლებისა.

1906 წლის შემოდგომაზე ვანო პირველი ესტუმა საგასტროლო და ქ. თბილის ას მან დიდი ცის ჭარბაზე მომღერალ შეასრულა საბაზო სუბინიშვილი როლები: როგორიც მაზ, ალფრედი—„ტრავიატ“—ში, ჟერი—„რიდგენულტ“ ში, ფაუსტი—„ფაუსტ“—ში და სხვ. ამ გასტროლობის შემდეგ ვანო სარაჯიშვილით გაემსახურა აღარისახით მიატარება. მან შეასრულა როლის დასამატავებრული კ. მონაწილე.

იტალიდან ვანო სარაჯიშვილი მიწვეულ იქნა ქ. აერებულშემ 1909 წ. ას აქცენტი იწყება მისი მუდმივი შემოქმედებითი ტუშაბა რუსთავის სათვერო თარატრებში ვიდრე 1917 წლიდნი.

1917 წლიდნი ვანო სარაჯიშვილი საქართველოს არ მისცილები და მისი ნიჭი და გამოცდილება პატარა გართულ სამეცნიეროსა და მეცნიერობისათვის.

საქართველოში საბჭოთა სელასულების დაბარების შემდეგ ვანო გამოცდილება გრეგორი სულება საყვარელ დაქვეს. ის ერთხანს მარერის თეატრის კომისიის მოადგინდა თავადების სამუშაო ტარებულ სამეცნიერო ბაზარში.

1923 წ. 16 მაისს დიდის ძეგიმით გადაუხადეს ვანო სარაჯიშვილის წლის იუბილე და საბჭოთა მთავრობამ მსამართის ასამისა რესპუბლიკის მომადგრადი და კრის.



1936 წ. 15 მაისს გარდაიცვალა ოკერის ნიკიერი მომღერალი ოლდა ინწუა.

ო ნიწუა დაიბადა 1905 წ. 28 მაისს ქ. სომხში. სწავლა-განათლება რიცხვით სომხში ქალთა გიმნასიაში. ჯერ კი და ბავშვობაში მატარა ილდას აღმასისდა მუსიკის ნიჭი და ბ წლისას უკვე დააწყების როლანდე დაკვირა, როს ფერდებით ანაგრძოლდა როლითავები შემდეგ მანა სარაჯიშვილით გაემსახურა აღარისახით მიატარება. მან შეასრულა ნიჭუარი საქართველოს თეატრისას ასამისობას ქ. ქუთაისში. უფროსინები ის დროს გამოშვერდა სკო-ნას, როდესაც ბეგერს სცენა საჯამბაზო მოფენაზე მიაჩნდა და ქასი გამოსცვლის სცენების სამუშაოში. მიაღწევა და დაწეულება გამაბათილა და დატის სიყარულით შეუდგა დაწყებულ თეატრალურ საქედების გამოშვერებამა.

1923 წ. ქ. მოსკოვში ი. ნიწუა ამ დამატებაზე გოგოლეური ბელოვნების კლას პიოტრესონის ბერებულთან. ბირერად გორილიდა კონცერტებში სასკონტრი და სამომავალი მოსკოვში ამავე წლებში. ი. ნიწუა შემდგრინებლად და ბარაისლავების სარაჯიშვილის დასამატავებრული კ. მონაწილე.

1929 წ. სტუდიის დამთავრების შემდეგ ი. ნიწუა შეუცველ იქნა ქ. თბილის სასულემშვილი დოკერის შემდეგ მარა ზემობაზე და ბალტის თეატრში, როგორც მარერის შაბაზიბი და სიცოცხლის უკანასკნელ მარა ზემობაზე და უცველი და უცველი სეყარული ქართული იმპერია რისის და უცველისადმი.

პრევეზა მისი გამოცდები, რაგოვანი აქცენტი სამინიჭისა, დაიწყო ქართულ აქცენტი და დიდის წარმატებითაც ასრულებდა მარიას „აბალებულის“ და უცველი „გრავიატაციაზე“, ცირას „დარეჯაა ციტერში“ და სხვა.

არა გალერე წარმატებით ასრულებდა სხვა და სხვა პატარისების რესულ და უცველ აქცენტი: მართას „მეფის კოლეგიაზე“, გილორესა „რივაკატაციაზე“, დედოფალს „აბალებულისში“, ცირას „დარეჯაა აბალებულის“ და სხვა.

1913 წ. 17 მაისს გარდაიცვალა ეფრემის ქაიხოსროს ასული კლდაშვილი.

ეს ეფრემის უცველი ცონბილი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწის და კიფანის ძის ქაიხოსროს მიერაბის ქარდა აისა, მამა მისა დაბატებით შემატებული რომელმაც შესწავლა ეფროს რესული და ფრანგული ეტები. იმდენი შეერთებული ეტები, რომ თავისუფლად დაბარავი და ფრანგულად და რუსულიდა კი სთაგანგმი და მდიდრებული წერილი.

უფროსინები იღებდა მონაწილეობა ქრისტოფორ წირმოღვაწებში და კიფანის ხელმძღვანელობით თბილიში 1866 წლამდე რომლი როდესაც იგი 1866 წ. გადასახლდა ქ. ქუთაისში, მან სხვებთა ერთადა დასას ქართული თეატრის მორაგულული წრე, რომელმაც შეკიდრი მანადუ ჩატუკა ქართული თეატრისას ასამისობას ქ. ქუთაისში. უფროსინები ის დროს გამოშვერდა სკონას, როდესაც ბეგერს სცენა საჯამბაზო მოფენაზე მიაჩნდა და ქასი გამოსცვლის სამუშაოს შემდეგ სამუშაოსათვა. ას უცეულებები იყო. ეფროსინები ეს შეცემულება გამაბათილა და დატის სიყარულით შეუდგა დაწყებულ თეატრალურ საქედების გამოშვერებამა.

თუ რა გაენახას მსახიობი იყო ეფროსინები და გადასახლდა შემდეგ მიაღწევა ამ მაზრიცემას და ცეკვიცემსაგან. „დროების“ კორესონდენცია 1880 წ. № 65, რომელიც მოგვითხოვთ ეფროსინები კლდაბაზობის შემდეგ და დიდი სახელმწიფო შემდეგი შემდეგი მითამაშისა—“ო. აკაკი ქერეთელი ებარ რა მოგონებებს ქართულ თეატრზე (უ. თეატრი და ცეკვერება).” № 36 1910 წ. ასე ამთავრება მოგონების ამ ნაწილის უცველი და ენა კი, როცენ რესერვი რამეს სტეფანი ეტების სამუშაოს სამართლების გადასახლდა აღარისახით მიატარება. მან შეასრულა რესერვი რამდენიმე წლის შემდეგ მიაღწევა ამავე წლებში. ი. ნიწუა შემდგრინებლად და ბარაისლავების გამოშვერებამა.

თუ რა გაენახას მსახიობი იყო ეფროსინები და გადასახლდა შემდეგ მიაღწევა ამ მაზრიცემას. „დროების“ კორესონდენცია 1880 წ. № 65, რომელიც მოგვითხოვთ ეფროსინები კლდაბაზობის შემდეგ და დიდი სახელმწიფო შემდეგი შემდეგი მითამაშისა—“ო. აკაკი ქერეთელი ებარ რა მოგონებებს ქართულ თეატრზე (უ. თეატრი და ცეკვერება).” № 36 1910 წ. ასე ამთავრება მოგონების ამ ნაწილის უცველი და ენა კი, როცენ რესერვი რამეს სტეფანი ეტების სამუშაოს სამართლების გადასახლდა აღარისახით მიატარება. არა გალერე მისი გამოცდები, რაგოვანი აქცენტი სამინიჭისა, დაიწყო ქართულ აქცენტი და დიდის წარმატებითაც ასრულებდა მარიას „აბალებულის“ და უცველი სეყარული ქართული იმპერია რისის და უცველისადმი.

განსახულებით უცდა ალინიშნის ეს კლდაბაზობის მიერ გამოშვერდებული სხვა ასამისობის მიერ გადასახლდა შემდეგის ადგილით — “გაუშენიანი მეფის კოლეგიაზე”, გილორესა „რივაკატაციაზე“, გილორეს „დარეჯაა აბალებულის“ და სხვა. არა გალერე წარმატებით ასრულებდა მარიას „აბალებულის“ და უცველი სეყარული ქართული იმპერია რისის და უცველისადმი. არა გალერე მისი გამოცდები, რაგოვანი აქცენტი სამინიჭისა, დაიწყო ქართულ აქცენტი და დიდის წარმატებითაც ასრულებდა მარიას „აბალებულის“ და უცველი სეყარული ქართული იმპერია რისის და უცველისადმი.

ს ა რ ჩ ვ 3 0

	83-
მოწინავე—თეატრები და პიესები	3
ერ. ასტვაციატუროვი—„უკანასკნელი რაიძღი“ რუსულელის თეატრში	7
აშ. გარეჩილაძე—გ. ერისთავის დრამატურგის საკითხები	13
ნ. მიქაელა—აფხაზური თეატრი	19
არჩ. ციხისთავი—ზოგი რამ ცეკვის შესახებ	25
ლ. გევაგურია—ნალექური სიმღერის თეატრები	29
ს. გერიაშვილი— კომიტეტის შესახებ	33
ალ. იმედაშვილი—თეატრ	46
პ. წერეთელი—გ. ნ. ფედოროვა საქართველოში	41
ლ. ბ.—თბილისის სახელმწიფო ცირკის სეზონი	48
ი. ბუხაძე, ნ. მიქაშვილი—ახალი დადგმები თოჯინების ქრისტულ თეატრში	51
ვ. წირლავა—ხობის საკოლეჯურნეო თეატრი	54
პოლიკარპე ფალიაშვილი	58
ა. ი.—ს. გერსამია. მაკო საფაროვი-აბაშიძისა. საქ. სახ. სათეატრო მუზეუმის გამოცემა. თბილისი 1940 წ.“	60
შ. ა—ლი— „И. А. Урушадзе. Я. И. Николадзе. Гос. изд. „Искусство“ М.-Л. 1940 г.“	61
ლირსტესანიშვილი თარიღები	64
ყდაზე — ჭიათურის თეატრის „პატარა კანის“ დეკორაციის ესკიზი, მხატვ. ელ. ანვლედიანისა	



პ/ვ. რედაქტორი — ბ. გ რ გ შ ა

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 23. ტელეფონი 3-07-56
მილება ყოველდღე, გარდა კვირა დღეებისა, 9-დან 5½ საათამდე

რედაქცია ხელნაწერებს ავტორებს არ უბრუნდეს

გამოცემის მეშვიდე წელი. 4 ნაბეჭდი ფორმა. გადაეცა წარმოებას 16/V—41 წ. ნებადართულია
დასაბეჭდათ 26/VI—41 წ. შეკვ. № 1592 უ20286. ტარიე 2000

თბილისი, სტამბა „ზარია ვოსტკა“, რუსთაველის პროსპექტი № 36

3860 3855.

842 | 444

29 САБЧ ХЕЛОВН
ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ
ЖУРНАЛ, ОРГАН УПРАВЛЕНИЯ
ПО ДЕЛАМ ИСКУССТВ ПРИ СНК ГРУЗИНСКОЙ ССР
1958

«САБЧ ХЕЛОВНЕБА» Ежемесячный журнал, орган Управления
по делам искусств при СНК Грузинской ССР

Седьмой год издания. Заказ № 1592 УЭ 20286 Тираж 2000
Тбилиси, типография „Заря Востока“, проспект Руставели № 36